გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№143 (202) 1-8 ნოემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# კიდევ ერთხელ ანაკლიის თაობაზე...

ჩვენი გაზეთის ამასწინანდელ ნომერში გამოქვეყნდა წერილი შესაბამისი ილუსტრაციებით, რომელშიც მოთხრობილი იყო ანაკლიის ახლადაშენებულ კურორტთან დაკავშირებულ ანგარიშგასაწევ პრობლემებზე. ნამდვილად არ გვეგონა, თუ ეს წერილი მკითხველთა ასეთ დიდ ყურადღებას დაიმსახურებდა.

ბევრი სამადლობელი წერილი მოგვივიდა და ტელეფონითაც ბევრმა გადაგვიხადა მადლობა ანაკლიელთა გასაჭირის გულთან ასე ახლოს მიტანისათვის. თუმცა, მოგვივიდა ისეთი წერილებიც, რომელთა ავტორები არაობიექტურობაში გვადანაშაულებენ და მკითხველი საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობაშიც კი გვდებენ ბრალს.

ერთმა რესპონდენტმა დამირეკა და ვინაობა არ გამიმხილა, მაგრამ გულისწყრომით მითხრა: "ხელისუფლებამ და ინვესტორებმა ანაკლიას ამხელა ფული დაახარჯეს და მისი ასე ხელაღებით გაკრიტიკების უფლება არა გაქვსო". ვერ მოვასწარი ამეხსნა, რომ, მართალია, ვინმეს ხელაღებით კრიტიკა არაა მიზანშეწონილი, მაგრამ სახელმწიფო თანხების ხელაღებით ხარჯვა და ინვესტორების იძულება დახარჯონ თანხები მათი **"PR"**-სათვის საჭირო რაღაც უაზრო მშენებლობებში, საკმაოდ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულია.

სხვათა შორის, ერთი ასეთი გულისწყრომით აღსავსე ვრცელი წერილი, რამდენიმე დღის წინ, ინტერნეტფოსტით მივიღე ჩემი ახლო მეგობრისგანაც კი, რომლის ვინაობას არ ვაზუსტებ მხოლოდ ეთიკისა და მეგობრობის პრინციპებიდან გამომდინარე.

აი, ნაწყვეტი ამ წერილიდან: "ანაკლიაზე წერილი არ მომეწონა. იგი, შარის მაძიებელი კაცის დაწერილს უფრო ჰგავს, ვიდრე შექმნილი მდგომარეობით გულშეწუხებულისას!.. რა საჭირო იყო ამდენი მრავალსართულიანი სახლის და სქვერ-პარკების სურათების გამოტანა პირველ გვერდზე? თუ ვიღაცის ცუდ საქმეზე უნდა მის ავტორს მკითხველს თვალი აუხილოს, იგი სხვა სტილში უნდა დაიწეროს. არც ის უნდა დაავიწყდეს, როცა კურორტზე საუბრობს, ძროხა და მისი ფუნა არ უნდა "ამშვენებდეს" მის ქუჩებს და მათ, პატრონები, საბალახოდ, ზღვის სანაპიროზე "პლიაჟზე" არ უნდა მიერეკებოდნენ!!!"

ჩემს მეგობარს ეს რომ პრივატულ საუბარში ეთქვა, შეიძლებოდა იქვე გამეცა პასუხი, მაგრამ, ვინაიდან ინტერნეტით მომწერა (რაც უკვე ოფიციალური მიწერ-მოწერის სახეს იძენს), თავს მოვალედ ვთვლი, პასუხი მეც გაზეთის გვერდიდან გავცე.

არა, ჩემო ძმაო და მეგობარო, არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია. ვიდრე ჩვენი ხელისუფლება ანაკლიაში საკურორტო ზონის მშენებლობას ასეთი ტრაბახითა და ბაქიბუქით დაიწყებდა, და ანაკლიას ქალაქად გამოაცხადებდნენ (რაც სააკაშვილის მიერ როყიოდ გაკეთებული განცხადებიდან შევიტყვეთ, და რაზედაც საქართველოს პარლამენტის არავითარი ოფიციალური დადგენილება არ არსებობს) ხელისუფლებას მანამდე უნდა ეფიქრა ამ ხალხის სამომავლო მდგომარეობაზე, რადგან ანაკლიელები ოდითგან სოფლის მაცხოვრებელთა წესით ცხოვრობდნენ და მათ საარსებო საშუალებას მხოლოდ ბაღ-ბოსტნები, ყანები და შინაური ცხოველები თუ ფრინველები წარმოადგენდნენ, რომელთა ყოლა ქალაქური ტიპის დასახლებებში (მით უმეტეს – საკურორტო ზონაში) კატეგორიულად აკრძალულია.

ასე რომ, რეალურად დივიდენდებს გამოკიდებულმა, სიტყვით კი ჩვენმა "მზრუნველმა ნაციონალურმა" ხელისუფლებამ, ამ უაზრო და არალეგიტიმური გადაწყვეტილებით ლამის მთელი ანაკლიის მოსახლეობა „ხელოვნურად თამაშგარე" მდგომარეობაში გადაიყვანა.

ეს, რაც შეეხება ანაკლიის ისედაც გაუსაძლის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც სხვა სამომავლო პერსპექტივას ვერ ხედავს, გარდა იმისა, რომ მალე მშობლიური კუთხეებიდან აიყაროს და იმ ზონაში გადავიდეს საცხოვრებლად, სადაც შინაური ცხოველებისა და ფრინველების ყოლის უფლება და მათი რჩენის საშუალება ექნება და ამით ელემენტარულ სარჩო-საბადებელს მაინც გაიჩენს.

რაც შეეხება ანაკლიას, როგორც საკურორტო ზონას, მაშინაც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ: მას შემდეგ, რაც ენგური "ენგურჰესთან" გადაკეტეს და ანაკლიის შესართავთან მომცრო მდორე მდინარედ გადააქციეს, იგი ვეღარ უმკლავდება მოწოლილ ზღვას და, გარემოს გაწმენდის მაგივრად, მის დაჭაობებას უწყობს ხელს, ხოლო ადიდების შემთხვევაში უამრავი ნაგავი შეაქვს ზღვაში, რომელსაც შემდეგ ტალღები თანაბრად "ანაწილებენ" პლაჟად წოდებულ სანაპიროზე. ასე რომ, ამ პლაჟის დასუფთავებას ათასობით ადამიანი დასჭირდება, რათა მეორე წყალდიდობამდე იმდენად მაინც გაასუფთაონ ზღვის სანაპირო, რომ მასზე წამოწოლა კი არა, ფეხით გავლა მაინც შეიძლებოდეს ისე, რომ ადამიანს გული არ აერიოს!

განა ვინმეს ეპარება ეჭვი იმაში, ევროპა-ამერიკის მოდას ბრმად აყოლილმა მიხეილ სააკაშვილმა და მისი სახელისუფლებო "ანსამბლის" წევრებმა რომ ანაკლიის მთელი კომპლექსი, განმუხურიანად მხოლოდ აფხაზებისა და რუსების თვალის დასავსებლად ააშენეს, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ "ენგურს იქით სიბნელეა და მონღოლოიდები დგანან, ენგურს აქეთ კი სინათლეა და ადამიანები უზრუნველად ცხოვრობენ". სწორედ ამიტომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – "საკურორტო კომპლექსი", რომელიც გარეთ მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით კი – მოყვარეს. აღარაფერს ვამბობ განმუხურ-ანაკლიის დამაკავშირებელ იმ ყბადაღებულ ხიდზე, გახსნიდან მეორე დღეს რომ ჩაინგრა და რომლის ნახევარი სააკაშვილმა მესტიაში წაიღო თუ ყვარელში, ჯერაც ვერ დაგვიდგენია.

ერთხელ დავწერეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ შმორისა და კოღოების ზუზუნით გაჯერებულ ნისლში გახვეული, უაზროდ და ყოველგვარი კომპეტენტური კვლევების გარეშე აშენებული "ხუთვარსკვლავიანი" სასტუმროები ნელ-ნელა იძირებიან გრუნტში, სარდაფები ივსება წყლით, ხოლო სასტუმროთა ნომრები იმდენად ძვირია, რომ იქ მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ ძალით ჩარეკილი ფუნქციონერები ისვენებენ, ან სააკაშვილის ატარებს დროს ვერონიკა ქობალიასთან ერთად (ამ ამბის თაობაზე დაწვრილებით იხილე გაზეთის მეორე გვერდზე) და როცა დაჯავშნულ ლიფტში ჩაკეტილი შიშისაგან დადორბლილი ისტერიკაში ჩავარდება, ჯოხს ურტყამს პერსონალს დაუნდობლად (თან „მომსახურეობის" თანხასაც არ იხდის!). ასეთი მწირი შემოსავლები და „არშემოსავლები" კი საიმისოდაც არ კმარა, რომ მომსახურე პერსონალს გადაუხადონ ხელფასი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე რომ არაფერი ვთქვათ!

ასე რომ, არ ვიცი, რა გითხრა, რით გაგახარო, ჩემო მეგობარო!

გეტყვი მხოლოდ ერთს: "მდგრადის" მინისტრ ვერა ქობალიას და მიშა სააკაშვილის, გიგი უგულავას და სხვა "ნაციონალთა" რომელ პროექტს მოუტანია საქართველოს მოსახლეობისათვის შვება და სიხარული, ძალით "გაქალაქებულ-გაკურორტებულ" ანაკლიას რომ მოეტანა (მხოლოდ ერთადერთ სიკეთეს, ისიც დასაწყისში, და არა ამჟამად – პოლიციის რეფორმას ეგენი ნუ დაიბრალებენ, მას სულ სხვა ავტორი და შემსრულებელი ჰყავს)!

რაც შეეხება შენს მიერ ნახსენებ "ფუნას", რომელსაც თვით ყველაზე უფრო მიყრუებული სოფლის საკუთარი თავის პატივისმცემელი მცხოვრებნიც კი "ნაკელსა" და "პატივს" რომ ეძახიან, ესეც დიდი შვებაა მშრომელი გლეხკაცისათვის, რადგან ჰერბიციდებისა და პესტიციდების ნაცვლად სწორედ ამ "ნაკელით" "აპატივებს" მიწას და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს იღებს. ალბათ ისიც იცით, რომ ზოგი ამ ნაკელს ახმობს, წივას აკეთებს, რომელსაც ზამთარში სათბობად იყენებს, ჩვენი წინაპრები კი სწორედ ამ წივით ლესავდნენ წკნელით მოწნული ფაცხის ფარღალალა კედლებს, რათა იქ შემოჭრილ ანც ქარს ნაცარი არ ეტრიალებინა მათ ერთადერთ სადგომში.

ხედავ, შენგან საკმაოდ აგდებით მოხსენიებულ "ფუნას" თურმე რამდენი სიკეთის მოტანა შესძლებია ადამიანებისათვის, რასაც დღეს ანაკლიელები სრულად არიან მოკლებული, კვერცხზე, ხორცსა და რძის პროდუქტებზე რომ არაფერი ვთქვათ.



შენ, ჩემო ძმაო, შენი მძიმე შრომისა და ოფლის წყალობით, გეტყობა საკმაოდ უზრუნველად ცხოვრობ, (ვისაც შეშურდეს, დიდ-პატარა ამოუწყდეს ოჯახში!), ხარსა და ძროხაში მხოლოდ "ფუნას" თუ ხედავ, უმუშევარი ანაკლიელები კი, "რატომღაც", სულ სხვაგვარად უყურებენ მათთვის მხოლოდ პრობლემებისა და უბედურების მომტან საკურორტო ზონას! თანაც, მომიტევე, მაგრამ ამ სიტყვამ ის ცნობილი საძრახისი ფრაზა გამახსენა „ტყეს რომ სჭრიან და ნაფოტები რომ სცვივა..." ვიცი, რომ შენ „ფუნაზე" ბევრად მაღალ მატერიებზე გიყვარს ხოლმე საუბარი, მაგრამ ახლა იმ ანაკლიელებსაც ჰკითხე, სიტყვა „მაღალის" ხსენებაზე ლამის კრუნჩხვები რომ ემართებათ ხოლმე!

მოვიყვან კიდევ ერთ "მოთქმას" შენი წერილიდან:

"შენ კარგად გახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ, ზუგდიდის ბაზრის, ოთხი შესასვლელი კარიდან, ერთი დროებით დახურეს (როგორც მახსოვს, სანიტარული ნორმების მოსაწესრიგებლად) და მთელი სამეგრელო ფეხზე დადგა – "გვჩაგრავენ, ღირსებას გვილახავენ, დავიღუპეთო!!!" ზუგდიდის და სამეგრელოს "ღირსების" დასაცავ აქციას ლამის მთელი საქართველო აჰყვა მაშინ და რომ არა ქართული სიზარმაცე – რევოლუცია გარდაუვალი იყო!..

– ამას არასოდეს გავიხსენებდი, რომ არა, ყველა ზუგდიდელისა და მთლიანად სამეგრელოს, მართლაც ღირსების შემლახველი ამბავი, რომელიც ამ ზაფხულზე მოხდა – სრულიად მოულოდნელად, დაიხურა 20 წლის წინ დაარსებული ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი და 850 სტუდენტი ქუჩაში დარჩა!

არც ერთ ზუგდიდელს (სამეგრელოზე არაფერს ვამბობ!), არამც თუ პროტესტი, სიტყვაც კი არ დასცდენია ამ მართლაც სამარცხვინო და ქალაქის და კუთხის ღირსების ამყრელ ამბავზე, მაგრამ, როგორც ზემოთ ვახსენე – ბაზრის კარის დაკეტვა, ლამის ქვეყნის დაქცევად მიიჩნიეს"

იცი, რატომ გამოთქვეს პროტესტი ლუკმა-პურს დანატრებულმა ზუგდიდელებმა ბაზრის ერთ-ერთი შესასვლელი კარის ჩაკეტვის გამო? იმიტომ, რომ ფაქტიურად ეს მათთვის ნამდვილი "სეზამის საგანძურიანი გამოქვაბულის" კარი იყო – ისხდნენ უწყინარად და საკუთარი ოჯახიდან გამოტანილ სანოვაგეს ყიდდნენ იმიტომ, რომ შვილების გამოსაკვები პური ეყიდათ. რამდენი ადამიანი ისე წასულა სახლში, რომ იმ დღეს კაპიკიც არ უშოვნია, იმდენი სიხარული ჯერ ჩემ ოჯახს და მერე შენსას! მაგრამ რაღაც შემოსავალი მაინც ჰქონდა ხალხს, და ხელისუფლებამ ეს რომ შეიტყო, სწორედ ის კარი ჩაკეტა, რომლის ჩაკეტვა დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენდა!

ამიტომ, ეს პროტესტი ეფუძნებოდა გამომშიერებულ სტომაქს და არა ჩვეულ ქართულ, მაძღარ გულარხეინობას. ასეთ ადამიანს რომ უთხრა: რა დროს შენს ლუკმაპურზეა საუბარი, როცა უნივერსიტეტს გვიხურავენო, შეიძლება ცოცხალმა ვერ გაასწრო. აბსოლუტურად გეთანხმები, რომ ნებისმიერი, თუნდაც თავისი მნიშვნელობით, მცირე მოცულობის მქონე, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაცია ერის მოწინავე საზოგადოებისათვის ზურგში ჩაცემული ხანჯალია, მაგრამ ქართველი ხალხის შუასაუკუნეობრივ სიბნელეში გადასროლა ჩვენი სომხური ხელისუფლების პოლიტიკა გახლავთ და ზუგდიდის ბაზართან საპროტესტოდ მისული ხალხი აქ არაფერ შუაშია. ხოლო, რაც შეეხება ჩვენი ხელისუფლების მიერ გატარებულ ქართველი ხალხის ხელოვნურად, წინასწარ ბოროტი განზრახვით დაშიმშილების პოლიტიკას, ეს უკვე საზოგადოების გულში ხანჯლის ჩაცემის ტოლფასი გახლავთ, რომლის შეგნება და რა სიბოროტესთან ბრძოლაც ყოველი ჩვენგანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

იმედია, რომ "სხვა სტილში" უკვე შენ დაწერს წერილს, რომელსაც, მიუხედავად მისი შინაარსისა, აუცილებლად გამოვაქვეყნებ!

მაგრამ, იმ წერილისათვის მასალების მოსაპოვებლად, ალბათ, ანაკლიაში მოგიწევს ჩასვლა. თუ იქაური მოსახლეობისათვის შენი პოზიციის გამჟღავნებას აპირებ, გირჩევ ჯავშანჟილეტი ჩაიცვა, თავზე ჩაჩქანი დაიხურო და მანქანიდანაც არ გადმოხვიდე, თორემ შედეგზე პასუხს არ ვაგებ! მაგრამ, როგორც შენი მეგობარი, ვალდებული ვიქნები, რომ ყოველდღე სანოვაგითა და პრეპარატებით ხელდამშვენებულმა მოგინახულო ხოლმე საავადმყოფოში.

ასე რომ, ჩემი იმედი გქონდეს!

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით,

მარად შენი ძმა და მეგობარი,

**როლანდ ჯალაღანია**

# გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი როლანდ ჯალაღანია 70 წლისაა



დაიბადა 1941 წლის 2 ნოემბერს, ქალაქ თბილისში. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა.

1958 წელს დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 1965 წელს კი მიიღო ინჟინერ-ეკონომისტის დიპლომი, რომლის შემდეგ ერთი წელიწადი იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში.

იყო სპორტსმენი, სხვადასხვა დროს მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში.

1966 წელს სპეციალობით მუშაობა დაიწყო თბილისის №31-ე საავიაციო ქარხანაში, შემდეგ კი იყო კომკავშირულ სამუშაოზე, რა დროსაც დაჯილდოვდა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

1968 წელს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, კომკავშირული საგზურით, გადაიყვანეს გაზეთ **“ზარია ვოსტოკას”** ლიტმუშაკად, სადაც მოგვიანებით დააწინაურეს რედაქციის გამგედ.

1976 წელს გადაყვანილ იქნა ჟურნალ **“ნიანგის”** უფროს რედაქტორად, 1979 წელს კი დააწინაურეს საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის დირექტორის მოადგილედ.

1980 წელს საკავშირო ჟურნალ **“კროკოდილის”** წარდგინებით დაინიშნა სპეციალურ კორესპონდენტად ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. შეთავსებით მუშაობდა გამომცემლობა **“ხელოვნებაში”**, 1985 წელს კი გადაიყვანეს გამომცემლობა **“მერანში”** დირექტორის მოადგილედ. 1988 წლიდან 1991 წლის ჩათვლით ცხოვრობდა ინგლისის ქალაქ მანჩესტერში, სადაც ძირითადად ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას. 1990 წელს ინგლისში წაიყვანა ქართველ ბავშვთა ანსამბლი **“ნერგები”**, რომელთაც გაიმარჯვეს დიდ ბრიტანეთში მიმდინარე მოსწავლე ბავშვთა ხელოვნების კონკურსში. მისი ინიციატივით მოხდა ზუგდიდსა და ინგლისის ქალაქ ვორინგტონის დაძმობილება, რის გამოც არჩეულ იქნა ვორინგტონის საპატიო მოქალაქედ. 1992 წელს ჩამოვიდა მოსკოვში და დაინიშნა ჟურნალ **“კროკოდილის”** მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

1995 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაკავდა საგამოცემო კომერციული საქმიანობით. სწორედ მისი ინიციატივით გამოიცა სხვადასხვა დროს გრიგოლ რობაქიძის, ანა ახმატოვას, ნიკოლოზ გუმილიოვის, ისააკ ბაბელის, ანდრეი ბელის, ანდრე ჟიდის და, კომუნისტების მიერ ტაბუირებულ სხვა ავტორთა ნაწარმოებები.

თავისი პირველი წერილი პრესაში გამოქვეყნა 1958 წელს, რომლის შემდეგ მზის შუქი იხილა მისმა დაახლოებით 3 ათასმა პუბლიკაციამ. როგორც ხელოვნებათმცოდნემ გამოსცა სამი მხატვრულ-პუბლიცისტური მონოგრაფია კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეზე, დრამატურგ გიორგი მდივანზე და შენგელაიების კინემატოგრაფიულ ოჯახზე. თარგმნა დიდი პოლონელი მწერლის იოზეფ იგნაცი კრაშევსკის ისტორიული რომანი **“ძველი თქმულება”**, რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს **“კავკასია”** და სერგეი კრემლიოვის **“ბერია – მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”**. გამოცემული აქვს ოცდაათზე მეტი წიგნი, რომელთა შორის ორი წიგნი ითარგმნა და გამოიცა უცხოურ ენაზე. მისი სცენარით კინორეჟისორმა ბიძინა ჩხეიძემ გადაიღო მხატვრული ფილმი **“მჭედელი”**, კინორეჟისორმა თამარ დულარიძემ კი – **“დედის მოლოდინი”** (**“შავი მერცხალი”**).

1999 წლის 5 მარტიდან არის სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი, ამავე წლიდან დღემდე კი არის გაზეთ **“ილორის”** მთავარი რედაქტორი. 2009 წელს აირჩიეს **“ფაზისის”** აკადემიის ნამდვილი წევრად.

სხვადასხვა დროს, სტუმრის სტატუსით თუ საქმიანი ვიზიტებით, იმყოფებოდა იუგოსლავიაში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდოეთში, ეგვიპტეში, არგენტინაში, ესპანეთში, სულ მსოფლიოს 16 ქვეყანაში.

ჰყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

**გაზეთი „ილორი“**

# ქართველ ისტორიკოსს, აკადემიკოს, ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს

გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორ ბორის დუნდუას კაბინეტში აღმოჩენილ იქნა ქართული ისტორიის მამის, დიდი ივანე ჯავახიშვილის დღევანდელი მკითხველისათვის უცნობი (ალბათ – ერთადერთი) წიგნი **“ქართველ ერის ისტორია”**, რომელიც, 1908 წელს, თბილისშია გამოცემული თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ.

მიუხედავად ქართველ ისტორიკოსთა (მათ შორის – თქვენიც) არაერთგზისი განცხადებისა, რომ ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულში, რომელიც არასრულად გამოიცა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში და რომლის მერვე ტომის რედაქტორი თქვენც ბრძანდებით, თითქოს შესულია ისტორიკოსის ყველა ნაწარმოები, სამწუხაროდ დიდი შეცდომაა, ან უფრო მეტიც – ქართველი ერის შეცდომაში შეყვანისათვის გამიზნული შეგნებული სიცრუეა, რადგან ჩვენ მიერ გამოცემული ზემოდაღნიშნული ნაშრომი 12-ტომეულში შეტანილი საერთოდ არაა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ნაშრომი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს ეს წიგნი არც ცალკე ნაწარმოებად გამოუციათ და ალბათ ამიტომაც არ იქნა შეტანილი მის თხზულებათა თორმეტტომეულში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენ ამ წიგნის თუნდაც მცირე ტირაჟით გამოცემა (სულ 1000 ეკზემპლარი, რაც ზღვაში წვეთი გახლავთ), რათა იგი საბოლოოდ არ გაენადგურებინათ საქართველოს მტრებს, რადგან აღნიშნულ ნაშრომში დიდი ისტორიკოსი მეტად საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებს მეგრული, სვანური და ლაზური ენის ფენომენის თაობაზე.

სწორედ ამ ნაშრომის გაცნობის შემდეგ დარწმუნდებით კიდევ ერთხელ, რომ სულაძაღლებულმა ლეონტი მროველმა და მისმა სომეხმა თანამზრახველებმა წინასწარგანზრახვით გაუნახევრეს ისტორია ქართველ ხალხს, როცა შეგნებულად ჩამოაჭრეს ჩვენს მატიანეს კოლხეთის ჭეშმარიტად უმდიდრესი ისტორია, რომელიც უტყუარად ამტკიცებს, რომ სწორედ აქ აიდგა ფეხი მსოფლიო ცივილიზაციამ. სწორედ ეს აძლევს საშუალებას ათას ყიამყრალ ქართველთმოძულეს, რომ ენა იქავოს ქართული სახელმწიფოს გაურკვეველი წარმომავლობისა და ქართველი ერის არასრულფასოვნების მტკიცებით!

სწორედ ამ ყიამყრალთა დაუსაბუთებელ კონცეფციებს აცამტვერებენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები კლიმენტი შელია, ანზორ შონია, გია კვაშილავა, ბადა სოფია და სხვა პატივცემული სწავლულები.

ეჭვსგარეშეა, რომ ეს გახლავთ დიდი ინტელექტუალური ძალა და ქართული მეცნიერული საზოგადოება ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ ძალას!

იმედია გაითვალისწინებთ მათ პოზიციებს და დააყენებთ საკითხს ხელისუფლების წინაშე (რომლებთანაც, არსებული ინფორმაციით, სხვა **“ჩარეცხილ”** მეცნიერთაგან განსხვავებით თქვენ საკმაოდ კარგ ურთიერთობაში იმყოფებით) ივანე ჯავახიშვილის **“ქართველ ერის ისტორიის”** დიდი ტირაჟით გამოცემაზე, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებული ქართული მკითხველი საზოგადოებისათვის!

ხოლო თუ საქართველოს სომხური ხელისუფლება, ამ, მისთვის არც თუ ხელსაყრელი წიგნის გამოცემაზე უარს იტყვის, მაშინ სასურველი იქნება დაინტერესებული სპონსორის მოძიება.

ღრმა პატივისცემით,

**როლანდ ჯალაღანია,**
**“ფაზისის” აკადემიის ნამდვილი წევრი**

# რა შეემთხვა სააკაშვილს ანაკლიის სასტუმროში?

ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგითხროთ და რომელიც ხელისუფლების მიერ საკურორტო ქალაქად გამოცხადებულ სოფელ ანაკლიაში სააკაშვილის მორიგ თავგადასავალს ეხება, ამ რამდენიმე დღის წინ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა ერთმა სერიოზულმა და სანდო კაცმა მიამბო და თან დააყოლა, ფაქტი აბსოლუტურად ზუსტია, მე თვითონ მომხდარის თვითმხილველი ვარო.

მოკლედ, ამ ათიოდე დღის წინათ, ქუთაისში ყინულის მოედნის გახსნისა და ბავშვებთან ერთად სრიალის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერონიკა ქობალიას თანხლებით სოფელ ანაკლიაში **“არაოფიციალური ვიზიტით”** ჩასულა და ღამე სასტუმროში გაუთევია.

მეორე დილით, როცა სააკაშვილი ვერა ქობალიასთან ერთად სასტუმროს ლიფტით პირველ სართულზე ეშვებოდა, ლიფტი უეცრად გაფუჭებულა და პრეზიდენტი და მინისტრი შიგნით გაჭედილან.

სააკაშვილს, რომლის **“სიმამაცის და გულადობის”** ამბავიც ყველას კარგად მოეხსენება, ჰგონებია – რადგან ლიფტი გაიჭედა, ეტყობა ტერაქტს მიწყობენო და უკანასკნელ ხმაზე აღრიალებულა.

ბუნებრივია, სააკაშვილის დაცვა მაშინვე ლიფტს დაეჯაჯგურა და შიგნით გაჭედილ მიშასა და ვერას გამოყვანას ცდილობდა, მაგრამ ჯავშნიანი ლიფტის გაღება ადვილი არ აღმოჩნდა და დაცვას ნახევარ საათზე მეტი დასჭირდა ლიფტში გაჭედილი სააკაშვილის და ქობალიას გამოსაყვანად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლიფტში გაჭედილი სააკაშვილი ცალკე ღრიალებდა და იგინებოდა, ქობალია კი ცალკე კიოდა და წიოდა.

ნახევარსაათიანი ჭაპანწყვეტის შემდეგ დაცვამ, როგორც იქნა, მოახერხა ლიფტის კარების გახსნა და სააკაშვილისა და ქობალიას გამოყვანა. შეშინებულ სააკაშვილს, თურმე, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა და არამარტო თვითონ, არამედ ვერა ქობალიაც თავიდან ფეხებამდე სველი იყო.

სააკაშვილს შოკიდან გამოსასვლელად რამდენიმე წუთი დასჭირდა, შემდეგ კი სკამისთვის დაუვლია ხელი და ანაკლიის სასტუმროს დაცვასა და მომსახურე პერსონალს დარევია, რას მიკეთებთ აქ, ლიფტის გამართულად მუშაობა, რომ ვერ შესძელითო.

დიახ, სააკაშვილს სასტუმროს დაცვა და მომსახურე პერსონალი სკამითა და წიხლებით უცემია. ბელადს სიტყვის და, მით უმეტეს, ხელის შებრუნებას ვინ გაუბედავდა და ანაკლიის სასტუმრო ბრძოლის ველს დამსგავსებია, რომელიც თავგატეხილი და ცხვირ-პირდასისხლიანებული მომსახურე პერსონალითა და დაცვის თანამშრომლებით იყო მოფენილი.

როგორც ამ ამბის უშუალო თვითმხილველი აღნიშნავს, როცა სააკაშვილი, ლიფტში გაიჭედა, ხოლო შემდეგ სასტუმროს დაცვა და მომსახურე პერსონალი სკამითა და წიხლებით სცემა, იქ იმყოფებოდა არა მარტო ვერა ქობალია, არამედ სოფლის მეურნეობის აწ უკვე ყოფილი მინისტრი ბაკურ კვეზერელიც.

ძვირფასო მკითხველო, სააკაშვილი ლიფტში გაჭედვისთანავე პანიკურმა შიშმა რომ შეიპყრო, არიქა, ტერაქტს მიწყობენო, ეს სულაც არ არის გასაკვირი, იმის შემდეგ, რაც მას 2008 წლის 10 აგვისტოს გორში დაემართა, როცა თვითმფრინავის ხმის გაგონების ისე შეეშინდა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნარ კუშნერის თვალწინ მიწა ცხვირით მოხნა!

რაც შეეხება იმას, რომ სააკაშვილი ანაკლიის სასტუმროს დაცვასა და მომსახურე პერსონალს დაერია და ისინი დასისხლიანებამდე სცემა, არც ეს არის ახალი ამბავი. სააკაშვილის სხვადასხვა დონის ლაქიებს – მინისტრებსა თუ პარლამენტარებს არაერთხელ უგემიათ თავიანთი ბელადის მუშტი, წიხლი, მისგან ნასროლი საფერფლე, მობილური ტელეფონი თუ ტელევიზორის პულტი.

ისე კი, თუ სააკაშვილი ანაკლიაში წარამარა სირბილსა და იქ ორგიების მოწყობას არ შეეშვება, ეს შეიძლება მისთვის საბედისწეროდ და ფატალურად დასრულდეს.

დიახ, სააკაშვილს ანაკლიაში საკუთარი ხუშტურით აშენებული სასტუმროს ლიფტი ჩაუწყდება, ან საკუთარი ხუშტურით აშენებული ხიდი. ამას რომელიმე ტერორისტი კი არა, განგება იზამს, რომელიც სააკაშვილის უზნეო ცხოვრების წესის გამო კარგა ხანია განრისხებულია.

**ჯაბა ხუბუა,**
**“ასავალ-დასავალი”, №43 (890), 24-30 ოქტომბერი, 2011 წელი.**

**“ილორის”** *მინატირები: გურულს უთხრეს, თურმე: – ძამა, შენი ცოლი ვინცხასთან დეიარებაო.*
*– ვინცხაა რაიკომის მდივანი?! – აღშფოთებულა გურული.*
*ასე რომ, ვერონიკა ქობალიას ოჯახის წევრებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ და იამაყონ კიდეც – რა ჭირი და უბედურებაც არ უნდა სჭირდეს, საქართველოს პრეზიდენტი მაინც ნამდვილად არაა “ვინცხა”!*





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევინის დაკავების მიზეზი ივანიშვილის შვილის კრისტალები გახდა

როგორც ცნობილია, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მოსკოვის ოფისის წარმომადგენელი ვალერი ლევინი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 2011 წლის 22 ოქტომბერს დააკავეს. მას საქართველოში ის დოკუმენტაცია ჩამოჰქონდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლებმა რუსეთის საკონსულოსგან ოფიციალურად გამოითხოვეს – პირადობის მოწმობა, რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე, ცნობები საგადასახადო ორგანოდან და საცხოვრებელი ადგილიდან ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლებს ბიზნესმენისთვის რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურისთვის სჭირდებოდათ.

ვალერი ლევინი რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

ივანიშვილის პრესსამდივნის ინფორმაციით, ვალერი ლევინს გამოძიების დასრულებამდე ქართველმა სამართალდამცველებმა საქართველოს დატოვება აუკრძალეს.

**„ბიძინა ივანიშვილის მოსკოვის ოფისის წარმომადგენელი ვალერი ლევინი სამართალდამცველებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 22 ოქტომბერს დააკავეს და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ 23 ოქტომბერს გვიან ღამით გაათავისუფლეს. ლევინს საქართველოში ის დოკუმენტაცია ჩამოჰქონდა, რომელიც ბიზნესმენისთვის რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურისთვის იყო საჭირო. აღნიშნული პროცედურა უკვე ორ კვირაზე მეტია, მიმდინარეობს და მთელი რიგი დოკუმენტების წარდგენას მოითხოვს, მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა სულ რაღაც ერთ საათში შეუწყვიტა. ამ დოკუმენტაციასთან ერთად ლევინს საქართველოში ჟურნალი „ქვების ენერგია“ მოჰქონდა. ჟურნალის რეალიზება რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში ხორციელდება და მისი საბაზრო ფასი ქართულ ვალუტაში დაახლოებით 10 ლარს შეადგენს. ყოველკვირეულ ჟურნალს თან მინერალური ქვები მოჰყვება. ამ ქვებს ბიძინა ივანიშვილის 14 წლის ქალიშვილი გვანცა უკვე რამდენიმე წელია, აგროვებს და მის პირად კოლექციაში ათეულობით მსგავსი ქვა არის. როგორც კპდ-ის თანამშრომლებმა ვალერი ლევინის ადვოკატ შალვა თადუმაძეს განუცხადეს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავების მიზეზი სწორედ ის ქვები გახდა, რომელიც ყოველკვირეულ ჟურნალ „ქვების ენერგიას“ მოჰყვება, რადგან არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ლევინს საქართველოში რადიოაქტიური ნივთიერებები შემოჰქონდა. არსებული ინფორმაციით, ლევინისგან ამოღებული ქვები ექსპერტიზაზე ხვალ გაიგზავნება“,** – ნათქვამია ივანიშვილის პრესსამდივნის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში. ლევინის ადვოკატ შალვა თადუმაძის ინფორმაციით კი, ექსპერტიზის პასუხი, რომელიც კრისტალებს უნდა ჩაუტარდეს, სავარაუდოდ, ორ კვირაში გახდება ცნობილი. ამასთან, ადვოკატი განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ ფაქტზეა აღძრული და თავად ვალერი ლევინი არც ბრალდებულისა და არც მოწმის სტატუსით არ სარგებლობს.

საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ საუბარი იყო ბატონი ბიძინას ქალიშვილისათვის გამოგზავნილ წიგნზე, რომელსაც თან მინერალი ახლავს. სწორედ ეს მინერალი მიიჩნიეს ქართველმა **„სამართალდამცავებმა“** ატომურ ბომბად და გაწბილდნენ. თუმცა, ბალღამი მაინც გააყოლეს ბიძინა ივანიშვილს და ვითომ უბოროტოდ აღნიშნეს, რომ შეცდომაში შეგვიყვანა იმ ოკულტურმა წიგნმა, რომელიც ივანიშვილებისათვის ჩამოიტანესო. მოკლედ, სააკაშვილი და მისი ბანდა ყოველი საშუალებით ცდილობს ჩირქი მოსცხოს ქართულ პოლიტიკაში მოსვლის მსურველ ბიზნესმენს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

**საქინფორმი,**
**„ილორის“ კომენტარით.**




# ბასის განცხადებით ცხადი შეიქნა ამერიკისა და დასავლეთის პოზიცია – სააკაშვილის დემოკრატობანას თამაში უკვე მათაც მოსწყინდათ



**„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ყურადღებით ადევნებს თვალს ბიძინა ივანიშვილის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. ის შედარებით ახალი ფიგურაა პოლიტიკაში. მან ჩვენთან შეხვედრაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა იმ ბრალდებების შესახებ, რომელსაც, ბიზნესმენის თქმით, მას უყენებენ. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ ყველაფერს თვალს და თუ საჭირო იქნება, ამ საკითხებს საქართველოს მთავრობასთანაც განვიხილავთ“,** – ეს განცხადება აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ბიძინა ივანიშვილთან დიპლომატიური კორპუსის შეხვედრის მეორე დღეს გააკეთა. განსაკუთრებით საყურადღებოა განცხადების ის ნაწილი, სადაც ბასი ამბობს: **„ჩვენ ვმუშაობთ მთლიანად პოლიტიკურ სპექტრთან. მხოლოდ იმ ძალებთან არ ვითანამშრომლებთ, რომლებიც ძალადობის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებას შეეცდებიან. მნიშვნელოვანია, რომ იყოს ისეთი სათამაშო ველი, სადაც ყველა მონაწილეს თანაბარი შესაძლებლობა ექნება“.** ექსპერტთა მტკიცებით, ეს მეტად მნიშვნელოვანი გზავნილია როგორც მთელი საზოგადოებისთვის, ასევე ხელისუფლებისთვის. რას ფიქრობენ ამ საკითხებზე ივანიშვილის გუნდში, მისი მრჩეველთა საბჭოს ერთ-ერთი წევრისგან, **ირაკლი სესიაშვილისგან** შევიტყობთ.

**– ბატონო ირაკლი, ბიძინა ივანიშვილს დიპლომატიური კორპუსის საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია შეხვდა. იქნებ გვითხრათ, რაზე წარიმართა საუბარი?**

– შეხვედრის მიზანი იყო გაგვეცნო დიპლომატიური კორპუსისთვის ბიძინა ივანიშვილის ტერორიზების ბოლოდროინდელი ფაქტები, შეხვედრას გაცნობითი ხასიათიც ჰქონდა. ბიძინა ივანიშვილმა დიპლომატებს აუწყა თავისი მოსაზრება შიდა და გარეპოლიტიკურ ვითარებაზე, გააცნო საკუთარი პოლიტიკური ხედვა, რაც მისი წერილებისა და ინტერვიუების წყალობით ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე მეტ-ნაკლებად ცნობილია. სამწუხაროდ, არ შემიძლია საუბრის შინაარსის დეტალურად გადმოცემა, მაგრამ გეტყვით, რომ საუბარი წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში და დიპლომატების არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ არ დარჩენილა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ჯონ ბასის განცხადებები მაფიქრებინებს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ხედვა დიპლომატიური კორპუსის უყურადღებოდ არ დარჩენილა. განსაკუთრებით მენიშნა, ის აზრი, რომ **აშშ** არ ითანამშრომლებს იმ ძალებთან, რომლებიც ძალადობას პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოიყენებენ. ეს არის პირდაპირ პასუხი ხელისუფლების იმ ქმედებებზე, რომლითაც ივანიშვილს ბოლო დღეებში ებრძვიან. ამასთან, მკაფიოდ ითქვა, რომ ყველა პოლიტიკური მოთამაშისათვის თანაბარი სამოქმედო ველი უნდა არსებობდეს. აქ, სავარაუდოდ, იმაზეა მინიშნება, ხელისუფლებამ ივანიშვილს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის მიზნით მოქალაქეობა რომ გაუუქმა. მიმაჩნია, რომ ამ განცხადებით ცხადი შეიქნა ამერიკისა და დასავლეთის პოზიცია – სააკაშვილის **„დემოკრატობანას“** თამაში უკვე მათაც მოსწყინდათ. აქამდე ითმენდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში არ ჩანდა პოლიტიკური ძალა, ალტერნატივა, რომელსაც ექნებოდა მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით და ასევე მისი პოლიტიკური ხედვა მისაღები იქნებოდა ცივილიზებული სამყაროსთვის. ამჯერად ასეთი ძალა გამოჩნდა, ეს არის ბიძინა ივანიშვილი და ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც მის გარშემო ნელ-ნელა ყალიბდება.

**– ამის პარალელურად ხელისუფლება კვლავაც ჯიუტად ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური აქტიურობა კრემლის პროექტია.**

– ეს არის წმინდად სახელისუფლებო პროპაგანდა, თანაც ძალიან გაცვეთილი. მათი ლოგიკა ასეთია: რუსეთი მტერია, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით მათი აზრით, ვინც სააკაშვილის ხელისუფლებასთან არ არის, ის აუცილებლად რუსეთთან არის და ქვეყნის მტერია. მცდარი და უარგუმენტო ლოგიკაა. ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ ბიძინა ივანიშვილის რუსულ ინტერესებთან კავშირზე, თუმცა ამის დამადასტურებელი ერთი ფაქტიც არა აქვთ. არადა, ხელისუფლების მოქმედებები უფრო მეტად ჯდება ხოლმე, ჩვენდა სამწუხაროდ, კრემლის ინტერესებში. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გახსენებაც საკმარისია, როდესაც სწორედ რუსეთის სცენარში ითამაშა სააკაშვილის ხელისუფლებამ ლამის მთავარი როლი და ამით ქვეყნის ინტერესები უკიდურესად დააზარალა. თუნდაც ქვეყანაში შექმნილი არაჯანსაღი გარემო და დემოკრატიის ხარისხი ავიღოთ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაა, რასაც ზღუდავს სააკაშვილის ხელისუფლება, რითაც ჩვენს ევროინტეგრაციას უშლის ხელს და შესაბამისად, პუტინის სცენარის ნაწილი ხდება.

**– დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში რამდენიმე კითხვა დაუსვა ბიძინა ივანიშვილს, მათ შორის – კრემლთან ურთიერთობაზეც. მისი მტკიცებით, ბიძინა ივანიშვილი შედიოდა იმ შვიდი ოლიგარქის კავშირში, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებას აფინანსებდნენ.**

– ივანიშვილმა რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე 2005 წელს მიცემულ თავის ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა და ყველა საჭირო განმარტებაც გააკეთა. გაბაშვილს შეუძლია მოძებნოს ეს ინტერვიუ და პასუხებიც მიიღოს. ისე უნდა გითხრათ, რომ გოკა გაბაშვილი არის ამ ხელისუფლების პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი გენერატორი, რომლის მიზანიც ივანიშვილისთვის ჩირქის მოცხებაა, ამიტომაც მის განცხადებებზე განმარტებებს დიდად საჭიროდ არ მივიჩნევ.

**ნათია დოლიძე**

# გაზეთ “ილორის” რედაქციას

უპირველესად დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენს გაზეთში ესოდენ საჭირბოროტო და აქტუალური საკითხების გაშუქებისათვის!

მე **“ილორის”** ერთგული მკითხველი ვარ. მრავალფეროვან მასალებთან ერთად თანმიმდევრობით ვეცნობი გაზეთში გამოქვეყნებული, ჩვენი ღირსეული წინაპრის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალას.

პატრიარქი ჭეშმარიტად გახლდათ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის არა მხოლოდ სასულიერო მოღვაწე ბერი, არამედ იგი გახლდათ თავდადებული მამულიშვილი, ილია ჭავჭავაძის იდეების ცხოვრებაში გამტარებელი. ამაზე მეტყველებს მისი სიტყვები: **“ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული – საქართველოს, სხეული კი თქვენთვის მომიგდია, ჯალათებო და ჯიჯგნეთ, როგორც გენებოთ!”**

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს შესრულდა ვალმოხდილი პატრიარქის დაბადებიდან 150 წლისთავი. მხოლოდ თქვენმა გაზეთმა პატივჰყო საქართველოს ღირსეული საჭეთმპყრობელი, მისი დაბადების თარიღთან დაკავშირებით. არც საკუთარ რაიონს, არც სხვა მედიასაშუალებებს არ აღუნიშნავთ კათოლიკოსის იუბილე. ასე იყო ბოლშევიკების ჟამს, როცა ამბროსი ხელაიას 100 წლისთავის იუბილე მიაჩუმათეს!

კიდევ ერთხელ გამართლდა დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: **“ერის გათახსირება იწყება მაშინ, როცა ის საკუთარ წარსულს ივიწყებს”**-ო.

სამწუხაროდ, დღეს ასეა.

მადლობა ნაწარმოების ავტორს ბატონ ბორის დავითაიას, რომელმაც ცდა არ დაიშურა პატივი მიეგო პატრიარქის წმინდა იდეებისა და კეთილშობილური ღვაწლისთვის, მისი დაბადების ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით.

მადლობა თქვენ, ბატონო რედაქტორო, რომ ასე დააფასეთ ერის სულიერი წინამძღოლი.

პატივისცემით,

**რაჟდენ ფოჩხუა,**
**ქალაქი სენაკი.**

**რედაქციის კომენტარი:** მართალი ბრძანდება ბატონი რაჟდენი, როცა ილიას მწარედ ნათქვამ სიტყვებს იხსენებს. მართლაც, დღეს ქართველი ერის გათახსირება, მისი სომხური ხელისუფლების წყალობით, საკმაოდ მძიმე სინდრომად არის ქცეული და თუ ეს ჭირი დროულად არ მოვიშორეთ თავიდან, მძიმე დაავადება მალე შეიძლება მოურჩენელ სენად გვექცეს.

იმ ხელისუფლებისათვის, რომელთა სულიერ ორიენტირს დეისაძე-ბურჭულაძე-წკრიალაშვილი-რურუა-თევზაძე-პაიჭაძე და მსგავსნი მათნი წარმოადგენენ, წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელის ხსენებაც კი დიდ **“საფრთხეს”** წარმოადგენს! როცა ბოკერია-წიკლაურ-ოჩიაურები და მსგავსნი მათნი ერის სულიერ სატკივარად მხოლოდ იმას მიიჩნევენ, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის დაშვებული ერთსქესიანი ქორწინება და სამარცხვინო საქმედ ითვლება **“ქალიშვილობის ინსტიტუტი”**, როგორ შეიძლება მათ ამბროსი ხელაიას უტეხ სულსა და სანიმუშო სამოქალაქო თავგანწირვაზე ესაუბრო.

ეს აშკარად ეწინააღმდეგება სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მრწამსს, რომელიც მათ ნარკოტიკივით შეუშხაპუნეს ყოველგვარი ტრადიციულის დაუძინებელი მტრისა და რელიგიურობის დამანგრეველმა ამერიკელებმა. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კიევის **“სუკ”**-ის ჯარ და წვრთნაგამოვლილ მიხეილ სააკაშვილს ამბროსი ხელაიაზე მეტად ის შავტყაპუჭიანი ჩეკისტი უყვარდეს, რომელმაც ჯანგალეული მოხუცი თავის უტეხი ნებისყოფისა და ქრისტესმიერი გზის ერთგულების გამო ჯვარზე გააკრა.

ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ჩვენი პროსომხური ხელისუფლების წახალისებით, თბილისში სომეხი რევოლუციონერის სტეფანე შაუმიანის ძეგლის ადგილზე სომეხი ბუბა კიკაბიძისა და სომეხი ფრუნზიკ მიკირტიჩიანის მიერ განსახიერებულ კინოგმირებს ძეგლს უდგამენ ზარ-ზეიმით, წამებული და სულგაუტეხელი ამბროსი ხელიას სახელს კი საერთოდ არ ახსენებენ!

ცოტაც კიდევ, და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება!

ოღონდ, ჩვენც ხელი თუ არ გავატოკეთ...

ხომ იცით, რა უთხრა ღმერთმა მდინარეში ჩავარდნილ, დასახრჩობად განწირულ ადამიანს:

**“ხელი გაანძრიე და გადარჩებიო”!**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

და სწორედ ამ წრემ დაიწყო ამორალური, გამხრწნელი, დამღუპველი ზემოქმედება თავიანთ უმაღლეს **"შეფებზე"**. და რამდენადაც ნაკლებად აგებდა პასუხს მინდობილ საქმეზე **"პასუხისმგებელი მუშაკი"**, მას თავაუღებელი მუშაობის იმიტირების დაძლეველი სურვილი უჩნდებოდა, რომელსაც შემდეგ ოსტატურად ნიღბავდა **"პარტიულობის"** ნიშნით.

ტყუილად კი არ გამოიცა, 1947 წლის 28 მარტს, სტალინის ინიციატივით სსრკ კომპარტიის ცეკას და მინისტრთა საბჭოს დადგენილება **"სსრკ სამინისტროებსა და უწყებებში ღირსების სასამართლოების შექმნის შესახებ"**. აღნიშნულ ღირსების სასამართლოებს ევალებოდათ **"ხელმძღვანელი მუშაკების, ოპერატიული მუშაკების, მეცნიერების, სსრკ სამინისტროებისა და ცენტრალური უწყებების ხელმძღვანელ და რიგით მუშაკთა მიერ იმ ანტიპატრიოტული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩადენის შემთხვევების განხილვა, რომლებიც არ ითვალისწინებენ სისხლის სამართლის დევნას..."**

1947 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე ღირსების სასამართლოები შეიქმნა სსრკ 82 სამინისტროსა და ცენტრალურ უწყებაში. 1947 წლის სექტემბერში ღირსების სასამართლო შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში, 1948 წლის აპრილში კი – სსრკ მინისტრთა საბჭოს აპარატში. ამ სასამართლოებს დამნაშავისათვის შეეძლოთ გამოეტანათ საზოგადოებრივი გაკიცხვა, საზოგადოებრივი საყვედური ან გადაეგზავნათ საქმე საგამოძიებო ორგანოებისათვის.

მაგრამ იოსებ სტალინის ამ წამოწყებას პარტიული და სამეურნეო დარგის ჩინოვნიკები თანდათან **"აფერმკრთალებდნენ"**, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური კომიტეტის აპარატში რამდენიმე სხდომა სწორედ სტალინის თანდასწრებით გაიმართა. საჭირო იყო კი ღირსების სასამართლო იმ ადამიანებისათვის, რომელსაც ღირსება არ გააჩნდათ და მზად იყვნენ, თავიანთ უფროსებთან ერთად, ყოველგვარ უმსგავსოებაზე წასულიყვნენ **"მაძღრად ყოფნისათვის"**? ტყუილად კი არ დაივიწყეს, მყარად და სამუდამოდ, ღირსების სასამართლოების არსებობის თაობაზე, საბჭოთა კავშირის სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის დღიდან!

მაგრამ მთელ თავის ბინძურ ძალას ავლენდა კიდევ ერთი ფაქტორი. ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა, მზვერავმა და პოლიტოლოგმა ჯორჯ კენანმა – ადამიანმა, რომელმაც ბევრი რამ ვერ გაუგო საბჭოთა რუსეთს, მაგრამ ბევრი რამ მაინც გაუგო, მოულოდნელად, დიდი გულისწუხილი გამოთქვა საბჭოთა კავშირის ბედის გამო, რომელსაც მის გარეშე ვერ წარმოედგინა საყოველთაო მსოფლიო მშვიდობა. ამ ზესახელმწიფოს დანგრევას იგი ხსნიდა იმით, რომ **"საბჭოთა კავშირის პარტიული ელიტის შვილებს არ გააჩნდათ მომავლის ზუსტი ხედვა და მიზანი"**.

მე უკვე მოგიყევით სსრკ სახალხო კომისარ შახურინის შვილზე. ახლა კი საილუსტრაციოდ მოვიყვან იმის მაგალითს, თუ უვარგისი მამები როგორ მოუვლენდნენ სამყაროს, დაბადებიდანვე, უვარგის შვილებს. საბჭოთა კავშირის ისტორიაში ცნობილია ტროიანოვსკების გვარის ორი წარმომადგენელი: მამა – ალექსანდრე და შვილი – ოლეგი. მამა – მეფის არმიის ოფიცრის ოჯახში 1882 წელს დაბადებული, თავად ოფიცერი, 1904 წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, 1909 წელს გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც გაიქცა, 1914 წლიდან, იყო მენშევიკი, 1917 წელს ჩამოვიდა რუსეთში, 1923 წელს გახდა სსრკ კომპარტიის წევრი, იმუშავა სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე და გარდაიცვალა 1955 წელს, 73 წლის ასაკში.

მისი შვილი – ოლეგი, დაიბადა 1919 წელს, გახდა ცნობილი დიპლომატი და 1997 წელს გამოაქვეყნა მემუარები, რომელსაც ზუსტი სახელწოდება მოუძებნა – **"ერთი ოჯახის ისტორია"**. **"დიპლომატ"** ოლეგ ტროანოვსკისათვის, **"მენშევიკ-ბოლშევიკის"** შვილისათვის არც 1991 წელს შეცვლილა რამე. უფრო ზუსტად – ტროიანოვსკისთანა (შვილი) ადამიანები არ იმჩნევენ, რომ რაიმე შეიცვალა. დავუშვათ, იყო **"ტირანი"** სტალინი, მერე იყო **"ვოლიუნტარისტი"** ხრუშჩოვი, **"უძრაობის შემოქმედი"** ბრეჟნევი, იყვნენ სრულიად ამორფული და გაუგებარი ანდროპოვი და ჩერნენკო... მიხეილ გორბაჩოვის შემდეგ კი საქმე ოდნავ აირია, მაგრამ, აი, მოვიდა ბორის ელცინი... რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად ვერ იყო, მაგრამ მოსკოვი ხომ ადგილზეა, იგი კვლავინდებურად მისი სამშობლოს დედაქალაქია...

ადგილზეა მათი საცხოვრებელი ბინაც, **"რუსული დიპლომატიაც"** ფუნქციონირებს, მემუარებსაც კი ბეჭდავენ – როგორც წესია, ისე.

პირადად მე, ასეთი ხალხის ხილვა და მოსმენა გულს მირევს. მათ მთელი სიცოცხლე გაატარეს ქვეყანაში და კი არ ემსახურებოდნენ მას, არამედ მაღალანაზღაურებადი თანამდებობები (მათი ნიჭისათვის აშკარად შეუსაბამო) ეკავათ. იდეაზე, მათ, ახალგაზრდობაშიც კი, წარმოდგენა არ გააჩნდათ. ტყუილად კი არ იყო, რომ მოსკოვის ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის სტუდენტებს (რომელთა შორისაც იყო ოლეგ ტროიანოვსკი), განსაზღვრულ ადგილზე, ომისადმი მიძღვნილ დემონსტრაციაზე ერთხმად უნდა ეყვირათ: **"გაუმარჯოს ბორის ლეონიდეს ძე პასტერნაკს!"**

დააკვირდით, არა არისტოტელეს, დემოკრიტეს, ან თუნდაც ჰეგელს – ფილოსოფოსებს, არა პუშკინს, მაიაკოვსკის ან ჰეინეს – პოეტებს, არა კარამზინს, კლიუჩევსკის, ან თუნდაც აკადემიკოს ტარლეს – ისტორიკოსებს, არამედ ლაშებდაშვებულ, მთელი ცხოვრება ისტორიის გზის გვერდულზე მოსიარულე, არც თუ დიდი ნიჭის მქონე, ადგილობრივი მასშტაბის მქონე პასტერნაკს, რომელიც თითქოს საბჭოთა ელიტას წარმოადგენდა...

ეს ხომ ნიშანდობლივია, ძვირფასო მკითხველო!

ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ სტალინზე საუბრისას, რომლის გაცვეთილი კიტელის ფოლაქის ღირებულებაც კი არ გააჩნიათ მამა-შვილ ტროიანოვსკებს, შვილმა უკეთესი ვერაფერი გამოძებნა, იმის გარდა, რომ განეცხადებინა, თითქოს სტალინი არც სატანაა და არც ანგელოზი, არამედ პოლიტიკური პირამიდის წვერზე შემომდგარი პოლიტიკოსია, და, ამავე დროს, ტროიანოვსკი ახდენდა ამერიკის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის გამონათქვამის (მისი აზრით, საკმაოდ შესაბამის) ციტირებას, სადაც ეს მამლაყინწა ამერიკელი პოლიტიკოსი მაღალფარდოვნად ესაუბრებოდა საკუთარ ქალიშვილს: **"კარგი პრეზიდენტი რომ იყო, ამისათვის საჭიროა თავი მოუყარო შენში მაკიაველის, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთერთმეტის, ჩეზარე ბორჯიას, და ტალეირანის თვისებებს, იყო უტეხი ცრუპენტელა, გამცემი, ცბიერი რელიგიური მოღვაწე (რიშელიე), გმირი და არ ვიცი, კიდევ რა"**.

ოლეგ ტროიანოვსკის რომ პასუხად მიეღო – სტალინი ბოლშევიკი-ლენინელი იყოო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა თავისუფალი, განვითარებული და განათლებული (ამიტომაც – თავისუფალი) საზოგადოებისათვის სანუკვარი რუსეთის აღმაშენებლობას, **"მამა-დიპლომატის"** **"შვილი-დიპლომატი"** მხოლოდ მხრებს აიჩეჩავდა. ზედმეტი იქნებოდა მისთვის ამის შეგონება, რადგან ეს ოჯახი ყოველთვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არსებობდა.

ასეთი **"მამა-შვილები"** ქვეყანაში წარმოიქმნებოდნენ არა სტალინის სისტემის წყალობით, არამედ საერთო შემოქმედებითი აღტკინების ფონზე, ამგვარების შემოქმედება კი მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოწყობის საქმეს დასტრიალებდა.

მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში დადიოდა ლეგენდა იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთმა **"მოსამსახურემ"** (ისინი სწორედაც რომ **"მსახურობდნენ"** და არა – **"მუშაობდნენ"**) ეკონომიკური განყოფილების უფროსმა, რომელსაც ოთხი თუ ხუთი შვილი ჰყავდა, მინისტრის მოადგილის ვიშინსკის მწვავე შენიშვნას: **"საქმის გაკეთება თქვენ არ ძალგიძთ, თქვენ მხოლოდ ბავშვების კეთება შეგიძლიათ"**, ასე უპასუხა: **"თქვენ ესეც არ შეგიძლიათ, იმიტომაც ხართ ასეთი გაბოროტებული!"**

ეს **"გაბედული"** ჩინოვნიკი გახლდათ **"ელცინისეული რუსეთის"** ცენტრალური ბანკის მომავალი მმართველის გერაშჩენკოს მამა, რომელსაც, როგორც ვნახეთ, თურმე არც კარგი ბავშვების კეთება შეძლებია.

მაგრამ, საკუთარი კომფორტული ყოფის უზრუნველყოფა მათ შეეძლოთ. მკითხველმა უნდა გაიხსენოს, თუ როგორ მდიდრულად იყო იყო მოწყობილი, ერთ-ერთი **"მავნებელი-ექიმის"**, პროფესორ ვინოგრადოვის ბინა. და ისინი ხომ ნამდვილად მავნებლები იყვნენ! ამასთან – ინტრიგანებიც...

თუ საბჭოთა კავშირის მეოცე საუკუნის 40-50 წლების ისტორიას გავეცნობით, თანამედროვე **"მკვლევართა"** ნაშრომების მიხედვით, გამოდის, რომ მაშინ სრულიადაც არ არსებობდნენ ფრაზები **"დნეპრჰესის, სტალინგრადის, ლენინგრადის, სევასტოპოლის აღდგენა"**, **"სისტემა "ბერკუტი"**, **"ელექტრო-გამოთვლითი მანქანები"**, ბირთვული **"რდს-1"** და **"რდს-2"** და მხოლოდ არსებობდნენ **"ექიმების საქმე"**, **"ლენინგრადის საქმე"**, **"მიხოელსის საქმე"** და ა.შ.

მე არ შევუდგები ამ მეორე რიგის საკითხების განხილვას – ბერიას ამ **"საქმეებთან"** არავითარი კავშირი არ გააჩნდა. იგი თავისი სამუშაო დროის პირველ ნახევარს უთმობდა პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტას, მეორე ნახევარს კი – სახალხო მეურნეობის მართვას. მაგრამ მოგითხრობთ ერთ საინტერესო ფაქტზე, თუ როგორ გადაიკვეთა ატომური დარგის კურატორის ლ.პ. ბერიას და **"ექიმთა საქმის"** ერთ-ერთი მომავალი **"გმირის"** პროფესორ ეგოროვის გზები.

**1947 წლის მიწურულს მახნევმა შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა ბერიას:**

**"კრემლის სამკურნალო-სანატორიუმთა სამმართველოს უფროსმა ეგოროვმა მაცნობა, რომ კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილებით უნდა შემცირდეს სანატორიუმის მომსახურეობით მოსარგებლე კონტიგენტის რიცხვი.**

**თქვენი თხოვნით, სანატორიულ მომსახურეობაზე მიმაგრებული იქნა რამდენიმე მეცნიერი, რომელთა სამუშაო რეჟიმი მოითხოვს მათ ჯანმრთელობაზე მუდმივი კვალიფიციური კონტროლის დაწესებას.**

**როგორც ეგოროვმა მაცნობა, სწორედ ეს მეცნიერები უნდა მოიხსნან სანატორიული მომსახურეობიდან.**

**აკადემიკოსმა ლ.ს. სობოლევმა უკვე მიიღო სანატორიული მომსახურეობიდან მოხსნის შეტყობინება.**

**მეცნიერები გვთხოვენ, რომ მათ და მათი ოჯახის წევრებს დავუტოვოთ არსებული შეღავათები.**

**მეცნიერთა სია თან ერთვის.**

**ვ. მახნევი,**
**1947 წლის 26 დეკემბერი."**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ეგოროვი იმდენ პარტიულ უსაქმურებს ემსახურებოდა, რომ სიის შემცირება გახდა საჭირო. და მაინც ვის ხარჯზე გადაწყვიტა **"ეკონომიის"** გაკეთება კრემლის სამკურნალო-სანატორიუმთა სამმართველოს უფროსმა?

აი, იმ მეცნიერთა სია, რომელიც მახნევმა წერილს დაურთო:

**1. კურჩატოვი ი.ვ. – აკადემიკოსი**
**2. სობოლევი ს.ლ. – აკადემიკოსი**
**3. ალიხანოვი ა.ი. – აკადემიკოსი**
**4. სემიონოვი ნ.ნ. – აკადემიკოსი**
**5. ხლოპინი ვ.გ. – აკადემიკოსი**
**6. კიკოინი ი.კ. – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**
**7. ხარიტონი – –"–**
**8. არციმოვიჩი ლ.ა. – –"–**
**9. ალექსანდროვი ა.პ. – –"–**

ეს გახლდათ ატომური პროექტის **"თავი და თავი"**, რომლებიც გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ მაღალი ინტელექტით, არამედ იმითაც, რომ კარგად იყვნენ გარკვეული სამუშაოთა ცალკეულ სტადიებში, რაც მათი ურთიერთთანამშრომლობის მარგი ქმედების კოეფიციანტს მნიშვნელოვნად ზრდიდა. მათი ჯანმრთელობა და ძალები იმ დროისათვის ეკუთვნოდათ არა მათ, არამედ სახელმწიფოს, როგორც მნიშვნელოვანი ფასეულობა.

ეს მეცნიერები კრემლის სანატორიუმებს მიამაგრეს ბერიას თხოვნით. სწორედ ეს გახლდათ ბერიას უანგარო დახმარება იმ ხალხის მიმართ, ვინც, თითქოს, ცილისმწამებელთა ენით რომ ვთქვათ, **"მას სჭირდებოდა"**. ეგოროვმა კი ისინი გარიყა და ეს მაშინ, როცა მან კარგად იცოდა ამ ადამიანების მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ, ეგოროვის საქციელი უნდა მივიჩნიოთ მავნებლობად. სწორედ ამიტომ, ეგოროვისა და ვინოგრადოვისნარი ადამიანებისადმი წაყენებული ბრალდებები სრულიად საფუძვლიანია.

ბერიამ იმავე დღეს მოახდინა რეაგირება და სტალინის თანაშემწე პოსკრებიშჩევს გადაუგზავნა მახნევის ბარათი შემდეგი მინაწერით:

**"ამხანაგ პოსკრებიშჩევს!**

**გთხოვთ სიაში ჩამოთვლილ ამხანაგებს შეუნარჩუნოთ კრემლის სანატორიუმებით სარგებლობის უფლება.**

**ლავრენტი ბერია,**
**1947 წლის 26 დეკემბერი".**

აქ ყველაფერი ჩამოყალიბებულია დროის მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ მოხდა სხვა რამეც.

თუ როგორ **"უმკურნალეს"** ჟდანოვს, მკითხველმა უკვე იცის. მაგრამ, აი, როგორ უმკურნალეს კალინინს... მისი **"მკურნალობის"** თაობაზე **"ექიმის საქმეზე"** დანიშნულ საგამოძიებო კომისიას მოუთხრო უზომოდ შეშინებულმა კალინინის მკურნალმა ექიმმა 1940-1943 წლებში – ს.ე. კარპაიმ. შეშინებულმა არა იმიტომ, რომ უშიშროების სამინისტროში მას კბილები ჩაუმტვრიეს, არამედ იმიტომ, კალინინის მკვლელობის ბრალდება სწორედ მას წაუყენეს, კარპაიმ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ფრიად საინტერესო ფაქტები **"გაიხსენა"**.

1942 წლის ივნისში კარპაიმ დააყენა კალინინის ჯანმრთელობის საფუძვლიანად გამოკვლევის საკითხი, რომელიც ნაწლავების ტკივილს უჩიოდა. და მაშინ, კრემლის სამკურნალო-სანატორიუმთა სამმართველოს უფროსი ეგოროვი: 1) შემოიფარგლა იმით, რომ კალინინს დაუნიშნა კლიზმა, დიეტა და მედიკამენტოზური მკურნალობა; 2) *შეუცვალა კალინინს მკურნალი ექიმი.*

მხოლოდ 1944 წლის 10 ივნისს კალინინს ოპერაცია გაუკეთა პროფესორმა ა.დ. ოჩკინმა, როდესაც გამოვლინდა კუჭის კიბოს საკმაოდ მიშვებული და გართულებული ფორმა. ოჩკინმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, მაგრამ მოახერხა ის, რომ მხოლოდ სიცოცხლის ვადა გაუხანგრძლივა განწირულ მოხუცს – 1946 წლის ივნისში კალინინი გარდაიცვალა.

დაპატიმრების შემდეგ კრემლის სამკურნალო-სანატორიუმთა სამმართველოს ხელმძღვანელობას ბრალი დასდეს იმაში, რომ მათ საიქიოს გაისტუმრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალექსანდრე შჩერბაკოვი, რომელიც სულ 44 წლის იყო. და ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა ჭეშმარიტებას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შჩერბაკოვი თავის მოგონებებში საკმაოდ **"გაათავა"** ხრუშჩოვმა, და მას ბერიაც **"მიაწება"** – თითქოს, **"ბერია ამბობდა, რომ შჩერბაკოვის სიკვდილის მიზეზი მისი წრესგადასული ლოთობა გახლდათ"...** არავითარ შემთხვევაში, ალექსანდრე სერგეის ძე შჩერბაკოვი მოკვდა იმიტომ, რომ პარტოკრატიას ხელს უშლიდა უზრუნველი ცხოვრების მოწყობის საქმეში, რომლის თვალნათელი დადასტურებაც გახლდათ ეგრეთ წოდებული **"ლენინგრადის საქმე"**.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარულის ნოსტალგია

დამშვიდნენ.

ერთხანს დუმილის შემდეგ ტანიამ თქვა:

– მანია დეიდა, მე არსად წამსვლელი არა ვარ, აქაც დარჩენა... არ ვიცი... მინდა სადმე ვიმუშაო. სახლში ვერ დავბრუნდები. მიმოწერა მექნება, გამიგებენ. ვერ წავალ, თუ წვალებაა, წვალება იყოს... ახლოს ვიქნებით, მე აქ, ის იქ.

– მართალს ამბობს,– დაუმოწმა ვანიამ მანიას.

მანია ერთხანს ჩაფიქრდა და თქვა:

– ასეთი კარგი გოგო ჩემსავით პუტეიცად ხომ არ იმუშავებს, ლიანდაგების და შპალების დაგებას ხომ არ დაიწყებს.

– სხვა არაფერია სამუშაო?

– აქ არაფერი ისეთი, აქედან ორას კილომეტრში დიდი კომპლექსი შენდება, გოგონებიც ჰყავთ: მღებავები, მლესავები, ხარატები, მეამწეები... მაშინ რომელიმე პროფესიას უნდა დაეუფლოს, სამთვიან კურსებს გაივლის, ძნელი არ არის, სტიპენდიასაც მისცემენ.

– ტანიასთვის არ იქნება ძნელი, უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია და რაღაც სამთვიან კურსებს ვერ გაივლის? – თქვა ვანიამ და ტანიას შეხედა,– უნდა დაელოდო, მაიორისგან შენი მეუღლის შესახებ ბევრ რამეს შევიტყობ... მიმოწერა გვექნება.

მანიამ ტანიას თავზე ხელი გადაუსვა და მოეფერა:

– მისამართს მივცემ, ჩემი სახელით მივა, პრობლემა არ ექნება.

## თავი II
## იაკოვლევიჩის ბრიგადა

ქალთა საერთო საცხოვრებელი. სამოცს მიტანებულმა მსუქანმა ქალბატონმა კლავდია მიხაილოვნამ ღილაკს თითი დააჭირა თუ არა, გაისმა სირენა. გოგონებმა კიბეები კისკისით ჩამოირბინეს და საერთო საცხოვრებლის წინ პატარა მოედანზე შეიკრიბნენ.

მაღალმა პირხმელმა მამაკაცმა საქაღალდე დააძრო და დაიწყო კითხვა:

– ტიმოფეის ბრიგადა ვარონკაში! მატვეევის ბრიგადა შეპეტოვკაში! ანტონოვის ბრიგადა მესამე საამქროში! სტოლიაროვის ბრიგადა მეექვსე საამქროში! ავეტისიანის ბრიგადა შუშის საამქროში! ივანოვას ბრიგადა რკინა-ბეტონის ქარხანაში! იაკოვლევიჩის ბრიგადა მეშვიდე ტრესტში! სკვორცოვას ბრიგადა მცირე მექანიზაციაში! გისურვებთ ბედნიერ სამუშაო დღეს, გოგონებო! – საქაღალდე დაკეცა და წავიდა.

ივან იაკოვლევიჩი შუახნის ჩამრგვალებული მამაკაცია. სახე ყოველთვის უცინის. ახლა ის კითხულობს სიას.

– ყველანი ადგილზე არიან, იაკოვლევიჩ, ნატაშას გარდა,– უთხრა ერთ-ერთმა გოგონამ.

– სად ბრძანდება ნატაშა?

– ავად გაგვიხდა.

– რა დაემართა, სიყვარულისგან ხომ არ გახდა ავად? კლუბში ჯარისკაცს რომ ეტანცავებოდა, ხომ არ გაექცა?

– არა, პირიქით.

– ესე იგი, ნატაშა არ არის, მივხედოთ საქმეს, ოთხი მესამე სართულზე წავა, ხუთი მეოთხეზე, მთელ სართულს ვერ მოასწრებთ, დანარჩენები სადაც იყავით იქ, სამ დღეში ალბათ დავამთავრებთ, მერე თაბაშირის საამქროში გაგიშვებთ.

– ოოო, ისევ თაბაშირის საამქრო, რა ამბავია იაკოვლევიჩ, – შეწუხდნენ გოგონები, – არ გვინდა თაბაშირის საამქრო.

– აბა ცემენტის ქარხანა გინდათ?

– იქ ჯარისკაცები მუშაობენ.

– რაზგავორჩიკი! ჯარისკაცებიო, მერე თქვენც ეგ არ გინდათ, შარშან თორმეტი გოგო წაიყვანეს ჯარისკაცებმა, ვინ უკრაინაში, ვინ კავკასიაში გათხოვდა, წელსაც იგივე იქნება, რიგში რომელი ხართ?

იცინიან.

– ყველანი თუ გავთხოვდით, მერე რა გეშველებათ, იაკოვლევიჩ? შპაკლს ვინ გააკეთებს?

– თქვენ ოღონდ გათხოვდით, ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, ახლები ხომ მოვლენ? მერე ისინიც წავლენ, გაჰყვებიან ჯარისკაცებს, მერე ისევ ახლები მოვლენ, მერე წავლენ და ასე შემდეგ. იაკოვლევიჩის ბრიგადის გოგოები მთელ საბჭოთა კავშირს მოედებიან.

იცინიან და იცინიან.

ივან იაკოვლევიჩმა საქაღალდე დაკეცა, ჯარისკაცივით სმენაზე დადგა, ხელი მაღლა ასწია და სასტვენში ჩაჰბერა, ეს იმისი ნიშანი იყო, რომ გოგონები ავტობუსში ასულიყვნენ.

– ანუკა, დევოჩკი! პა სალდატსკი! მარჯვნისა-კენ! რაზ-დვა! რაზ-დვა! და პირდაპირ ავტობუსისაკენ ნაბიჯით იარ!

რამდენიმემ ხელები საფეთქელთან მიიდეს და დაიძახეს:

– არის, იაკოვლევიჩ!

სიცილ-კისკისით გაეშურნენ ავტობუსისაკენ.

იაკოვლევიჩის ბრიგადა ოცდაათი გოგონასაგან შედგებოდა, მათი ასაკი ოც წელს არ აღემატებოდა.

ავტობუსი ის-ისაა უნდა დაძრულიყო, რომ კომენდანტი ქალის ხმა გაისმა:

– ივან იაკოვლევიჩ! ივან იაკოვლევიჩ!

– რა იყო კლავოჩკა?

– თქვენთან არიან!

ავტობუსს ტანია მიუახლოვდა.

– გამარჯობათ ივან იაკოვლევიჩ.

– გამარჯობათ, მე თქვენ არ გიცნობთ.

– მე დეიდა მანიამ გამომგზავნა თქვენთან.

– რომელმა დეიდა მანიამ?

– ბუროვკადან... მისი ქმარი თქვენი ამხანაგი იყო.

– ააა! – შეჰკივლა იაკოვლევიჩმა და თვალები ცრემლებით აევსო, – ჩემი მანიუშა, ჩემი ბორკას მანიუშა! როგორ არის?.. ეე, როგორ იქნება საწყალი ქალი.

ტანიამ კონვერტი მიაწოდა.

– ეს თქვენ.

ივან იაკოვლევიჩმა კონვერტი გახსნა, წერილი წაიკითხა, თავი დაუკრა და ავტობუსში ასვლა სთხოვა.

– დევოჩკი! მისმინეთ ერთი წუთით! – გასძახა გოგონებს,– ეს გოგონა დღეიდან თქვენთან ერთად იმუშავებს! Просим любить и жаловать!

ყველამ ტანიას შეხედა.

– ჩვენთან უნდა იცხოვროს, საერთო საცხოვრებელში? – ჰკითხა ერთ-ერთმა.

– არა, ვლადივოსტოკში უნდა გავაგზავნო, სასტუმრო პრიმორსკაიაში და იქიდან იაროს სპეციალური რეისით!

– მატარებლით თუ თვითმფრინავით?

– რაკეტით!

იცინიან და იცინიან.

ავტობუსი ოთხსართულიანი მშენებარე სახლის წინ გაჩერდა.

– აბა! სწრაფად, გამოიცვალეთ და შეუდექით საქმეს! – დაიძახა იაკოვლევიჩმა და ტანია განზე გაიყვანა,– ჩემო ტანკა, ეს ჩვენი ერთ-ერთი ობიექტია, სახლის მშენებლობა დამთავრებულია, კედლებიც გალესილია, მარტო აქა-იქ ამოღრუნტული ადგილების შევსება და შემდეგ შეღებვაა საჭირო. ძნელი არ არის, ერთხელ ნახავ და ისწავლი... ანუკა დევოჩკი, ბისტრო! ზა რაბოტუ!

გოგონები სართულების და ოთახების მიხედვით განაწილდნენ.

იაკოვლევიჩმა ქაფჩა დაიჭირა და ტანიას უთხრა:

– ამას ხომ ხედავ?

ტანიამ თავი დაუქნია.

– რა არის თუ იცი?

– ქაფჩა.

– ყოჩაღ, გცოდნია, მე მეგონა არ იცოდი. აი ასე, უნდა აიღო და წაუსვა, რამდენიც საჭიროა... ხედავ, აი ასე, ვიღებ და ვუსვამ! აი აქ ამობურცული არ ეტყობა, მაგრამ ცოტას მაინც ვუსვამ, აი ამ კედელზე რამდენი ამობურცული ადგილია, დაითვალე.

– შვიდი, რვა.

– ყველგან ვუსვამთ, სადაც წასასმელია, უნდა წავუსვათ, ხომ წავუსვით? – სასაცილოდ დაიჯღანა.

– დიახ, ივან იაკოვლევიჩ.

– ცოტა ხანი გაშრობა უნდა ვაცალოთ, დაახლოებით ოცი წუთი, შემდეგ ვიღებთ შკურკას და ვუსვამთ, აი ასე, რაზ-დვა, რაზ-დვა! ძნელია?

– არ არის ძნელი, შეიძლება გავსინჯო?

– ხვალიდან, დღეს გოგონებს უყურე, როგორ აკეთებენ.

შუადღისას ყველანი ერთად სიცილ-კისკისით სასადილოსკენ გაეშურნენ, ზოგი ჯარისკაცებივით – მხედრული ნაბიჯებით.

სუფრის თავში ივან იაკოვლევიჩი დაჯდა.

– მოგწონთ ჩვენთან? – ჰკითხა ერთმა გოგონამ ტანიას.

– ძალიან მომწონს, განსაკუთრებით ივან იაკოვლევიჩი.

– ის ჩვენი მეორე მამიკოა, მოფერებით პახანას ვეძახით.

– სამუშაო თუ მოგწონს? – ჰკითხა მეორემ.

– სამუშაოც მომწონს, არ არის ძნელი.

– ადრე გიმუშავია?

– არა.

– სპეციალობა არა გაქვს?

– მე ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვარ, მომავალი ფილოლოგი.

– ოოო, ჩვენ ბოდიში... მერე აქ როგორ მოხვდი?

ტანიას სევდიანად გაეღიმა და მხრები აწურა.

– კარგია უნივერსიტეტი, სტუდენტობა, ჩემი ოცნება იყო.

– მერე გახდები, არ არის გვიან.

იაკოვლევიჩმა სწრაფად ისადილა და ადგა.

– ხუთი წუთი გაქვთ დრო!

– რა მოხდა იაკოვლევიჩ, ჯარისკაცები ხომ არა ვართ? ჰაუბტვახტში ხომ არ გვზივართ?

– რაზგავორჩიკი! – იაკოვლევიჩმა დიდი ჭიქით არაყი გადაჰკრა და ღიღინით წავიდა:

**«Ах ты, девушка, постой, постой…**
**Будешь, девушка, моей женою…**

ისევ სიცილი:

– რა კაცია ეს ჩვენი პახანა.

– ნამდვილი ჩუდაკია!

საღამოთი მხიარულად დაბრუნდნენ საერთო საცხოვრებელში.

თითო ოთახში სამ-სამნი ცხოვრობდნენ.

– კლავოჩკა, ჩემს გოგონებთან ხომ არის ადგილი? – ჰკითხა იაკოვლევიჩმა კომენდანტ ქალს.

– როგორ არა, ნადია რომ იწვა.

– რომელი ნადია? რომ გათხოვდა? ის ისეთი თავაშვებული იყო, შეიძლება გამოთხოვდეს და მერე ეს გოგო სად წავიყვანო?

– ადგილების მეტი რა გვაქვს, იაკოვლევიჩ, – კლავამ ხელები გაშალა, – აქ ყოველთვის ან თხოვდებიან, ან გარბიან, უკან დაბრუნებული კი არ მინახავს.

– ძალიან კარგი, ესე იგი ნადიას ადგილას... ლენა! კატია! მოდით აქ!

– გისმენთ იაკოვლევიჩ! – გოგონები სმენაზე დადგნენ და ხელები საფეთქელთან მიიდეს.

იაკოვლევიჩმა ტანიას ჰკითხა:

– ხომ გაიცანით ერთმანეთი?

– დიახ, ივან იაკოვლევიჩ.

– ძალიან კარგი,– მერე ლენას და კატიას მიუბრუნდა,– თქვენთან იცხოვრებს, Просим любить и жаловать...

– არის! – ისევ მიიდეს ხელები საფეთქელთან.

– აქაური კანონები გააცანით, რომ ათი საათის შემდეგ ქუჩაში გასვლა აკრძალულია, ვინც რეჟიმს დაარღვევს კლავდია მიხაილოვნასთან ექნება საქმე, მე ხომ ვარ თქვენი პახანია, კლავა არის თქვენი მახანია, ჩემი დაქალია და ყველაფერს მეტყვის.

ლენამ და კატიამ ტანიას ხელკავი გაუყარეს და ოთახში შეიყვანეს.

– ეს საერთო საცხოვრებელი მონასტერია, ქალთა მონასტერი. ეს არ გააკეთო, იქით არ წახვიდე, არ დააგვიანო, ადრე დაწექი, ადრე ადექი, მგონი ჯარისკაცებს არ ექცევიან ასე.

ტანია კოლექტივს კარგად შეეწყო, პროფესიაც მალე აითვისა, ყველასათვის საყვარელი ადამიანი გახდა.

შაბათ-კვირაობით საერთო საცხოვრებლის კლუბში ცეკვები იმართებოდა. რადგან საცხოვრებელში მხოლოდ გოგონები იყვნენ, ადმინისტრაციამ იზრუნა, ცოტა ხნით სამხედრო ნაწილებიდან ჯარისკაცები მოეყვანათ. ჯარისკაცები გოგონებთან იცეკვებდნენ, გაერთობოდნენ, შემდეგ სამხედრო წესით უკან მიჰყავდათ, ვინც მეთაურს გააცურებდა ან საცხოვრებელში ღამით დარჩენაზე დაითანხმებდა, ტყუილად ირჯებოდა, ვინაიდან კლავდია მიხაილოვნა ძილის წინ ყველა ოთახს ამოწმებდა, ლოგინის ქვეშაც იხედებოდა, კარადაშიც... ჰოდა, ურჩ ჯარისკაცს გარეთ გამოაპანღურებდა.

ის საღამოც ჩვეულებრივი იყო.

მოყარეს ჯარისკაცები.

დაიწყო საღამო.

ტანიამ რამდენიმე ჯარისკაცს ცეკვაზე უარი უთხრა.

– ტანია, რატომ არ ცეკვავ? – ჰკითხა კატიამ.

– რაღაც ხასიათზე ვერ ვარ.

– ადრე ჩვენც მოწყენილები ვიყავით, გოგოები ერთმანეთს ვეცეკვებოდით, ჯარისკაცები რომ მოგვიყვანეს, გავერთეთ.

ტანიამ სევდიანად გაუღიმა:

– ის გამახსენდა, მატარებელი, ნინა პეტროვნამ ჩვენს კუპეში რომ შემოიყვანა, ჯარისკაცის ფორმაში იყო.

– ეჰ, მესმის შენი, მაგრამ რა გიყო,– კატია ახტა და მოცეკვავეებს შეერია.

კიდევ ერთი ჯარისკაცი გაისტუმრა უარით.

– დამსკი ტანეც! – გამოაცხადეს მიკროფონში.

ახლა გოგონები ეპატიჟებოდნენ ბიჭებს საცეკვაოდ.

ტანიამ ერთხანს უყურა, მერე მობეზრდა და ოთახში დაბრუნდა, ლოგინზე წამოწვა და წიგნი გადაშალა. წიგნში ჩამხმარ გვირილებს ჩააშტერდა და ლოყაზე კურცხალი ჩამოუგორდა.

ცეკვების დამთავრების შემდეგ მეთაური ჯარისკაცებს სიის მიხედვით იძახებდა და სათითაოდ ავტობუსში აჰყავდა. გოგონები ხელების ქნევით ემშვიდობებოდნენ: ვინ საერთო საცხოვრებლის შესასვლელში იდგა კლავდია მიხაილოვნასთან, ვინ აივანზე, ვინ ფანჯარასთან.

ავტობუსი დაიძრა თუ არა დაიწყო გადაძახილ-გადმოძახილი:

– გალკა, წერილი მომწერე!

– არ დაგავიწყდეს, კვირას კინოსთან!

– თორმეტ საათზე!

– პაკა! აუცილებლად მოვალ!

– ჩექმა თავქვე ამოიდე და კარგად გათბები!

სიცილ-კისკისი.

ჯარისკაცების სიმღერა:

**«Не плачь, девчонка,**
**пройдут дожди,**
**солдат вернётся,**
**ты только жди...»**

ტანია ფანჯრიდან უყურებდა ამ სცენას... ისევ მამუკაზე ფიქრი, გაცნობის პირველი დღე, სტუდენტური ვაგონი, დაუვიწყარი დღეები სოჭში...

– ანუკა დევოჩკი! ყველა თავის ადგილს დაუბრუნდეს! – დაიძახა კლავდია მიხაილოვნამ,– ატბოი!

კატია და ლენა სიცილით შემოცვივდნენ ოთახში.

– შენ მთელი საღამო აქ ხარ? – ჰკითხა ლენამ.

– წიგნს ვკითხულობდი.

– ჩვენ კი კარგად გავერთეთ, კატკამ მომავალ კვირას ორი ჯარისკაცი დაპატიჟა, შამპანიურებს და კონიაკებს მოიტანენ, ერთ-ერთს დაბადების დღე აქვს, სხვათა შორის ქართველია. აქ გადაიხდიან დაბადების დღეს, ჩვენ ნამცხვრებით დავხვდებით.

ოთახში გოგონამ შემოიხედა და თქვა:

– კლავა შემოწმებაზე დადის.

შუქი ჩააქრეს და სიცილით ლოგინებში ჩაწვნენ.

ცოტა ხანში კარებზე კაკუნი გაისმა.

– მობრძანდით კლავდია მიხაილოვნა.

– ფანარით შემოვიდე? – კლავამ სიცილი დაიწყო,– დაიძინეთ, დაიძინეთ, ვიცი, რომ მარტო ხართ, კლავდია მიხაილოვნას ვერავინ ვერაფერს გამოაპარებს. იმ საღამოს თქვენს მეზობლად საწოლის ქვეშ ერთი სომეხი ჯარისკაცი აღმოვაჩინე, მერე რა ჩიტი დაიჭირა, გარეთ არ გამიგდია, შემეცოდა და ღამის გასათევად სუშილკაში მივაბრძანე, დილით ადრე გავაგდე, თორემ იმ საბრალოს ჰაუბტვახტი არ აცდებოდა.

ზუსტად თერთმეტ საათზე კლავდია მიხაილოვნამ მთელი საცხოვრებელი ჩააბნელა.

– ღამე მშვიდობისა,– ჩაიღიღინა, ჭიქა არაყი გადაჰკრა და ტახტზე მიწვა.

– რანაირია ჩვენი ცხოვრება, ეს ცხოვრებაა? დღისით იაკოვლევიჩი გიშრობს სისხლს, ღამით კლავდია მიხაილოვნა, – თქვა კატიამ და საბანი თავზე გადაიფარა.

თუმც ყოველდღე ერთი და იგივე მოსაბეზრებელი იყო, მაგრამ დღეები მაინც ხალისიანად გადიოდა.

კვირას შუადღისას სტუმრები ეწვივნენ. რომ არა კლავდია მიხაილოვნა, უკეთეს დროს გაატარებდნენ, ვინაიდან თვით კომენდანტიც ესწრებოდა ბანკეტს. შამპანიურიც დალია, კონიაკიც, ნამცხვარიც მიირთვა და ზუსტად თერთმეტ საათზე ჯარისკაცები სუშილკაში მიაბრძანა.

**ნარო კოლხელი**
**(ნარიმან იაშაღაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზეთ ილორის მთავარ რედაქტორს ბ-ნ როლანდ ჯალაღანიას

*მე, იური კილასონია, ამჟამად ვერ პენსიონერი, გახლავართ თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი და დიდ მადლობას გიხდით ამ დიდად სასარგებლო საქმიანობისათვის. თქვენი გაზეთის მეშვეობით საქართველოს მოსახლეობა ეცნობა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და მიმდინარე მოვლენების ობიექტურ, რეალურ სურათებს.*

*დიდი ინტერესით იკითხება, ასევე, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან წერილების ციკლი ქართველური ტომის "კოლხების" ყოფა-ცხოვრების შესახებ შორეულ წარსულში, დიდი ქართველი მეცნიერის, პროფესორ კლიმენტი შელიას ნაშრომების მიხედვით.*

*აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა შემოგთავაზოთ ჩემი მამის ამბროსი კილასონიას ნაშრომი, რომელშიც ასახულია მისი თვალსაზრისი ქართველური ტომების "კოლხების" ლაზ-მეგრელთა წარმომავლობის თაობაზე. ვფიქრობ, აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნება თქვენი გაზეთის ფურცლებზე კარგ სამსახურს გაუწევს ქართველ მკვლევარებს და საინტერესო იქნება ასევე მკითხველი საზოგადოების ფართო წრეებისათვის.*

## ამბროსი კილასონია

დაიბადა 1913 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში, სოფელ წყემში (აბაშის რაიონი). მის მშობლებს ჰყავდათ ხუთი შვილი – სამი ვაჟი და ორი ქალი. მოულოდნელად დიდი უბედურება დაატყდა თავს კილასონიების ოჯახს. ხუთი შვილიდან ორი – ფატი და მიხეილი – რომლებიც 19 და 20 წლისანი იყვნენ, რაღაც ორმოცი დღის განმავლობაში დაიღუპნენ. ეს ტრაგედია ძლივს გადაუტანიათ მშობლებს. დარჩათ სამი შვილი, რომლებიც სანიმუშოდ აღზარდეს და ცხოვრების გზაზე დააყენეს.

ამბროსიმ დაწყებითი განათლება იქვე, სოფელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქალაქ სამტრედიაში, რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრომომარაგების მეურნეობაში. სამტრედიაში გაიცნო და დაქორწინდა თამარ კიკაჩეიშვილზე, რომელიც ასევე მრავალშვილიანი ოჯახიდან გახლდათ. ტრადიციისამებრ ამბროსიმ და თამარმაც ოთხი შვილი გაზარდეს, სამი ვაჟი – იური, იროდი, ხვიჩა და ერთი ქალი – მადონა (ეთერი). ვაჟები მამის ტრადიციას აგრძელებენ – სამივენი რკინიგზის ელექტრომეურნეობაში მუშაობდნენ, მადონა კი მათემატიკოსია და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

ამბროსიმ 1953 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი, ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით და საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაციის განვითარების საქმეს მოახმარა. იყო საპატიო რკინიგზელი, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება.

ამბროსი კილასონია იყო მწიგნობარი ადამიანი. ჰქონდა უდიდესი ბიბლიოთეკა, დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიით. იგი წლების განმავლობაში აგროვებდა და სწავლობდა ისტორიულ წყაროებს კოლხეთის შესახებ.

ნაშრომში, რომელსაც **"ილორის"** მკითხველებს ვთავაზობთ, ავტორის ათეული წლების დაძაბული შრომის ნაყოფია, რომელშიც გადმოცემულია საკუთარი თვალსაზრისი კოლხების – ლაზ-მეგრელთა (ჭანების) წარმომავლობის თაობაზე.

სამწუხაროდ, ამბროსი კილასონია ამ ნაშრომის გამოქვეყნებას ვერ მოესწრო – იგი 1996 წელს გარდაიცვალა.

## კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს

### შესავალი

ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში ეგეოსის ზღვის კუნძულებზე წინა ბერძნულ მოსახლეობათა შორის კოლხებს-მეგრელებსა და ლაზებს (ჭანებს) თვალსაჩინო ადგილი ჰქონიათ დათმობილი. ისინი ისე, როგორც სხვა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, შუმერების გავლენას განიცდიდნენ და უშუალო კავშირში ყოფილან მათთან. როგორც შუმერებს მესოპოტამიაში, ისე კოლხებს კუნძულ ევბეაზე ჰქონიათ ქალაქი-სახელმწიფო (პოისი) და ჰყოლიათ მეფე, სახელმწიფოს მმართველი და გამგებელი, პიპერიონი და შემდეგ მისი შვილი ჰელიოსი.

ინგლისელი მეცნიერის და არქეოლოგის ჯონ ჩედვიკის არქეოლოგიური კვლევების შედეგების დახმარებით დავადგინე, რომ კოლხეთის ქალაქი-სახელმწიფო, რომელიც ფუნქციონირებდა ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში, მდებარეობდა კუნძულ ევბეაზე და მას ეწოდებოდა სახელი **"ია"**.

კოლხების ქალაქი-სახელმწიფო **"ია"**-ს თავს დასხმიან ინდო-ევროპელი ბერძნები, რომელთაც დაუმარცხებიათ კოლხები და იძულებული გაუხდიათ აყრილიყვნენ თავდაპირველი საცხოვრისიდან და გადასახლებულიყვნენ ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან.

კოლხებმა (მეგრელებმა და ლაზებმა, იგივე ჭანებმა) დატოვეს პირვანდელი სამშობლო და თავი შეაფარეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიას. ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა პერიოდისათვის, იმ დროისათვის ზღვის ეს სანაპირო მთლიანად დაუსახლებელი ადგილი ყოფილა. ლტოლვილი კოლხები დაეუფლნენ დაუსახლებელ, ზღვის სანაპირო ადგილებს ტრაპიზონიდან ბიჭვინთამდე, იწყეს იქ საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და მიწათმოქმედება.

კოლხებისა და სხვა წინა ბერძნული მოსახლეობის დამარცხების შემდეგ თავისი სამეფო ჰელიოსმა შვილებს დაუნაწილა. აიეტს მისცა კორინთო (ევბეა), მაგრამ აიეტმა არ ისურვა დარჩენა ევბეაზე, დატოვა ის, – წავიდა კოლხეთში და გამეფდა.

შავი ზღვის ნაპირიდან რიონის აღმა აყოლებით ასოთხმოც სტადიონზე ანუ მისი ექვივალენტური ოცდათექვსმეტ კილომეტრზე, დაახლოებით იქ, სადაც ტეხური შეერთვის რიონს, დღევანდელ სოფელ ისულასთან, აიეტს დაუარსებია და აუშენებია ქალაქი-სახელმწიფო (პოლისი), მაგრამ იმის გამო, რომ ეს ადგილი მეტისმეტად დაბლობი და ჭაობიანი ყოფილა, თვით კოლხებს დაუნგრევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ. ქალაქი-სახელმწიფო უფრო მაღლობ და სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილზე გადაუტანიათ, მაგრამ სად გადაიტანეს ცნობილი არ არის.

როდოსელი გვაწვდის ცნობას, რომ არესის ველზე – წმინდა ჭალაზე ურჩხული ეგრაგნებოდა შეფოთლილ მუხას და დარაჯობდა მის კენწეროზე დაკიდებულ საწმისს. ცხადია, არესის ველი და წმინდა ჭალა ახლო იქნებოდა ქალაქ-სახელმწიფოსთან და სამეფო სასახლესთან, რადგან იქ ინახებოდა ძვირფასი საგანძური – ოქროს საწმისი.

ჩემს მიერ დადგენილ იქნა არესის ველისა და წმინდა ჭალის ადგილმდებარეობა. არესის ველს და წმინდა ჭალას რომაელებმა შეუცვალეს სახელი და მარსის ჭალა უწოდეს. მარსის ჭალა კი მდებარეობს მდინარე აბაშის ნაპირზე და გადაჭიმულია თხუთმეტ კილომეტრზე, თითქმის მდინარე აბაშის სათავემდე (მარტვილის რსიონი). მაშასადამე, არესის ველსა და და წმინდა ჭალას შეეცვალა სახელი და მას მარსის ჭალა ეწოდა, რომაელების ომის მფარველი ღმერთის **"მარსი"**-ს სახელი.

არესის ჭალიდან – მდინარე აბაშის ნაპირიდან 5-6 კილომეტრზე დასავლეთით, იქ, სადაც მთავრდება კოლხეთის დაბლობი და იწყება ტეხურის თვალწარმტაცი ხეობა, უნაგირას მთის ფერდობზე და მის მცირე ბორცვებზე, დღევანდელი ნოქალაქევის ტერიტორიაზე (სენაკის რაიონი), შემორჩენილია დიდი გალავანი და უზარმაზარ ნაგებობათა ნანგრევები. ეს ადგილი თავისი გრანდიოზული ნაგებობებით ძველი კოლხეთის ქალაქ-სახელმწიფოს და სამეფო სასახლის გეოგრაფიული ადგილმდებარეობაა, რაც მრავალი მოსაზრებით და უტყუარი ფაქტებით იქნა დადგენილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი კოლხეთის ტერიტორია კოლხების გამოჩენამდე დაუსახლებელი ადგილი ყოფილა, ამიტომ აქ ყველაფერი უსახელო იყო და მათ მიერ დასახლებულ ადგილებს სახელებს თვით კოლხები არქმევდნენ. კოლხებმა მათთვის ცნობილი და სანატრელი სახელი **"ია"** უწოდეს ახალ ქალაქ-სახელმწიფოს. იმის გამო, რომ ის იყო დიდებული, ბრწყინვალე, უძლეველი და მისი მსგავსი ქვეყნად არ ეგულებოდათ, ქალაქ-სახელმწიფოს სახელს წინ წარუმძღვარეს დიდების ამსახველი გამოთქმა **"აია"** და საბოლოოდ დაამკვიდრეს მისი დიდების დამახასიათებელი სახელი **"აიაია"**.

**"აიაია"**-სთან ახლოს არესის ველზე ინახებოდა ოქროს საწმისი, ანუ ვერძის ოქროსმატყლიანი ტყავი. გადმოცემის თანახმად, ოქროს მატყლიანმა ვერძმა ფრიქსე შეისვა ზურგზე და საბერძნეთიდან კოლხეთში ჩამოიყვანა. ფრიქსემ ვერძი ლტოლვილთა მფარველ ღმერთს ფიქსიოსს შესწირა მსხვერპლად. ვერძის ოქროს მატყლიანი ტყავი, ანუ **"ოქროს საწმისი"**, კოლხეთის სახელმწიფოს მრისხანე მეფეს აიეტს აჩუქა, თვითონ ფრიქსე კი თავის სასახლის ჭერქვეშ შეიფარა მეფემ.

*(გაგრძელება იქნება)*

## კვეზერელი გოროზიამ შეცვალა ანუ – "ШИЛО НА МЫЛО"

როგორც საქინფორმი მიმდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში იუწყებოდა, სააგენტოს ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად პარლამენტარ გურამ მისაბიშვილის დანიშვნა იგეგმებოდა, ხოლო გუბერნატორ ზაზა გოროზიას სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტისთვის ამზადებდნენ. მაშინ საქინფორმთან საუბრისას აღნიშნული ინფორმაცია ორივე მათგანმა უარყო, თუმცა, ჩვენი ინფორმაცია გამართლდა – მთავრობაში საკადრო ცვლილება მართლაც განხორციელდა.

როგორც ჟურნალისტებმა წინასწარ შეიტყვეს, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია მალე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნებოდა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თანამდებობაზე კი დაინიშნებოდა სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მისაბიშვილი. თუმცა, არ იყო გამორიცხული, ამ თანამდებობაზე თავდაცვის მინისტრ ახალაიას დანიშვნაც.

მოგვიანებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა, რომელმაც განაცხადა, **„კვეზერელის ადგილს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია დაიკავებსო"**.

პრემიერმა კვეზერელს მინისტრობის პოსტზე გაწეული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა, მის მიღწევებზე და განსაკუთრებით აღნიშნა რთველის წარმატებით ჩატარება. მისი თქმით, კვეზერელი რჩება სახელისუფლებო გუნდის წევრად, თუმცა რა პოსტზე, ეს ჯერ უცნობია.

ნიკა გილაურმა ახალ მინისტრ ზაზა გოროზიას წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობა ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია.

**საქინფორმი.**

**რედაქციის მინაწერი – მოკლედ, ნაციონალების ხელში საქართველოს სოფლის მეურნეობას, როგორც ამბობენ: "ბედი არ უწერია". ჯერ იყო და, ამ საქმეში აბსოლუტურად გაუთვითცნობიერებელი პეტრე ცისკარიშვილი "მინისტრობდა", რომელმაც ქვეყნისათვის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი მძიმედ დააავადა. შემდეგ ამ დარგს "დედალი და მამალი ძროხების ექსპერტი" ბაკურ კვეზერელი მოუვლინეს, რომელმაც თავისი გენმოდიფიცირებული სიმინდით და აბსოლუტური არაკომპეტენტურობით საერთოდ მოკლა სოფლის მეურნეობა. ახლა კი, ექიმი გოროზია წამოასვეს სოფლის მეურნეობას თავზე, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ექიმის ამ დარგში მოვლინება უკვე დაგვიანებულია, რადგან, მკვდარს რომ ექიმი ვეღარ გააცოცხლებს, ესეც ფაქტია. ამიტომ, გოროზია მხოლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის მესაფლავის ამპლუას უნდა დასჯერდეს (მხარბეჭიანი ახალგაზრდაა და საკმაოდ ღრმა საფლავის გათხრას შესძლებს), თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ქვეყნის გამანადგურებელი "ნაციონალები" არ გადაშენდებიან!**

**იმის სერიოზული ეჭვიც არსებობს, რომ "ნაციონალები" საქართველოში სოფლის მეურნეობას შეგნებულად კლავენ, რათა ქართველი გლეხი დაარწმუნონ, რომ შენ მიწის პატრონად არ ვარგიხარო, შემდეგ კი ჰოლანდიელი ბურები ჩამოიყვანონ და მიწები დაურიგონ. მსგავსი უბედურებები ჯერ არ ჩაუდენიათ თუ რა?**

**მინისტრთა ასეთ გადაადგილებაზე კი მოსწრებულად ამბობენ რუსები: „Поменяли шило на мыло", რაც ერთი გამოუსადეგარი საგნის მეორე გამოუსადეგარი საგნით ჩანაცვლებას ნიშნავს.**

## ვენეციის კომისია საარჩევნო კოდექსის პროექტის გაუმჯობესებას იმედოვნებს

**„ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტმა უნდა განიცადოს შემდგომი გაუმჯობესება, ვიდრე მას საქართველოს პარლამენტი დაამტკიცებს",** – განაცხადა ვენეციის კომისიის მდივანმა თომას მარკერტმა თბილისში გამართული შეხვედრების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ექსპერტები პროექტზე საბოლოო ერთობლივ დასკვნას ვენეციის კომისიას 16-17 დეკემბერს დაგეგმილ პლენარულ სესიაზე წარუდგენენ დასამტკიცებლად. მმართველი პარტია აცხადებს, რომ საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე ახალ საარჩევნო კოდექსს არ მიიღებს.

თომას მარკერტმა განაცხადა, რომ ამჟამად წარმოდგენილი პროექტი არ არის **„საბოლოო ტექსტი"** და შეიძლება შეიცვალოს, რადგან **„ODIHR"**-ისა და ვენეციის კომისიის მიერ ადრე გამოთქმული ზოგიერთი **„კრიტიკული"** მოსაზრება არ არის მასში ასახული, მათ შორის, პატიმრისთვის საარჩევნო უფლების მიცემის, მაჟორიტარულ არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობის და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის თაობაზე.

გარდა ამისა, მარკერტის ინფორმაციით, თბილისში გამართულ შეხვედრებზე განიხილებოდა საკითხები, რომლებიც ეხება საარჩევნო ადმინისტრაციას საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას; ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების **„შემცირებას"**, საჩივრებსა და დავების გადაწყვეტას და საარჩევნო სისტემას.

**„აღმოვაჩინეთ, რომ არსებობს მზადყოფნა, რათა შემდგომი ნაბიჯები გადაიდგას საარჩევნო კოდექსის შესაძლო შესწორებისკენ, რათა მეტად შესაბამისობაში მოვიდეს პროექტი იმ მოთხოვნებთან, რომლებიც ჩვენ გვაქვს საარჩევნო კანონმდებლობის მიმართ",** – განაცხადა თომას მარკერტმა.

მსჯავრდებულთათვის საარჩევნო უფლების მინიჭების ირგვლივ არსებულ წინააღმდეგობაზე დასმულ შეკითხვაზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სინამდვილეში ეს ავტომატურად ნიშნავს ხელისუფლებისთვის მიცემულ ხმებს, მარკერტმა უპასუხა: **„მთავრობა ემხრობა ამ იდეას, რომელიც შესაბამისობაში მოდის ადამიანის უფლების ევროსასამართლოს გადაწყვეტილებასთან; მაგრამ აუცილებელია ყველა ზომის გატარება იმისთვის, რომ არჩევნები იქ (სასჯელაღსრულების დაწესებულებებში) ჩატარდეს მართლაც თავისუფალი და ფარული კენჭისყრის პირობებში და რომ პატიმრები არ იყვნენ ზეწოლის ქვეშ".**

ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად, ახალ საარჩევნო კოდექსის პროექტში აღარ ფიგურირებს საარჩევნო უბნებში ვიდეოსათვალთვალო კამერების დამონტაჟების დებულება, ასევე, ამოღებულია ამომრჩეველთა მარკირების წესი, როგორც გაყალბებისგან დამცავი ერთ-ერთი საშუალება. ოპოზიცია ამ დებულებების დატოვებას ითხოვს.

თომას მარკერტის თქმით, ამ პროცედურებთან დაკავშირებით გარკვეული **„ხარვეზები"** არსებობდა და სხვა გზები უნდა გამოიძებნოს მათი ჩანაცვლებისთვის.

**„ვფიქრობ, გრძელვადიანი გადაწყვეტა ბიომეტრიული მონაცემებით იდენტიფიცირება იქნება, მაგრამ ამას, ალბათ, უფრო მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე შემდეგ არჩევნებამდეა დარჩენილი,"** – განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.

საარჩევნო რეფორმაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში ოპოზიცია ხმების ბიომეტრიული მონაცემებით დაცვის მექანიზმის შემოღებას მოითხოვდა და ამტკიცებდა, რომ ეს მომდევნო არჩევნებამდე მოსწრებადი იყო, თუმცა ხელისუფლებამ ამ წინადადების მიღებაზე უარი განაცხადა.

**საქინფორმი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია განათლების დონეზე

**(გთავაზობთ ნაწყვეტებს ბატონ კლიმენტი შელიას ამავე სახელწოდების წიგნიდან)**

**რედაქციისაგან – სახელგანთქმული ქართველი მეცნიერის წინამდებარე ნაშრომი ეხება სადღეისოდ ჩვენთვის მეტად რთულ და აქტუალურ პრობლემას, ბოლოხანს ჩვენს ქვეყანაში შექმნილ არც თუ მთლად სახარბიელო მდგომარეობას საქართველოს განათლების სისტემაში. ავტორის მიზანია გვიჩვენოს "განათლების სისტემის შუქ-ჩრდილები" და მოგვიწოდებს სასწრაფოდ "გადავარჩინოთ განათლების სისტემა" დღესვე, თორემ "ხვალ გვიან" იქნება. ნაშრომში განხილულია, თუ რა შედეგები მოიტანა განათლების სისტემაში უცხოეთის ბრმად წამბაძველობამ, არასწორად და ნაადრევად წარმართულმა რეფორმებმა, სოკოებივით მომრავლებულმა კერძო უმაღლესმა სასწავლებლებმა, და, თუ რა მდგომარეობაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.**

**ბატონი კლიმენტი შელია, გვაცნობს რა ქვეყნის განათლების სისტემაში შექმნილ პრობლემურ მდგომარეობას, გვთავაზობს თავის კონკრეტულ წინადადებებს. ეს ეხება განათლების სისტემაში მიმდინარე გარდაქმნებს, კათედრების შერჩევის სისტემას, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ადგილს განათლების სისტემაში, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების სადღეისოდ მიღებულ ფორმებს და ა.შ. რა თქმა უნდა, ზოგი მათგანი სადავოა, რაც სასურველია გახდეს სპეციალისტებისა და საზოგადოების მსჯელობის საგანი.**

**მართლია, აღნიშნული წიგნი 1999 წელს გამოიცა, მაგრამ, მას შემდეგ მდგომარეობა განათლების სისტემაში არამც თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ მნიშვნელოვნად გაუარესდა კიდეც, რაც კიდევ უფრო მეტად აქტუალურს ხდის მითითებულ პრობლემას.**

**"ილორი"**

თავი პირველი

**საქართველო – უძველესი განათლებისა და კულტურის ქვეყანა**

ქართულმა განათლებამ და მეცნიერებამ მაღალ დონეს უძველესი დროიდან მიაღწია. ისტორიის მამის – ჰეროდოტეს მიხედვით კოლხები და ეგვიპტელები ერთი ხალხია ან **"ნათესავები"** არიან, – ეს სწორი არ არის, რადგან, ჯერ კიდევ, დაახლოებით 33 საუკუნის წინათ, ეგვიპტის ფარაონის რამზეს II კოლხეთში ლაშქრობის შემდეგ (ბევრი ეგვიპტელი დასახლდა საქართველოში), ეგვიპტელებმა კოლხურ (ზანურ) მეტყველებაში შემოიტანეს **"ეგვიპტიზმი"**, რაც დღემდე შემორჩენილია კოლხურ ენაში – და მათ მრავალი სიტყვა ერთიანი ჰქონდათ და აქვთ, კოლხები ხომ უძველესი ქართველები, პროტოქართველები არიან – მუდამ განეკუთვნებოდნენ ქართულ სამყაროს – ამტკიცებს ცნობილი მწერალი, მეცნიერი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ვლადიმერ ალფენიძე. მისი აღმოჩენები მიუთითებენ, რომ კოლხურ (პროტოქართველურ) და ძველ ეგვიპტურ ენას, ეგვიპტურ იეროგლიფებსა და ძველ ქართულ (კოლხურ) ანბანს შორის არსებობს არა გენეტიკური, არამედ სოციოკულტურული კავშირურთიერთობა. ქუჯი, ქართლში ფარნაოზ მეფის ტახტზე ასვლამდე ათი საუკუნით, ათასი წლით ადრე, ხმარობდა ამ ეგვიპტიზმებს თავის ლექსიკონში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვლადიმერ ალფენიძის მიერ იმის მტკიცებას, რომ ძველი კოლხეთის მეფის – აიეტის ძმამ აქციუსმა ეგვიპტეში დააარსა ქალაქი ჰელიოპოლი და ასწავლიდა ასტრონომიასა და ასტროლოგიას იმ ეგვიპტელებს, რომლებმაც თვითონ ასწავლეს თითქმის მთელ მსოფლიოს ასტრონომია და ასტროლოგია და, რომ კოლხები კულტურულ გავლენას ახდენდნენ ძველ ეგვიპტეზე (ვლ. ალფენიძე, **"საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანა"**, თბილისი, 1997, მისივე **"სფინქსის ღიმილი"**, თბილისი, 1998). ასევე გავიხსენოთ საქართველოს ურთიერთობა ძველ ელადელებთან, არგონავტების ლაშქრობა და სხვა.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, შუმეროლოგი სემუელ ნოას კრამერი ნაშრომში **"ისტორია იწყება შუმერეთიდან"**, წერს: **"ქართული ასომთავრული ანბანი კაცობრიობის პირველი დამწერლობაა, პირველ ასო-ნიშნებით გამოხატული სამყაროს ღვთაებები, ყველა ანბანური დამწერლობის სათავე, მსოფლიოში მისი გავრცელების ახალი ცხრილი და ასაკი".**

რომ არაფერი ვთქვათ უძველეს განათლებაზე და მაღალ კულტურაზე, საქართველოს უმაღლესი სკოლის ისტორიას ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული. უკვე, მე-4 საუკუნეში საქართველოს ჰქონდა უმაღლესი სკოლა, რომელიც იმდროინდელი კულტურული სამყაროსათვის ცნობილი იყო კოლხეთის აკადემიის სახელწოდებით. აქ ნიჭიერი ადამიანები სწავლობდნენ ფილოსოფიას, რიტორიკას და სხვა, სწავლობდნენ საყოველთაოდ ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსები მამა-შვილი ევგენიოსი და თემისტიოსი (317-388), რომელიც ქებადიდებას უძღვნიდა პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად (ახლანდელი ფოთის მიდამოებში) არსებულ კოლხეთის სკოლას. უფრო გვიან, მე-11-12 საუკუნეებში საფუძველი ეყრება გელათის, იყალთოს, გრემის სახელგანთქმულ აკადემიებს, რომლებიც უმაღლეს სკოლებს წარმოადგენდნენ, მათი საშუალებით საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბერძნეთის სამეცნიერო ცენტრებთან. გელათისა და იყალთოს აკადემიებში ასწავლიდნენ თავის დროის ცნობილი ფილოსოფოსები იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი (ვაჩნაძე). მანამდე იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა პეტრიწონის (ბულგარეთის, ახლანდელი ბაჩკოვოს) სემინარიაში, რომელიც 1083 წელს დააარსა გამოჩენილმა ქართველმა მხედართმთავარმა გრიგოლ ბაკურიანისძემ.

ძველ საქართველოში დიდად ვითარდება ხელოვნების დარგები – არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, პოეზია, ბელეტრისტიკა; მოღვაწეობდნენ სახელქმნილი, უდიდესი მწერლები ცურტაველი (მე-5 საუკ), იოანე საბანიძე (მე-8 საუკ), მერჩულე (მე-10 საუკ), ექვთიმე და გიორგი ათონელები, სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი...

განცვიფრებას იწვევს ადრე და განვითარებული ფეოდალური ხანის ბრწყინვალე არქიტექტურული ანსამბლები – მცხეთის ჯვრის მონასტერი, გელათი, იყალთო, იკორთა, წუღრუღაშენი, ყინწვისი, ქვათახევი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი, ვარძიის განუმეორებელი ქალაქი კლდეში, რომელიც ჩვენი უგერგილობის გამო თავზე გვენგრევა.

მონღოლ-თათართა შემოსევამ შეაჩერა ქართული განათლებისა და კულტურის განვითარება, საქართველო გავერანდა, ხელთუქმნელი – ძვირფასი ძეგლების უმრავლესობა ნანგრევებად იქცა, ძვირფასი ხელნაწერები ცეცხლს მისცეს, სასკოლო ქსელი მოიშალა და განათლების დონეც დაეცა.

XVI საუკუნიდან ერთგვარი ახალი აღორძინების ხანა იწყება, სწავლა-განათლება, მეცნიერება, კულტურა მაღალ საფეხურზე ადის, რასაც ადასტურებს ცნობილ მოღვაწეთა საქმიანობა – თეიმურაზ I, ვახტანგ VI (რომელმაც 1709 წელს თბილისში სტამბა დააარსა. ამ სტამბაში საეკლესიო წიგნებთან ერთად სახელმძღვანელოებიც იბეჭდებოდა, რამაც ხელი შეუწყო წიგნის, ცოდნის გავრცელების საქმეს), არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ I, დავით რექტორი, თეიმურაზ II, დავით გურამიშვილი. ერეკლე მეორის დროს განათლების საქმე უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისათვის თბილისში 20-მდე დაწყებითი სკოლა და ერთი სემინარია იყო, მეორე სემინარია თბილისში დაარსდა.

თვითმპყრობელურ რუსეთში ხელისუფლება სასტიკად დევნიდა ყოველივე პროგრესულს, გასაქანს არ აძლევდა მეცნიერებას, აფერხებდა ხელოვნების, განათლების განვითარებას, სკოლისა და მოსწავლეების რიცხვის ზრდას; დაპყრობილ ქვეყნებში სოციალურ შეზღუდვებს თან ერთვოდა ეროვნული ჩაგვრაც.

მაგრამ საქართველოში განათლების საქმის წინსვლა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის კულტურის მოწინავე დონეს, ადრეული სახელმწიფოს ჩამოყალიბების დონიდან.

მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის ქართველი ხალხის განათლების დონე, აღნიშნული დროის პირობებისათვის მაღალი იყო. რა თქმა უნდა, ასეთი ბაზა კარგ პირობებს ქმნიდა ქართული განათლებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

სოციალური დამონებისა და ეროვნული გადაგვარების პოლიტიკას, რასაც დიდი ძალისხმევით ნერგავდა თვითმპყრობელობა განაპირა მხარეებში, რუსი ხალხის მოწინავე ნაწილის წინააღმდეგობას ხვდებოდა, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ეროვნული უფლებების დაცვისათვის. ამ რევოლუციონერ-დემოკრატების, თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენციისადმი მადლიერების გამომხატველია ილია ჭავჭავაძის სიტყვები: **"რუსულმა სკოლამ-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულივე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ".**

კოლონიურმა ჩაგვრამ ვერ გატეხა ჩვენი ხალხის მისწრაფება განათლებისაკენ, ვერ ჩაკლა მასში ბრძოლის უნარი, უკეთესი მომავლის რწმენა.

რეფორმამდე, 1855 წლისათვის, საქართველოში ყველა სახის 150-მდე სასწავლებელი იყო 6.000-მდე მოსწავლით, ხოლო რეფორმის შემდეგ, 1885 წლისათვის, საქართველოში არსებობდა 333 ყველა ტიპის სკოლა (რომელშიც არ შედიოდა მეჩეთებთან და ლამებთან არსებული მუსულმანური სკოლები, მედრესეები და ებრაელთა სკოლები), რომლებშიც სწავლობდა 27 ათასამდე მოსწავლე.

1900 წლიდან 1916 წლამდე საქართველოში ახლად გაიხსნა ვაჟთა და ქალთა 17 გიმნაზია. ამ წელს მასწავლებელთა მომზადებისათვის, მარტო განათლების სამინისტროს ხაზით არსებობდა ოთხი სასწავლებელი – თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის საოსტატო სემინარიები. იყო სამი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, სამი სამედიცინო სკოლა.

კერძო სასწავლებლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა უმაღლესი კურსები, რომელიც 1909 წელს გაიხსნა და, რომელიც წარმოადგენდა ქალთა უმაღლეს სასწავლებელს ისტორიულსიტყვიერებისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებით; 1916 წელს კურსებთან დაარსდა სამედიცინო ფაკულტეტიც. აღნიშნულმა კურსებმა დიდი როლი შეასრულა ქალთა შორის უმაღლესი განათლების გავრცელებაში.

1901 წელს საქართველოში იყო 966 დაწყებითი სასწავლებელი 59 ათასი მოსწავლით. 1915 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 1.648-მდე, ხოლო მოსწავლეთა რიცხვმა 124.721-ს მიაღწია. ე.ი. მოსწავლეთა რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. 1901 წელს არსებობდა 19 გიმნაზია, პროგიმნაზია, რეალური სასწავლებელი, რომლებშიც 8.684 მოსწავლე ირიცხებოდა, 1915 წელს ამ სასწავლებლების რიცხვი 70-მდე გაიზარდა, მოსწავლეთა რაოდენობამ კი 18 ათასს გადააჭარბა. პირველი მსოფლიო ომის წინ, 1914 წელს, საქართველოში ფუნქციონირებდა 48 სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, ე.ი. რვაჯერ მეტი, ვიდრე 1900 წელს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე საქართველო რუსეთის იმპერიაში კულტურის მხრივ ერთ-ერთ მოწინავე მხარედ ითვლებოდა. აქ საშუალო სკოლებს ყოველწლიურად 1.800-2.000-მდე მოსწავლე ამთავრებდა, ხოლო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში სამიათასამდე სტუდენტი სწავლობდა (1917 წელი). იმდროინდელი საქართველოსათვის, რომელიც 2-მილიონიანი მოსახლეობის ქვეყანას წარმოადგენდა, ეს მონაცემები ძალიან მაღალი იყო. ასევე, საქართველოში, მაღალი იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა.

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (1918-1921 წ.წ.) სასკოლო ქსელი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტიგენტი, მიუხედავად უსახსრობისა, გაიზარდა და განათლების სისტემამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ეკონომიკური გაჭირვების გამო, 1918-1921 წლებში არსებული 53 ვაჟთა გიმნაზიიდან და პროგიმნაზიიდან 23 კერძო იყო. კიდევ მეტი, კერძო სასწავლებლად ითვლებოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მასთან არსებული საინჟინრო კურსებიც.

რაც მთავარია, სწორედ მენშევიკური ხელისუფლების დროს განხორციელდა დიდი ღონისძიებანი სწავლების, განათლების, კულტურის გაეროვნებულობისათვის, სწავლების გადაყვანისათვის დედაენაზე. თითქმის ყველა სახელმძღვანელო ქართველი ავტორების, მეცნიერების მიერ იყო შედგენილი.

დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრების სოციალურ და კულტურულ სფეროებს. ამ პერიოდში საქართველოში არსებობდა 81 სომხური, 60 რუსული, 31 თათრული სკოლები, იწყებოდა პირველდაწყებითი განათლება აფხაზურ და ოსურ ენებზე. შემდგომმა ანექსიამ შეწყვიტა საქართველოს ხელისუფლების მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანები განათლების სისტემის შემდგომი აღორძინებისა და განვითარების დარგში, საგანმანათლებლო დარგის სრული გაეროვნების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ჯერ კიდევ არსებობდა დამოუკიდებელი განათლების სახალხო კომისარიატი (სამინისტრო) და განათლების სისტემა აღმავალი გზით მიდიოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განათლების მთელ ქსელს სახელმწიფო ინახავდა; ხარჯებს სახელმწიფო იხდიდა, არ არსებობდა კერძო სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, აგრეთვე, სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სახელმწიფოსგან სტიპენდიას ღებულობდნენ, საერთო საცხოვრებლებით იყვნენ უზრუნველყოფილი.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხი, ქართველების თანაბრად, საკუთარ ენაზე ეუფლებოდნენ განათლებას; ქართულ ენაზე მოქმედი საბავშვო ბაგების, ბაღების, სკოლებისა და სხვა სასწავლებლების გვერდით არსებობდა ამავე დაწესებულებათა ხშირი ქსელი სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე.

1921-23 წლებში საქართველოში გარდამავალი ხასიათის სასკოლო სისტემა არსებობდა, სკოლის ძირითად დარგად რვაწლიანი სკოლა ითვლებოდა. 1924 წლიდან დაწესდა რუსეთის ფედერაციასთან უნიფიცირებული სასკოლო სისტემა, ჩამოყალიბდა ცხრაწლიანი სკოლები, შეიქმნა ახალი ტიპის შვიდწლიანი სკოლები – სოფლის ახალგაზრდობისა და საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედები. 1930 წლიდან სასკოლო სისტემაში ახალი ცვლილებები მოხდა; სხვა დროსაც ხდებოდა ასეთი ცვლილებები. მაგრამ დამოუკიდებელი განათლების სისტემის გაუქმებისა და რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს განათლების სისტემის უნიფიცირების შემდეგ, ფაქტიურად ჩაკვდა სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური აზროვნება – რუსეთმა კვლავ პრაქტიკულად წაშალა ქართული ეროვნული ცხოვრება, ქართული ეროვნული სული. რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან მჭიდრო ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ურთიერთობამ საქართველოს მაშინათვე შეუქმნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფაქტობრივი მოშლის წინაპირობა. რუსეთმა მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია. საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა.

საბჭოთა ხელისუფლების, განსაკუთრებით მის ადრინდელ პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე კადრების რიცხობრივ ზრდას და ნაკლებად ზრუნავდნენ მომზადების დონეზე, კვალიფიკაციაზე. ამას მაშინ ერთგვარი გამართლება ჰქონდა, კადრების დიდი ნაკლებობა იყო. მაგრამ განათლების სისტემა თანდათანობით ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი გახდა, უფრო მეტად კომუნისტური იმპერიის განაპირა მხარეებში, ეროვნულ რესპუბლიკებში. ყველაფერი კომუნისტურ იდეოლოგიას უნდა დამორჩილებოდა – ჯერ საბავშვო ბაღებში, შემდეგ ოქტომბრელებში, პიონერულ, კომკავშირულ, პარტიულ ორგანიზაციებში მოწაფე, სტუდენტი უნდა აღზრდილიყო სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების რწმენით; ამ **"რწმენიდან"** გადახვევა ქვეყნის ღალატს უდრიდა. ქართული საბჭოთა სკოლა უვარგისი იყო იმ მხრივაც, რომ ის ზრდიდა საბჭოთა ადამიანს და არა ეროვნულ პიროვნებას, ქართველს.

განათლების საქმეში საქართველოს 90-იან წლებში, თითქმის ყველაფერი, თავიდან ჰქონდა დასაწყები.

# დამღუპველია თუ არა ჩვენთვის პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტება?

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე მირჩევნია ქვეყნის გარე ძალებმა გახლიჩონ ჩემი ქვეყანა ძალის გამოყენებით, ქართველმა ხალხმა ამას წინააღმდეგობა გაუწიოს და გმირის სახელით ჩაესვენოს საფლავში, ვიდრე ის, რომ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ კეთილისმყოფელის მანტიით აკეთოს ბერიას მიერ ჩაძაღლებული სომხეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის აღასი ხანჯიანის და ღვთის გარეგანი მონოფიზიტის გარეგინის სომხური საქმე, ქართველმა ხალხმა მას ტაში დაუკრას და ასე ტაშისკვრით ჩაესვენოს საფლავში.

თუ პირველ შემთხვევაში ქართველ ხალხს გმირის სახელი შერჩება, მეორე შემთხვევაში იგი ბრიყვის სახელით შერჩება კაცობრიობის ისტორიას!

სიბრიყვეზე მეტი არ არის, რომ ხელისუფლებას მიტმასნილ არაქართველ ადამიანთა ჯგუფი ქვეყანას თვალწინ გიპარტახებდეს, სომეხი ადამიანი ქართველს საქართველოს მოქალაქეობას ართმევდეს, შენ კი, ხელისგულების გადაყვლეფამდე, ტაშს უკრავდე ამგვარ ხელისუფლებას? რომ ქვეყნის დამაქცევარი შევარდნაძე განცხრომით ცხოვრობდეს კრწანისის რეზიდენციაში, შენ კი ამაზე შესაბამისი რეაქცია არ გქონდეს?

სწორედ შევარდნაძის ეპოქაში აიდგა ფეხი და მომძლავრდა აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთი საქართველოს **"დაუძინებელი"** მტერია! იმ ედუარდ შევარდნაძისა, რომლის შვილისშვილი სოფიკო შევარდნაძე სწორედ რუსეთში ხელმძღვანელობს ერთ-ერთ სერიოზულ ტელეარხს!

ახლა ამ აზრს ანვითარებს ის მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც საქართველოს ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსებს მიჰყიდა და თანაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების გასაღები ლანგარზე მიართვა რუსებს 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოკაციულად გაჩაღებით (ქართველი ხალხის გონებრივი სიჩლუნგე იმაშიც გამოიხატება, რომ ეს მართლაც დამღუპველი აქცია, მათ სააკაშვილისა და **"ნაციონალების"** კარნახით ქართველი ერის გამარჯვებად ჩათვალეს და ტაშ-ფანდურით აღნიშნეს). მათ ქართველ ხალხს ლურსმანივით ჩააჭედეს თავში იმის იმედი, რომ საქართველოსა და ქართველი ხალხის ხსნა მხოლოდ რუსეთის დაშლაშია!

ვიცით კი, ჩვენ, ქართველებმა, რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის დაშლას და, თუნდაც ამერიკის წინააღმდეგ ამხედრებული ერთადერთი დიდი სახელმწიფოს – ირანის დაშლა-განადგურებას?

დავიწყოთ იმით, თუ რა სიკეთე მოუტანა მსოფლიოს საბჭოთა კავშირის დაშლამ! ეს რომ მართლაც მეოცე საუკუნის გეოსტრატეგიული და რელიგიური ტრაგედია გახლდათ, ამაში არამც და არამც არ სურს ეჭვის შეტანა საქართველოს სომხურ ხელისუფლებას, რადგან სსრკ-ს დაშლით ხელი გაეხსნათ მსოფლიოს მასონურ ძალებს და წამსვე შეჯლიგინდნენ ციმბირის ბუნებრივი სიმდიდრეების დასაუფლებლად, საითკენაც მათ ნახევარი საუკუნის განმავლობაში უკეტავდა გზას სტალინი. შედეგიც სახეზეა – აქ აღმოცენებული მილიარდერებიდან არცერთი არ გახლავთ რუსი ეროვნების. რაც შეეხება რელიგიას, ამერიკელებმა წარმატებით განახორციელეს დალესის დოქტრინის უმთავრესი პოსტულატი – მართლმადიდებლობის შესუსტება. ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ ამერიკას სრული უფლება მისცა ხელები ეფათურებინა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საქმეში. დღეს მსოფლიოში მართლმადიდებლობის ფორპოსტად ოთხი ქვეყანაა მიჩნეული: რუსეთი, საქართველო, სერბეთი და საბერძნეთი. სერბეთიდან კოსოვოს მოწყვეტისთანავე აქ რამდენიმე დღეში დაინგრა და განადგურდა სამასამდე მართლმადიდებლური ეკლესია, რაც შეეხება საბერძნეთსა და საქართველოს, ისეთი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები მოახვიეს ხალხს თავზე, რომ მართლმადიდებლობისათვის აღარავის სცხელა. ამიტომ, მასონთა მთელი ძალისხმევა ახლა რუსეთში მართლმადიდებლობის შერყევისკენაა მიმართული! სამწუხაროა, რომ რუსეთის დანგრევის **"ნაციონალურ"** ეიფორიას ბრმად არის აყოლილი ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი და არავინ უფიქრდება იმას, თუ რა შეიძლება მოუტანოს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ სამყაროს რუსეთის დაშლამ.

უპირველესად ეს მოგვიტანს ერთპოლუსიან სამყაროს, რომლის მთავარ ჟანდარმად იქცევიან ამერიკელები. დღეს, ამერიკელები, ასე თუ ისე, ანგარიშს უწევენ რუსების დამაბალანსებელ პოლიტიკას და ყველა ქვეყანას ვერ ექცევიან ისე, როგორც ავღანელებს, ერაყელებს, ლიბიელებსა და სხვა მუსულმანურ ქვეყნებს მოექცნენ, იმიტომ, რომ უკვე ამოწურვის საფრთხის წინაშე აღმოჩენილ ენერგომატარებლებს დაეუფლონ. მათთვის მთავარია აკონტროლებდნენ ამ ქვეყანათა ბუნებრივ სიმდიდრეებს და დიდად არ ანაღვლებთ ის ამბავი, რომ თუნდაც ლიბიის სათავეში **"ალ-ყაიდას"** აქტივისტები და ჯიჰადისტები მოიყვანეს. სწორედ რუსეთისადმი შიშისა და კრძალვის გამო ვერ ბედავენ ყველაზე დიდი ბუნებრივი ენერგორესურსების მქონე ირანს შეუსიონ ჯარები, რაც შეიძლება მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს, ამიტომ, იძულებული არიან მაღალ ტრიბუნებიდან მოუსმინონ ირანის პრეზიდენტ აჰმედინეჯადის მიერ გაჟღერებულ მწარე სიმართლეს, ან, პროტესტის ნიშნად, სამარცხვინოდ დასტოვონ დარბაზი. ამრიგად, ამერიკელებს **"ერთპოლუსიანობა"** სრულ კარტბლანშს მისცემს მსოფლიოს ენერგორესურსების დასაუფლებლად და საკუთარი თამაშის წესების დასამკვიდრებლად, ეს კი ნიშნავს იმ უბედურობებს, რის თაობაზეც ჯერ კიდევ 16 წლის წინ გვაფრთხილებდა ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია – ამერიკელთა სრულ მონოპოლიზაციას მნიშვნელოვან სასიცოცხლო სფეროებზე, რათა ე.წ. **"ოქროს მილიარდმა"** უზრუნველად იცხოვროს, რაც დანარჩენი სამყაროსათვის ნიშნავს სრულ ეკონომიკური და პოლიტიკურ კაბალას, შიმშილს, სიცივეს, გაუნათლებლობას, ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმების მოშლას...

ამიტომ, არ უნდა დავიყრუოთ და დავიმუნჯოთ თავები, არ უნდა შეგვაკრთოს საქართველოს სათავეში შევარდნაძის მოღალატური პოლიტიკის შედეგად გამძვრალი სომეხი **"ნაციონალების"** ყბადაღებულმა ბრალდებამ იმის თაობაზე, რომ რუსული ინტერესების დამცველი ყველა პირი რუსეთის აგენტია... თუ ამერიკელ მასონთა თარეში არ აღვკვეთეთ და გაქსუებული **"ნაციონალები"** თავიდან არ მოვიშორეთ, საქართველო მალე გადაიქცევა ამერიკელთა საჯიჯგნ პოლიტიკურ სხეულად, რაც ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ განადგურება და ქართული ეთნოფენომენის წაშლას ნიშნავს. ამ პროცესს დააჩქარებს ის რელიგიური კატაკლიზმებიც, რაც ავბედითად წამოიმართება ჩვენ წინაშე, თუ რუსეთში მართლმადიდებლობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. არადა, ამერიკელებს სწორედ ეს ფენომენი ჰყავთ ამოღებული მიზანში, რადგან **"საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ პოსტსაბჭოთა სივრცეში დარჩათ ერთადერთი დაუძინებელი მტერი – მართლმადიდებლობა".** ჩვენ საბჭოთა კავშირის დაშლასაც დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით შევეგებეთ, შედეგად კი მივიღეთ დაშლილ-დანაწევრებული საქართველო და რატომ გვგონია, რომ ეს პროცესი არ გაგრძელდება რუსეთის დაშლის შემდეგაც? მით უმეტეს მაშინ, როცა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ვერაგულ-მოღალატეობრივმა პოლიტიკამ ჩვენს ყველა მეზობელს – თურქს, სომეხს, აზერბაიჯანელს თუ რუსს საქართველოდან მიწების ჩამოჭრის სურვილი გაუღვიძა? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ პანისლამისტური ჩრდილოეთ კავკასიასა კონფედერატებზე, რომელთაც თავიანთ დედაქალაქად სოხუმი აქვთ მიჩნეული. როგორ ფიქრობთ, ისინი ასე იოლად დაგვანებებენ თავს და ჩვენგან არ მოისურვებენ საქართველოსაგან პანკისის ხეობის ჩამოჭრას?..

განა შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ყოველივე ეს არ შედის საქართველოს სომხური ხელისუფლების მოღალატეობრივ გეგმებში?

თუ მათ მიერ განხორციელებულ საქართველოს გეოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ, სულიერ, მორალურ, ზნეობრივ და რელიგიურ ფენომენთა დამცრობა-განადგურების გეგმაზომიერ პოლიტიკას გავითვალისწინებთ, ძნელია ეჭვის შეიტანო მათ გამთიშველურ და კოლაბორაციონისტულ მისწრაფებებში!

ამიტომ, როგორც იტყვიან, ტვინს წიხლი უნდა დავაჭიროთ, დავფიქრდეთ და გავიაზროთ, რას მოგვიტანს ჩვენ – ქართველებს რუსეთის მარტივ მამრავლებად დაშლა. მე რუსეთს არ მივტირივარ, რადგან ჩემი სამშობლო მენგრევა თვალწინ. უბრალოდ, მინდოდა წარმომედგინა ის სავალალო სურათი, რაც ჩვენ შეიძლება მოგვიტანოს რუსეთის დაშლამ!

ახლა, რაც შეეხება ვლადიმერ პუტინს! უდავოა, რომ მან ურთულესი რუსეთი ჩაიბარა, რადგან ელცინმაც ისევე გაყიდა რუსეთის და რუსული გეოპოლიტიკური ინტერესები, როგორც შევარდნაძემ გაჰყიდა საქართველო! ერთადერთი სიბოროტე, რასაც მიხეილ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები პუტინს დანაშაულად ვერ უყენებენ, გახლავთ საქართველოდან სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოწყვეტა. ეს შევარდნაძისა და ელცინის ბინძური პოლიტიკის ნაწილი გახლდათ, რაც შემდეგ სააკაშვილმა **"დააგვირგვინა"** იმით, რომ აგვისტოს პროვოკაციული ომის წამოწყებით დააკანონა საქართველოს ძირძველი მიწების მოწყვეტა დედა-სამშობლოსაგან! ქართველმა ხალხმა კი ჩვეული სიბეცე გამოავლინა და ტაშ-ფანდურით აღნიშნა საქართველოს დაშლა-გაპარტახება!

თქვენ გაიგეთ ახლა, ვის უნდა დაბრალდეს საქართველოს დაშლა – მედვედევს და პუტინს, თუ სომეხ სააკაშვილს და მის სომხურ გარემოცვას!

ვაჭრებს (იგულისხმე – სომეხი – **"ილორი"**) ჭკვიანი ხალხის არასოდეს ეშინოდათ, რადგან თავიანთი ცბიერებითა და ვაჭრული ეშმაკობით ყოველთვის აბითურებდნენ მათ. ვაჭრებს მხოლოდ თავიანთზე მეტი ფულის პატრონის ეშინოდათ, რადგან, მათი გადამკიდეები, საკუთარ იშკილებზე ვერ ატარებდნენ მთელ სახელმწიფოს და მის ხალხს. სწორედ ამიტომ დააფრთხო ისინი ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე მათზე დიდი ფულის პატრონის ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ.

– რუსეთში ნაშოვნი ფულით გახდა მილიარდერიო! – ერთხმიანი ყაყანით წაუყენეს ივანიშვილს პირველი ბრალდება და დაივიწყეს ის ჭეშმარიტება რომ ამ ადამიანს თავისი აქტივების მეტი წილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში აქვს განთავსებული.

– დალოცვილებო, ივანიშვილმა რუსეთში იშოვნა მილიარდები, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მსგავსად ქართველი ერის ყვლეფისა და დამცირების ხარჯზე ხომ არ უშოვნია ამდენი ფული! ახლა კი, უნდა, რომ ეს ფული ზუსტად იმ **"მეხუთე კოლონის"** ქვეყნიდან გასაძევებლად დახარჯოს, რომელიც საქართველოს თაფლშეპარული შხამით შლის და ანადგურებს. რაც შეეხება, უფულო ალექსანდრე ჭაჭიას, ფულიან ბიძინა ივანიშვილის და რუსეთში მოღვაწე სხვა **"ფულიან-უფულო"** ქართველი პატრიოტი ადამიანების **"მეხუთე კოლონად"** მოხსენიება, პირწავარდნილი რეაქციონერი სომეხი სააკაშვილის მიერ, მართლაც სასაცილოა, სატირელი და თავში საცემი რომ არ იყოს.

სწორედ აქ წამოტივტივდება ხოლმე დიდი რუსი პუბლიცისტის ვასილ ველიჩკოს მიერ წიგნ **"კავკასიაში"** ჩასმული ქართველი კაცის მწარედ ნათქვამი სიტყვები საქართველოში მოძალადე სომხების მიმართ: **"გარეული ქათამი მოვიდა და შინაური ქათამი გააგდო"!**

დიახაც, პირწავარდნილი სომეხი მიხეილ სააკაშვილი (როგორც გვარიშვილობით, ასევე ქართველებისადმი სიძულვილითა და ცინიკური დამოკიდებულებით) ქართველებს – ცნობილ პოლიტიკოსს, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, ცნობილ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს ბიძინა ივანიშვილს და რუსეთში მოღვაწე სხვა პატრიოტებს რომ **"მეხუთე კოლონად"** გამოაცხადებს და მათ საქართველოდან გაძევებაზე **"იზრუნებს"**, ამაზე მეტი სიბოროტე და თავხედობა რა უნდა იყოს?

რაც შეეხება სომხებს, რომლებთანაც ჩვენ ისტორიულად მწარე (საკმაოდ ბევრი) გამოცდილებაც გაგვაჩნია და ტკბილიც (რაც შეიძლება ცოტა). მეგობრებთან ერთად შევადგინეთ იმ ადამიანების სია, ვინც დღეს აკონტროლებს საქართველოს პოლიტიკასა და ბიზნესს და აღმოვაჩინეთ, რომ ამ ხალხის 100 პროცენტი ან სომეხია, ან გაქართველებული სომეხი, რომელიც ჩუმად აკეთებს სომხურ საქმეს!

ამიტომ, გულუბრყვილო იქნება ადამიანი, რომელიც იფიქრებს, რომ ამ მახრჩობელა ძალისგან იოლად შეიძლება თავის დახსნა.

ამას მთელი საქართველოს ერთ მუშტად შეკვრა და ერის ძალისხმევა სჭირდება!

სხვაგვარად, ჩვენს დაღუპვამდე დიდი დრო აღარ რჩება, ხოლო თუ ვის დარჩება შემდეგ **"ნაციონალთა"** მიერ ცხოველური ჟინითა და მონდომებით აგებულ-გაპიარებული შადრევნები, გზები და ლამაზ-ლამაზი შენობები, ძნელი განსაჭვრეტი არ გახლავთ!

ძალიან დავშორდი თემას, რომელიც რუსეთში ვლადიმერ პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტების თანმხლები მოვლენების გაშუქებით დავიწყე. იგი გახლავთ პრინციპული და გაწონასწორებული პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც არასოდეს ღალატობს საკუთარი ხალხის და სამშობლოს ინტერესებს. ქართულ **"სახელისუფლებო"** მედიაში საკმაოდ **"დამაჯერებლად"** ააგორეს ჭორები პუტინის რომანტიულ თავგადასავლებზე, მაგრამ ამ შავმა PR-მა, როგორც მოკლეფეხებიანმა ტყუილმა დიდ ხანს ვერ იარსება. რაც შეეხება რუსული ოპოზიციის წკმუტუნს პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტების თაობაზე, მათი შიში სრულიადაც არ არის მოკლებული საფუძველს, რადგან ეს ადამიანი არჩევნებს მოიგებს თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით და არა არჩევნების თავხედურად გაყალბებით, როგორც ეს ჩვენთან ხდება. მაგრამ, ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს და მერე ვნახავთ, თუ როგორ მოიგებენ არჩევნებს **"დიდი უპირატესობით"** ყველასაგან მოძულებული მოძალადე **"ნაციონალები".**

რაც შეეხება პუტინის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და იმას, რომ მას **"ხელები ქართველების სისხლში აქვს გასვრილი"**, ეს თეზა დაზუსტებას საჭიროებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტალიავინის კომისიის დასკვნას გაეცნობი, სადაც გარკვევით სწერია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი სწორედ სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ დაიწყო.

ის, რომ პუტინს ქართველები სძულს, ნაციონალთა ტრუბადურების მიერაა შეთხზული, რომლებიც, ეტყობა თავადაც დაიღალნენ საკუთარი სიცრუის მტკიცებით იმის თაობაზე, რომ რუსებმა საბოლოოდ წაგვართვეს აფხაზეთი. როცა ამგვარ მტკიცებებს ვისმენ, წამსვე გამახსენდება ცნობილი რუსი სახელმწიფო მოღვაწის ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე ვლადიმერ პუტინის მიერ ნათქვამი სიტყვები: **"თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, ძალიან სცდება."** პუტინი კი ის კაცი არ გახლავთ, რომელიც სააკაშვილივით დაუფიქრებლად და გაუაზრებლად ამბობდეს რამეს! ახლა გეკითხებით, რატომ უნდა ვერწმუნო საქართველოს მაოხარ და ამომგდებ მიხეილ სააკაშვილს და არ ვერწმუნო იმ ვლადიმერ პუტინს, რომელიც ყველაფერს აკეთებს საკუთარი ხალხის კეთილდღეობისათვის და სამშობლოს ასაღორძინებლად? ვლადიმერ პუტინი რომ ისეთი ცერცეტი იყოს, როგორც ყვარლის ტყეებში მეძავებს გამოდევნებული ქართული **"დემოკრატიის შუქურა"**, დამერწმუნეთ, საკუთარ არჩევანში პრინციპული და ურყევი რუსი ხალხი მას ამხელა ნდობას არ გამოუცხადებდა. რაც შეეხება ვლადიმერ პუტინის დამოკიდებულებას ქართველი ხალხისადმი, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მას სძულს არა საქართველო, არამედ მისი შეურაცხმყოფელი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ყოველგვარი დიპლომატიური და ადამიანური ტაქტის უგულვებელყოფით უდიერად მოიხსენია ვეებერთელა სახემწიფოს მეთაური მისი სიმაღლის გამო. ამ შემთხვევაში კი მიხეილ სააკაშვილს შევახსენებდით ერთ ძველ ქართულ შეგონებას: **"სულელი რაც უფრო მაღალია, მით უფრო შორიდან მოჩანს"!** რაც შეეხება ადამიანის ფიზიკურ სიმაღლეს, მას იმასაც შევახსენებდი, რომ დიდი სიმაღლით არ გამოირჩეოდნენ ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, დავით აღმაშენებელი, ვლადიმერ ლენინი, იოსებ სტალინი და უამრავი დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელთაც შესძლეს კაცობრიობის ისტორიის შეცვლა.

ახლა, ძვირფასო მკითხველო, თქვენ თავად განსაჯეთ, ხელსაყრელია თუ არა ქართველებისათვის ვლადიმერ პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტება!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის" აკადემიის**
**ნამდვილი წევრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.

*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.*



ხვდებოდა მრევლს, ესაუბრებოდა მათ. ქადაგებდა მართლმადიდებელი სარწმუნოების მნიშვნელობაზე, ეხმარებოდა სულიერი სიმხნევის შენარჩუნებაში ადამიანებს.

მოკლე დროში გაწეულმა საქმიანობამ შედეგი გამოიღო. აი, რას სწერს მღვდელი სიმონ ჭელიძე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში **„ჭელიშის მონასტერი და მისი წინამძღვარი“:**

**„იყო დრო, როდესაც მთელს რაჭაში სასულიერო სამსახურის მოსურნე ჭელიშის მონასტერში იღებდა საღმრთო სწავლა-განათლებას. აქ შეხვდებოდით ურიცხვ ხალხს, რომელნიც ვარჯიშობდნენ საეკლესიო გალობაში და საღმრთო წერილის კითხვაში. ამ მონასტერში ნასწავლნი დღესაც მსახურობენ რაჭის ეკლესიებში და ატკბობენ მსმენელის ყურს საღმრთო წერილის მშვენიერი კითხვითა.**

**მაგრამ გავიდა დრო და ამ მონასტერს მოაკლდა მოსწავლეთა რიცხვი. ამისათვის მონასტრის ცხოვრება შეჩერდა, აღარ არის ის მოძრაობა, რასაც ადრე ვხედავდით.**

**აი, ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება აწინდელმა ჭელიშის მონასტრის წინამძღვარმა, დიდად პატივცემულმა არქიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელაიამ) და სურს ისევ განაცხოველოს მონასტრის ცხოვრება.**

**ყველასათვის ცნობილია, რომ ახლანდელი სემინარიელნი ძლიერ სუსტობენ ქართულის წერა-ლოცვაში; ამის მიზეზი ყველასათვის აშკარაა. ამის გამო, მამა ამბროსის აზრად აქვს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონარდეს ნებართვით ის სემინარიელნი, რომელნიც სამღვდელოდ ემზადებიან, უთუოდ ვარჯიშობდნენ საღმრთო წერილის კითხვაში ამ მონასტრის ზღუდეთა შორის. აზრი ყოვლად პატიოსანია, და იმედია ახლო მომავალში განხორციელდება, მაშინ ჩვენს მონასტრებს, ხომ სიცხოველეც მოემატება.**

**საზოგადოდ მამა ამბროსი განათლებული და მშრომელი კაცია. იგი დაბრძანდება რაჭის ყველა კუთხეში, ათვალიერებს ძველს ეკლესიებს და ჰკრებს სასარგებლო ცნობებს.**

**ვუსურვებთ მამა ამბროსის წადილის განხორციელებას და ყოველ მის საქმის წარმატებას ჩვენის ეკლესიის და სამღვდელოების სასარგებლოდ“.**

ჭელიშის მონასტრის წინამძღვარი ეახლა იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს და სთხოვა სასწავლებელდამთავრებულები მასთან მოევლინებინათ სავარჯიშოდ. ასე შეკრიბა ამბროსიმ მღვდლად შემსვლელთა საკმაო ჯგუფი. არქიმანდრიტს საკმაო გამოცდილება ჰქონდა აფხაზეთიდან ამ საქმისა, იგი ხომ სასულიერო წოდებაში შემსვლელ პირთა გამომცდელად იყო დანიშნული.

თავისუფალ დროს, მოგზაურობდა რაჭის სოფლებში და ძველი ხელნაწერების კითხვა-გამოკვლევაში ხარჯავდა ენერგიას.

წირვის შემდეგ ჩვეულებრივ წარმოსთქვამდა ქადაგებას, რომელიც მსმენელზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა.

აი, რას წერს მწერალი სოსიკო მერკვილაძე.

**„მარიამობისთვის 15-ს ნიკორწმინდიდან წავედით ახლომახლო მდებარე ადგილების დასათვალიერებლად... მივედით მონასტერში. ჯერ წირვა გამოსული არ იყო. ჭელიშის მონასტრის ღვთისმშობლის სახელობაზე არის აგებული და ამ დღეს მონასტრის დღეობა იყო – მარიამობა. ხალხი ბლომად მოსულიყო ახლო-მახლო სოფლებითგან. მწირველი ბრძანდებოდა ყაზანის აკადემიაში სწავლა დამთავრებული და დღეს წინამძღვარი ამ მონასტრის არქიმანდრიტი ამბროსი თავისი კრებულით. წირვის შემდეგ მამა ამბროსიმ წარმოსთქვა გრძნობით სავსე ქადაგება, რომლის გაგონებამაც მრავალ მლოცველს სიხარულის ცრემლი მოჰგვარა.**

**მამა ამბროსი – სულ წელიწადი არ არის, რაც აქ წინამძღვრად გამოამწესეს, მაგრამ ღვთისა და კაცის მოყვარე ადამიანისთვის ეს მოკლე დროც საკმაო ყოფილა, რომ წრფელი გულით შეეყვარებინა ხალხს“.**

შემდეგ მწერალს მოჰყავს საუბარი ერთ-ერთ მეცხვარესთან – **“როგორია ძმობილო, თქვენის უდაბნოს ახალი წინამძღვარი? – ვკითხავდით სოფლელებს.**

**– რომ იტყვიან, ღვთის ენა-პირი ასხიაო, სწორედ ის არის აგერ, ამ ხნის კაცი გახლავართ და ჯერ მაგისთანა არავინ მოსულა და არც მაგ დალოცვილისთანა ქადაგება გაგვიგონიაო – იყო პასუხი.**

**ჭელიშის უდაბნოს გარეგანი შეხედულება და მისი მდებარეობა ცხადად დაგვარწმუნებს, რომ ჩვენ გვყოლია ნამდვილი ღვთისმოსავი და ხალხისმოყვარე მამები, რომელთაც კარგად სცოდინათ სალოცავად და ერისთვის სამოღვაწეოდ როგორი ალაგია საჭირო“.**

**„მონასტრის გალავანს გარეთ, მრავალი დიდრონი ნიგვზის ხეებია, პატარა ვაკე, საცა ბოსტნეულობა ითესება და აუზიც კალმახებისთვის. მამა ამბროსიმ გვითხრა, მონასტერს ზოგი ფრიად ძვირფასი ეტრატის ხელნაწერებიც აქვს შესანიშნავის ზედ-წარწერებით. მაგრამ დაეხიათ ზოგი მათგანი ვიღაც უვიცებს და წყლის ჭურჭლის თავ-დასაცობად თურმე ჰხმარობენო.**

**როგორც უმეტეს ნაწილს ჩვენს უდაბნო-მონასტერში, ისე ჭელიშშიაც არ არის ჯერ-ჯერობით რიგიანად მოწყობილი ქართული გლეხობის საქმე, თუმცა აქ, როგორც ზევით ვსთქვით, ათამდე ბერია შევრდომილი. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ მთელი რაჭა ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია საქართველოს ყველა კუთხეებს“.**

ბოლოს ავტორი ასკვნის:

**„ჩვენის აზრით, ჩვენს ხალხში სარწმუნოება შეასუსტა იმან, რომ ახალ-ახალ მღვდლებისაგან აღარ ისმის აღარც ცოცხალი სიტყვა, აღარც ქადაგება, აღარც გალობა და აღარც დარიგება.**

**მაგრამ დარწმუნებული ვართ, ჭელიშის მონასტერში მამა ამბროსის მეცადინეობით მალე ეშველება ამ სატკივარს“.**

ღვთის ნება და მამა ამბროსის მონდომების, შედეგი იყო რომ გაუმრავლდა მრევლი ჭელიშის მონასტერს და საეკლესიო ცხოვრება აღორძინდა.

საქმიანი ურთიერთობა დაამყარა იმერეთის ეპისკოპოსთან, ეროვნული იდეებით დამუხტულ, მეუფე ლეონიდესთან.

ისინი დიდხანს მსჯელობდნენ ქართული ეკლესიის მდგომარეობასა და მომავალზე. რომ გორში მოღვაწეობდა ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც განათლებული და ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ასევე აქტიური მებრძოლი იყო. ფიქრობდნენ ძალების ერთიანობაზე და ერთობლივ მოღვაწეობაზე.

რაჭაში სასიამოვნო ამბებს ყვებოდნენ არქიმანდრიტ ამბროსიზე. ახალგაზრდა ღვთიმეტყველმა გრიგოლ ტურაბელიძემ ხალხში გაავრცელა ამგვარი ამბავი, რომ **„მამა ამბროსი ერთხელ მიდიოდა ეკლესიის ეზოში. თავის განუშორებელ არგანით ხელში. მისი ყურადღება მიიპყრო რამ ყრუ ხმამ, რომელიც ამოდიოდა მიწის სიღრმიდან. მამა ამბროსიმ გაათხრევინა ის ადგილი და იქ აღმოჩნდა სახარება, რომელიც მიცვალებულისთვის საფლავში ჩაეტანებინათ“.**

აი, როგორ იგონებს თავად ამის შესახებ ამბროსი:

**„უმრავლესობა ჭელიშის მონასტერში დაცული ხელნაწერებისა გადმოუტანიათ სხვაგნიდან, სხვავის ან ველტყევის უდაბნოს გაუქმების შემდეგ, მაგრამ ახლა ძნელია დანამდვილებით ითქვას, რომელი ან რამდენი მათგანი ეკუთვნოდა სხვავის უდაბნოს. ამის მიზეზი იყო დაუდევრობა, ან, უკეთა ვთქვათ, შეუგნებლობა მონასტრის მმართველობისა, რომელნიც ამ ხელნაწერებს არ აძლევდნენ არავითარ მნიშვნელობას და, ამის გამო, ეკლესიის ქონებათა აღწერილობაშიც არ შეუტანიათ. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ბევრი ძვირფასი ხელნაწერები დაკარგულა სამუდამოდ მეცნიერებისათვის, ხოლო დანარჩენნი მიუყრიათ ეკლესიის კუთხეში, სხვა უხმარ და უვარგის ნივთებთან, რომელთაც მონასტერი არ საჭიროებდა. ამის გამო, ხელნაწერები იმდენად დამპალ-დანესტიანებული აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქმნა მათი გამომზეურება და თითო ფურცლობით შრობა, რასაც მოუნდა მთელი თვე. გაშრობა-გამზეურების შემდეგ შეძლებისდაგვარად, გადავათვალიერეთ ხელნაწერები და ამის შემდეგ ქვემოთ მოტანილი მათი მოკლე აღწერა. არ ვიტყვით, რომ ხელნაწერები რიგიანად შეგვესწავლოს. ამისთვის მაშინ (1902 წელს) არც დრო გვქონდა და გამოგიტყდებით, არც ცოდნა გვიწყობდა ხელს. მიუხედავად ამისა, ხელნაწერების ქვემოთ მოტანილი აღწერა არ უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული მკითხველი საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით კი, იმათთვის, ვისაც აინტერესებს ამნაირი სიძველენი, როგორც მასალა სამშობლო ქვეყნის და ისტორიის შესწავლისათვის“.**

შემდგომ მამა ამბროსი ასკვნის:

**„კარგი იქნება ამ ოთხთავის შესწავლა და შედარება სხვა ხელნაწერი სახარების ტექსტებთან, მაგრამ ამის საშუალებას ამხანად, სამწუხაროდ, მოკლებული ვარ“.**

შინაგანად მოწესრიგებული და პასუხისმგებლობის მქონე არქიმანდრიტი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა მონასტერში აღმოჩენილ წიგნებსა და ხელნაწერებს. და ისიც იწყებს მათ გაცნობასა და დამუშავებას. რამოდენიმე წლის შემდეგ კი მათგან ერთ-ერთს წარადგენს სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ეს არის **„ქართლის მოქცევის“** ჭელიშური ვარიანტი ხელნაწერისა.

რაჭა-ლეჩხუმში მოღვაწეობის ჟამს წარმოებულ გამოკვლევებისა და ჩანაწერებს აქვს ნაშრომის ფორმა და დაყოფილია თავებად. ყველა მათგანი საინტერესოა ორიგინალური აზროვნებით, თემების გაშუქების ღრმა უნარით.

**„ქართული ეკლესია დევნულობის ჟამს“** – აი რას გვამცნობს ავტორი: **„დევნულობა ხშირად განამტკიცებს სარწმუნოებას, ხალხს აძლევს მხნეობას, დაიცვას თავისი ეკლესია. დევნულობის დროს ხშირად სარწმუნოება უფრო ბრწყინავს, ვიდრე მშვიდობის დროს, მაგრამ ყველა ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იდევნება თავისუფალი, თვითმოქმედი ეკლესია, რომელიც ახლა საუბედუროდ არ გაგვაჩნია.**

**საინტერესო და ავტორისეული მიგნებითაა გაჯერებული თავი „ქართული ეკლესია – ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ“. ასევე დამაჯერებელია ავტორის მსჯელობა, როცა ის განიხილავს „ერი და ბერი“-ის თემას.**

**„კათალიკოზნი იყვნენ მფარველნი დაჩაგრულთა, დასჯილთა და სასიკვდილოდ გამზადებულთაც. ეკლესია და კათალიკოზ-ეპისკოპოზებს ჰქონდათ შენახული უფლება შევრდომებული ხელუხლებლობისა. ისინი იყვნენ ხალხის შუამდგომელნი შაჰებისა და სპარს-ოსმალთა მეუფროსეთ წინაშე“; „ეს საქართველოში შემთხვევითი მოვლენა არ იყო. სამღვდელოება იყო მუდამ ნუგეშინისმცემელი ხალხისა. განსაკუთრებით ამ მისიას ასრულებდნენ მონასტრები და მაშინდელი ბერ-მონაზვნები. მონასტრები, ხშირად სამრევლო ტაძრებიც, იყვნენ თავშესაფარნი მტრის შემოსევის დროს, ომში გასული ოჯახობა და მოხუცებულ-დავრდომილნი, რომელთაც არ შეეძლოთ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, მონასტრების გალავანში იხიზნებოდნენ“.**

აზრთა ლაკონიურობითაა საინტერესო თავი **„ქართველი ხალხი და ქრისტიანობა“.**

**„სასულიერო პირებს ქართველები ძალიან მორიდებით ეპყრობიან, მათს ძვირს ვერას გზით ვერ ათქმევინებთ. როდესაც თავადები, დიდებულნი და მათი მეუღლენი გზაზე შეეყრებიან მღვდელმთავრებს, თუ ცხენით არიან, ჩამოქვეითდებიან და შორიდანვე დაუწყებენ მუხლმოდრეკით თაყვანისცემას, შემდეგ ადგებიან და მიიღებენ მათ ლოცვა-კურთხევას... ამნაირად იქცევიან არა უბრალო ქართველნი, არამედ მეფედედოფალნიც. ძალიან უყვართ ქადაგება-დარიგების მოსმენა და დიდი ხალისით ასრულებენ დამრიგებლის სიტყვა-ბრძანებას. ...ქართველი ქალები, ძალიან იშვიათი შემთხვევის გარდა, ღვთის მოშიშნი არიან და ძალიან მკაცრად ასრულებენ საღვთო მცნებას, თითოეულ დიდებულის ცოლთან უთუოდ მყოფს ერთი ან ორი მონაზონი, რომელთაც, როგორც ყველა მორწმუნე ქალთა, კარგად იციან წერა-კითხვა. თითოეულ დღეს, ჩვეულებრივი ლოცვების შესრულების შემდეგ ისინი უთუოდ გალობენ ღვთისმშობლის იმ საგალობელს, რომელიც ჩვეულებრივ იკითხება დიდმარხვის მეხუთე შაბათს“.**

დილიდან წვიმდა რაჭაში.

თქეშმა ქარბორბალასავით გადაუარა ამწვანებულ მთა-ხევებს და სამხრეთისაკენ იძალა.

მცირე დრო გახდა საჭირო, მდინარეები გახელებულიყვნენ.

გადაკარების შემდეგ, რაღაც წამებში ორბი თუ არწივი აიჭრა ჰაერში და ლაღად შემორკალა სივრცე.

დილით მონასტრიდან ფეხი ვერ გადგა მამა ამბროსიმ. ლოცვის შემდეგ გაყვითლებულ წიგნის ფურცლებს ჩაუჯდა.

საკალმახე ტბორი, ბოლომდე წყლით გაპიპინდა. საბოსტნე ნაკვეთში ჩაგუბდა ნაკადი. ღარები იყო გასავლები, რომ ნესტი არ შედგომოდა მწვანილსა და მოზღვავებულ ნაწვიმარს ტბორიდან თევზი არ გადაჰყოლოდა.

მონასტრის მცხოვრებთ გარჯა მოუწევდათ.

მამა ამბროსიმ თვითონვე ისურვა საქმიანობის თვალ-ყურის მიდევნება.

დაუშალეს ნესტიან ამინდში გარეთ გამოსვლა.

ის იყო ბერ-მონაზვნები, მორჩილნი და მონასტრის ბინადარნი ეზოში გამოიშალნენ, რომ მათი ყურადღება ორმა ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა მიიპყრო.

მათ არქიმანდრიტი მოიკითხეს და მის ოთახში თამამად შევიდნენ.

არქიმანდრიტი შვილების – ნინოსა და ალექსანდრეს ხილვამ მეტად გაახარა.

რა იქნებოდა ამ წამზე უფრო მშვენიერი და ამაღლებული? მოულოდნელობის ტალღა გულის სარქველს ერთბაშად მოაწვა.

შვილების სტუმრობა, ციდან ანგელოზების ჩამოფრენას გავდა.

გრძნობდა მამა, ამ მთაგრეხილებსა და უჟმურ ამინდში მონასტერში მოსვლა ადვილი არ იყო. ბუნების სანახაობა დღეს ნისლსა და ღრუბლებს დაეჩრდილათ.

– როგორ გამახარეთ, როგორ – სულს ძლივს ითქვამდა მამა ამბროსი და თითქოს დაბნეულს ვერ მოეფიქრებინა, შემდგომ როგორ მოქცეულიყო.

მდგომარეობა დიაკვანმა განმუხტა. წვიმისგან გაწუწულ ახალგაზრდებს გვერდით ოთახში შესვლა და სამოსის გამოცვლა სთხოვა.

– ჰო, უნდა გამოიცვალოთ – შემდეგ აქეთ-იქით მიმოიხედა მამა ამბროსიმ და ჩაილაპარაკა – ეშიებათ ალბათ!

– ამ საქმეს მე მივხედავ, გამოიცვალონ მხოლოდ – თქვა დიაკვანმა და ოთახიდან გავიდა.

გარეთ უკვე აღარ წვიმდა. ღრუბლები მაღლა იწევდნენ და საღამო ცრიატი შეიქმნებოდა.

– ასეთ ამინდში როგორ ამოხვედით? – ხმა უკრთის მამა ამბროსის. შვილებზე უფრო ძვირფასი რაა ცხოვრებაში, სათუთი და მისაფერებელი? **„შვილი გულია, შვილიშვილი გულის გულიო“** ამბობენ ხალხში.

– თავად როგორ ბრძანდები ბაბა ძვირფასო?

– უფლის წყალობით, აი, ისე, როგორც მხედავთ... აბა, მითხარით, ყველაფერი მომიყევით, ოჩამჩირეზე, აფხაზეთზე, თქვენზე, ანიზე? – მართლაც ყველაფერი აინტერესებდა იმ მხარეზე, სადაც დიდი ხანი იღვაწა, მისი ოჯახი იყო და შვილები ცხოვრობდნენ.

– ანი კარგადაა. წამოსვლა სურდა ჩვენთან, ბებომ დაუშალა!

– ძალიან მენატრებოდით!..

– ჩვენც ბაბა, იქნებ სამურზაყანოში დაბრუნდე, ჩვენთან ახლოს იქნები! – თქვა ნინომ.

– ეს ჩემს ნება-სურვილზე როდია დამოკიდებული. ...ყოველივე ჯერ უფალზეა, მერე კი ეგზარქოსზე... ხედავთ აქ ცასთან ახლოსა ვართ. სულაც არ მიჭირს. რაც მენატრება ეს თქვენი ხილვაა.

– ჩვენც ძალიან გვაინტერესებდა შენი სამყოფელი,– ალექსანდრე მამას მიეახლა.

– აბა, თავი კარგად დამანახეთ, აქეთ გამოდით, უნდა დაგაკვირდეთ!

კარგები იყვნენ. ალექსანდრეს დედის იერი დაჰკრავდა. ნინო ბებოს გავდა. ზღვისფერი თვალებითა და გიშრისფერი დალალებით.

დიდხანს ისაუბრეს. მერმე ისადილეს და ეზოში გავიდნენ.

მამას აინტერესებდა შვილებმა სამომავლოდ რა გადაწყვიტეს.

– პეტერბურგში მივალ წელსვე, ინჟინრობას ვესწრაფვი – თქვა ალექსანდრემ.

– არ გიშლი, ნიჭიერი და მონდომებული კაცი ყველა საქმეში წარმატებული იქნება. მთავარია ერთგულება და წესიერება, მაშინ ღმერთიც შენთან იქნება.

– მე კი საზღვარგარეთ მესურვილება სწავლა – მორიდებით თქვა ნინომ.

– არც შენ გეწინააღმდეგები, შვილო, შეუძლებელი არაფერია. საჭიროა თავი ღირსეულად გეჭიროს.

რადგან წვიმამ გადაიღო. გაიფანტა ღრუბლები.

საღამოს მზემ გამოიჭყიდა. ანცი საცეცები დააცხრა ირგვლივ მიდამოს.

ახალგაზრდებმა ბუნების წიაღში დიდხანს ისეირნეს. მამა ამბროსი მაგიდას მიუჯდა და **„ოთხთავის“** კითხვა-დამუშავება განაგრძო.

**ბორის დავითაია,**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ილორი

# ზურაბ კვარაცხელია: რამდენიმე პრინციპული საკითხის გარკვევის შემდეგ უნდა გადაწყდეს, დაუჭერს თუ არა სამეგრელო მხარს ბიძინა ივანიშვილს



ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. შეფასებები და დამოკიდებულებაც მის მიმართ სხვადასხვაგვარია. ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ზურაბ კვარაცხელია:**

– ბიძინა ივანიშვილის მიმართ ყველას თავისი პოზიცია გააჩნია: ზოგს – ობიექტური, ზოგს კი, შესაძლოა, – სუბიექტურიც. რაც შეგვეხება ჩვენ, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"**, შეგახსენებთ, რომ ეს მოძრაობა გარკვეულწილად სპეციფიკურია. იგი თავის დროზე დაფუძნდა ჩვენი მშობლიური კუთხის, სამეგრელოს უაღრესად მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი გზების მოძიებისა და რეგიონული პრობლემების მოგვარების მიზნით. ფაქტია, ხელისუფლები მიდიან და მოდიან, მაგრამ ჩვენი კუთხის პრობლემები კვლავ პრობლემებად რჩება. ასე იყო შევარდნაძის რეჟიმის პირობებში და ასეა სააკაშვილის დროსაც. ორივე ხელისუფლებას სამეგრელო მხოლოდ წინასაარჩევნოდ ან პიარისთვის ახსენდება. არადა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, სოციალური ინფრასტრუქტურის აღორძინება-განვითარება, სამეგრელოს ისტორიულ-კულტურული, ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარება. ძალიან მნიშვნელოვანია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, აფხაზეთიდან დევნილების უმრავლესობა ხომ მეგრელები არიან და მათი მომავალი ხვედრისადმი სამეგრელოს მოსახლეობა გულგრილი ვერ იქნება.

**– ბატონო ზურაბ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილისადმი და რას ურჩევთ სამეგრელოს მოსახლეობას?**

– ბიძინა ივანიშვილის სახით გამოჩნდა პიროვნება, რომელიც აცხადებს, რომ ის აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში და მას ამისათვის სჭირდება ხალხის მხარდაჭერა. მიმაჩნია, რომ სამეგრელოს მოსახლეობის მხარდაჭერა ვინმესადმი არ უნდა იყოს უპირობო. ჩვენ ერთხელ უკვე დავუშვით დიდი შეცდომა, როცა ბრმად გავყევით სააკაშვილს უფსკრულისკენ მიმავალ გზაზე. ანალოგიური შეცდომის უფლება ნამდვილად აღარ გვაქვს და ეს კარგად უნდა გააცნობიერონ ჩემი მრავალტანჯული კუთხის შვილებმა.

უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია საგარეო პოლიტიკის საკითხთან დამოკიდებულებაც. რა თქმა უნდა, საგარეო-პოლიტიკურ ვექტორზე დაბალანსებული პოლიტიკა უნდა გატარდეს, მაგრამ ევროატლანტიკურ ალიანსში, თუნდაც მომავალში, ჩვენს ეფემერულ გაწევრიანებაზე რიტორიკამაც კი უდიდესი ალბათობით, შესაძლოა, ქვეყნის გამთლიანების არანაირი შანსი არ დაგვიტოვოს. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ალიანსში გაწევრიანება ავტომატურად და სრულიად გამორიცხავს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას. ამდენად, ძალიან საინტერესოა, რას ფიქრობს ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი ძალა რუსეთის მომავალი პრეზიდენტის მიერ ამასწინათ გაჟღერებული ევრაზიული კავშირის იდეის აქტუალიზებაზე. და რადგან ალიანსში შესაძლო გაწევრიანება სრულად გამორიცხავს ტერიტორიების დაბრუნებას, ვფიქრობთ, რომ, პირველ რიგში, სწორედ ევრაზიული კავშირის იდეაზე უნდა დაფიქრდნენ ხელისუფლებაში მოსვლის მოსურნე პერსონები თუ პოლიტიკური ძალები; ერთად უნდა ვიფიქროთ, ხომ არ დაგვიბრუნებს ეს იდეა აფხაზეთსა და ოსეთს, უფრო სწორად, ჩვენ ხომ არ დაგვაბრუნებს აფხაზეთსა და ოსეთში. ეს არის საკითხი, რომელიც ძალიან უნდა აინტერესებდეს ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც აქვს ხელისუფლების სათავეში მოსვლის პრეტენზია და მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყოველივე ამაზე მკაფიო წარმოდგენა და რეალური პასუხი.

გარდა ამისა, ჩვენ ძალიან გვაინტერესებს ბატონ ივანიშვილის წარმოდგენა და გეგმები სამეგრელოს მომავალზე, მის განვითარებაზე, ამ რეგიონის ადგილზე ქართულ ეკონომიკასა და საქართველოს სახალხო მეურნეობაში. ჩვენ ასევე გვაინტერესებს, როგორი დამოკიდებულება აქვს მას საქართველოს ისტორიის, ეროვნული ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა-განვითარებისადმი, გვაინტერესებს მისი შეხედულებები მეგრული ენობრივი კულტურის, სოციოკულტურული თავისებურებების მიმართ და ბევრი სხვა საკითხი, რომელთა გარკვევის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მის მხარდაჭერაზე.

ჯერჯერობით კი ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბატონ ივანიშვილის პარტნიორები ამ ეტაპზე არიან **"თავისუფალი დემოკრატები"** და უაღესად დისკრედიტირებული **"რესპუბლიკელები"**... განსხვავდებიან თუ არა ისინი იდეოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ამის განსჯა საზოგადოებისთვის მიგვინდვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ბიძინას კატეგორიულობა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ, მის მიერ იმ დამღუპველი ნაბიჯების მიუღებლობა, რასაც ხელისუფლება ჩადის, ყველას მოგვწონს და უდავოდ იმსახურებს პატივისცემასა და მხარდაჭერას, მაგრამ ჩვენ, როგორც ეს ერთხელ უკვე აღვნიშნე, პრიორიტეტულად მივიჩნევთ ჩვენი კუთხის ინტერესებს და მათ (აგრეთვე, სხვა პრინციპული საკითხების, რაც ზემოთ ჩამოვთვალე) მიმართ ბატონი ივანიშვილის დამოკიდებულებას.

აქედან გამომდინარე, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ჩვენი კუთხის მოსახლეობამ სამომავლოდ მაინც ისეთ პოლიტიკურ ძალას უნდა დაუჭიროს მხარი, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რეალურად გაუწევს ლობირებას მისთვის სასიცოცხლო და უმნიშვნელოვანესი საკითხების სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტას. სწორედ ამ და რამდენიმე სხვა პრინციპული საკითხის გარკვევის შემდეგ უნდა გადაწყდეს, დაუჭერს თუ არა სამეგრელო მხარს ბიძინა ივანიშვილს.

**– არსებობს ინფორმაცია, რომ სამეგრელოში ხელისუფლების დაკვეთით ქალაქად და სოფლად იქმნება სამხედრო ფორმირებები, რომლებშიც გაწევრიანებული არიან არა მხოლოდ ვეტერანი მებრძოლები, არამედ კრიმინალებიც. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

– ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და მსურს, საგანგებო განცხადება გავაკეთო. ამ ბოლო დროს, არ ვიცი, სხვაგან როგორ, მაგრამ სამეგრელოში ხელისუფლება გასამხედროებული ფორმირებების ჩამოყალიბებას ცდილობს. შეკითხვაზე, თუ რისთვის სჭირდებათ ეს, პასუხობენ – ყოველი შემთხვევისთვისო. არსებობს ვერსია, რომ ეს ფორმირებები ზოგან 10-15, ზოგან 50 და 100 მებრძოლისგანაა შემდგარი; ერთ-ერთ ენგურისპირა სოფელში ასამდე მებრძოლია ამგვარ გაერთიანებაში და მათ ყოფილი პოლიციელი მეთაურობს. ისინი გარკვეულ გასამრჯელოსაც იღებენ და წვრთნას სენაკის სამხედრო ბაზაზე გადიან. მათ ეუბნებიან, რამე რომ იყოს, თქვენ უკეთ არ იცით და არ დაიცავთ თქვენს სოფელს, ქალაქს, თქვენ შემოგარენსო?!

ვაცხადებ, რომ საგანგაშოა ეს ყოველივე. ხელისუფლებამ, რომელიც რეალურად დადგა ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე, შეიძლება ნებისმიერი პროვოკაცია მოაწყოს, მათ შორის, სამოქალაქო დაპირისპირების ან სულაც მორიგი სამხედრო ავანტიურის ინსპირირებაც კი სცადოს ენგურს გაღმა. მივმართავ ჩვენს თანამემამულეებს: ფხიზლად, ძმებო! მანქურთებად არ გაქციონ და საშინელი მიუტევებელი ცოდვა არ ჩაგადენინონ ამ დაუძინებელმა მტრებმა. არ გაცდუნონ და ისე ნუ იზამთ, რომ წყევლა-კრულვით მოგიხსენიებდეთ შთამომავლობა. იცოდეთ, რომ მერკანტილურ ინტერესებზე მაღლა სამშობლოს ინტერესები დგას. დაფიქრდით ამაზე.

**ესაუბრა ლადო ქირია**

## შევარდნაძე საქართველოში სამოქალაქო ომს პროგნოზირებს

საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, რუსეთთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების პოზიცია **„არათანმიმდევრული“** და **„არამდგრადია“**. მისი განმარტებით, საქართველოს ხელისუფლება ხან აცხადებს, რომ მზადაა რუსეთთან დიალოგისთვის, ხანაც კი სრულიად საპირისპირო განცხადებას აკეთებს. **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად აუცილებლად საჭიროა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. პუტინი იქნება თუ ვინმე სხვა, რუსეთის გარეშე ჩვენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ვერ დავიბრუნებთ“,**– აცხადებს შევარდნაძე.

ამ პოზიციიდან გამომდინარე, ყოფილი პრეზიდენტი განსაკუთრებულ იმედებს ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილზე ამყარებს. მისი მტკიცებით, **„ის ძალიან საღად მოაზროვნე პოლიტიკოსია, რომელმაც უკვე გააკეთა განცხადება რუსეთთან სიტუაციის დალაგების შესახებ, ეს კი იმედებს აჩენს“.**

ამასთან, შევარდნაძე ხაზს უსვამს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაში ივანიშვილს ხელს ვერ შეუშლიან. **„თუ ხელისუფლება მას მოქალაქეობას არ დაუბრუნებს და არ მისცემს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, აუცილებლად სამოქალაქო ომი დაიწყება“,**– განაცხადა შევარდნაძემ, რომელმაც ივანიშვილს კიდევ ერთხელ უწოდა **„საქართველოს მხსნელი“.**

ისე კი, სჯობდა შევარდნაძეს მაშინ ეფიქრა საქართველოზე, ვიდრე სააკაშვილს პრეზიდენტობას მიჰყიდდა.

**საქინფორმი**

## პოეზიის გვერდი

### სიმღერა სოხუმზე

მამულო ჩვენო, რა უეცრად გაგვინახევრდი,
რამდენი გმირი და რამდენი ფლიდიც გყოლია,
განდეგილივით ზღვის ნაპირას მოხეტიალეს
გამომეცხადა მოწყენილი თეთრი თოლია.
ჰეი, თოლია, ჩემო ნაზო, თეთრო თოლია,
შენაც ჩემსავით სევდიანი გული გქონია,
ო, უსამშობლოდ ყოფნა თურმე ძალზე ძნელია,
როდესაც ზღვა და მშობლიური მთები გელიან.
წადი, გაფრინდი, მოგვიკითხე ჩვენი სოხუმი,
მისი ქუჩები ჩვენგან ასე დაობლებული,
ოდესღაც სავსე სიცოცხლით და დიდი ხალისით,
ახლა მწუხარე, სევდისაგან გაოგნებული.
წადი, გაფრინდი, თან წაიღე ჩვენი ალერსი,
და დიდი სითბო, ობოლ გულში ჩაბუდებული,
მოინახულე ყველა სახლი, ყველა საფლავი,
უჭირისუფლოდ მშობელ მიწას ჩახუტებული.
წადი, გაფრინდი, მოიარე ყველა ქუჩები,
ჩვენი სოხუმის თბილი მიწის თითო მტკაველი,
მისი ლურჯი ზღვა, მისი ზეცა ასე უძირო,
გულში დაჭრილი ცრემლით სავსე მისი მთა-ველი.
წადი, გაფრინდი, უთხარ – მოვლენ შენი შვილები,
აღარ უხდება მწვანე ქალაქს შავი ძაძები,
უნდა ამღერდეს ძველი ეშხით თამარის ხიდი,
ლოდინისაგან დაიტანჯნენ ზღვა და ნაძვები.
ჰეი, თოლია, ჩემო ნაზო, თეთრო თოლია,
შენაც ჩემსავით სევდიანი გული გქონია,
ო, უსამშობლოდ ყოფნა თურმე ძალზე ძნელია,
როდესაც ზღვა და მშობლიური მთები გელიან.

* * *

ენგურთან სტკივა საქართველოს დიდი ჭრილობა,
ქვითინებს მწარედ მკერდმოჭრილი ამორძალივით,
ისმის გოდება უძველესი ტაძრების გაღმა,
შავი ზღვაც ბორგავს ჩვენი გულის გამოძახილით.
ენგურთან სტკივა საქართველოს დიდი ჭრილობა,
ნაომარ მიწას სისხლიანი ახსოვს დღეები,
ბედნიერ წარსულს სიზმარივით იგონებს თითქოს,
წლებია უკვე, ტანჯვის უღელს რაცა შევებით.
ენგურთან სტკივა საქართველოს დიდი ჭრილობა,
ნეტავი იმას, ვინც იქნება მისი მკურნალი,
მოძმეთა შორის ჩატეხილი ხიდის აღმდგენი,
ნეტავი იმას, საუკუნოდ ლოცავს უფალი.

**შორენა ჩაჩავა,**
**სოხუმი.**

### გომიძიცე, ოკოლხეში თუთა

გომიძიცე, ჯვეშობურო, ოკოლხეში თუთა,
გეგნომივარჩხილე ლიხი, აუადჰარა, ურთა...
უჩა ზღიაი ენორწკინუნს უკოროცხუ ქუა,
ქიგიშინი, ვორენ სქანი კიდირიში სქუა...
ქიგიშინი, სოიშახ ონჭუდ სქანი ვე დო გვალა,
დიოსკურს დო პიტიუნტის თიშა ქიმეითვალა...
მუნაფეფი გეგნიფაჩი ოკოლხეში თუთა,
ქავოსქიდით ართ-მაჟიას მა დო სი დო ურთა...
ჩქინ ორთაშე, ამდღაშირო, მაპალუნა მუთა,
გომიძიცე, გომიძიცე ოკოლხეში თუთა...

### არაგვი

ქომჩინიო, ვამარაგვა,– სი ოკოლხეშ ორთაშ ნახა...
ირიათო ირაგვინჯუქ, კირდეს დუსი მიკმატახა...
თისხი ბორჯემქ მიკირულუ, ვაგამკვირდუ, ვამიჩინე,
გიჯინექ დო მოკო სქანი ჯვეში ბირა ქიგიშინე...
ვო არაგვი, ქომხუტოლე, მა შხვაშ თური ვადომძახა,
ნება ქომუ, სქან ფაფალას ქალვოღობე ჭიჭე ფაცხა...

### ლილ ქუჯიშ ლური

ქუჯი ონწეს აშანათუნს, გემუანო ლურსი,
დარაიაშ ჭკარჭკუნტია ფოტა მუნაქუნსი...
მაჭირხოლი ჭირხოლითი ქუჯის უბირუნსი,
მასქურით თის უფერუანს ფოტას მინმაწყუნსი...
ქუჯიქ გოკურცხ, ნანა ჰამას თოლეფს უჯუნუნსი...
ჩე ტორონჯი, ცა-ფორონჯის გილაფურინუნსი...

**რამაზ კუპრა**

## ხალხური პოეზიის მარგალიტები



### მეგრული ნანა

ბევრი სიმღერა არსებობს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ყველაზე ძვირფასი არის ერთი სიმღერა: **„იავნანა“**. არ არსებობს დედა, რომელსაც თავისი შვილისათვის არ ემღეროს იგი.

განუზომლად დიდია დედის სიმღერის ზემოქმედების ძალა ადამიანზე. გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილის **„იავნანამ რა ჰქმნა?“**, რომელსაც ჩვენს საბავშვო ლიტერატურაში ბადალი არ მოეძებნება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ მოთხრობის თავისებურება მის წმინდა ფსიქოლოგიზმშია, ე.ი. იმაში, რაც იავნანას მოსმენამ შეძლო, რამაც ლეკად ქცეულ 13 წლის ქეთოს თავისი ადრინდელი ბავშვობის დაკარგული მოგონება აღუძრა და კვლავ ქართველ ქალად აქცია.

იავნანა რომ არ ყოფილიყო, მაშინ ალბათ, სიმღერაც არ იქნებოდა დედამიწის ზურგზე და პოეზიის მადლიც მოაკლდებოდა ცხოვრებასო, ამბობს ერთი მწერალი.

დედები პირველი პოეტები არიან, ისინი უთესავენ პოეზიის მარცვალს თავიანთ შვილებს სულში. ყველაზე უფრო მძიმე და საშინელ წუთებში იხსენებენ მამაკაცები აკვანში მოსმენილ სიმღერას.

დედამიწაზე რამდენი ენაცაა, იმდენი იავნანა არსებობს.

მეგრული ნანა, როგორც ყველა იავნანა, არის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის წმინდა საგალობელი, რომელსაც ოდითგანვე უმღეროდა მეგრელი დედა თავის შვილს:

**ნანაია, ნანა სქუა,**
**ნანაშ ჭირიმა!**
**არკვანიშა იშამჯანუ**
**ვარდიშ პირი მა.**
**გამნუონწყი შქართუნი დო**
**აშვოჯინი მა,**
**ბჟა დო თუთას ქოგურაფუ**
**იში ჭირიმა!**
**დღასუ ვეშეჭყოლიდუა**
**გოლვაფირი მა,**
**ათე ნანა მარგალური**
**სქანი ჭირიმა!**
**სქანი კუნთხუ საქორთუო**
**ნანაშ ჰამო ბჟა,**
**სქან ფაცხა დო სქან კებური**
**სკანი ჭირიმა.**

მეგრულ ხალხურ პოეზიაში არსებობს **„ნანას“** რამდენიმე ვარიანტი. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს, ჩემს მიერ ქართულად ამტყველებულს:

### მეგრული ნანა

**ნანაია, ნანა, შვილო,**
**ნანას ჭირიმე,**
**კაკლის აკვანში მიწევხარ**
**ვარდის პირი მე.**
**გადაგხადე საბანი და**
**დაგაკვირდი მე,**
**მზეს და მთვარეს ემსგავსები**
**შენი ჭირიმე.**
**გიყურებ და თვალს ვეღარ გწყვეტ,**
**ხარ მშვენიერი,**
**მიხარია, მამაშენის გაქვს შენ იერი.**
**ისე საამურად გძინავს,**
**რომ გამაოცე,**
**გაიღვიძე, ჩემო ბიჭო**
**მკერდზე მაკოცე.**
**საამურად მიტომ გძინავს,**
**შენ გენაცვალე,**
**რომ ფიქრები არ გეხვევა**
**და არ გაწვალებს.**
**ან რა შენი საქმე არის**
**ჯერეთ ფიქრები,**
**შენ არაფერს მოგაკლებენ**
**ეს ძუძუები.**
**გაიზრდები, შენც გექნება**
**საფიქრებელი,**
**ნახავ, რარიგ მუხთალია**
**წუთისოფელი.**
**მან სისწორე ცოტა იცის,**
**სიცრუე-ბევრი,**
**ჯერ ცხოვრებას არ იცნობ და**
**ხარ ბედნიერი.**
**დიდი გახდი, შეებრძოლე**
**უსამართლობას,**
**გაუმკლავდი ამ ცხოვრების**
**უკუღმართობას.**
**გაუმაგრდი ქვეყნის ტრიალს,**
**მიჰყევ ბოლომდი,**
**შეიყვარე კეთილი და**
**გძულდეს ბოროტი.**
**არასოდეს დაივიწყო**
**შემოგევლე მე,**
**ეს მეგრული ნანაია**
**შენი ჭირიმე,**
**შენი ტურფა საქართველო,**
**დედის ტკბილი რძე,**
**შენი ფაცხა და კერია,**
**შენი ჭირიმე.**

ფაუსტ ნადარაია

## „ისესხეთ, რამდენიც გინდათ!“

როგორც სააკაშვილმა ბათუმში მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა, **„სახელმწიფომ ვალის აღება თამამად უნდა გააგრძელოს“**.

**„2003 წელს ვალის მოცულობა უფრო მეტი იყო, ვიდრე დღეს და ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ ვალი არ აგვიღია. ვალი, თავისთავად, დიდი პრობლემა არ არის, მთავარია, ამას განვითარება მოჰყვეს. ჩვენ აღებული ვალი სწორად დავხარჯეთ, მაშინ, როცა მაშინდელ მთავრობას სახლში მიჰქონდა და ფულს ჰაერში აბნევდა. ამ პირობებში ჩვენ ვალის აღება თამამად უნდა გავაგრძელოთ. უბრალოდ, უნდა გვესმოდეს, რომ როცა ფულს იღებ, ის ერთიან ეროვნულ პროდუქტს უნდა ზრდიდეს და მომავალ თაობებს მძიმე ტვირთად არ აწვებოდეს“**,– განაცხადა პრეზიდენტმა.

***„ილორის“*** *კომენტარი: კარგად იცის სააკაშვილმა, რომ წყალი აქვს შემდგარი მის ხელისუფლებას და ამიტომაც უნდა სახელმწიფოს მიერ ვალად აღებული თანხებიც* ***„გააყოლოს ხელს“***, *რომელიც შემდეგ ქართველი ხალხის გადასახდელი იქნება. რაც შეეხება სააკაშვილის მიერ* ***„აღებული ვალის სწორად დახარჯვას“***, *ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მაშინ, როცა ხედავ 60 მილიონ ლარად მტკვარზე აგებულ, სიმახინჯედ ქცეულ, სრულიად უვარგის ხიდს, რომელსაც ხალხმა* ***„სიყვარულით“*** *უწოდა* ***„ოლვეის ულტრა“***, *როცა ხედავ პრეზიდენტის სასახლეს, რომელიც ასეულ მილიონობით ლარი დაჯდა, როცა ხედავ უმუშევართა არმიას, პატრიოტთა ბანაკების მშენებლობისათვის უაზროდ დახარჯულ მილიონებს, უსაქციელო ქალებთან დროის სატარებლად აგებულ პრეზიდენტის რეზიდენციებს საქართველოს რაიონებში, როცა ხედავ დაქცეულ სოფლის მეურნეობას და სხვა უბედურებებს! ახლა კი სააკაშვილი ამის გამოსწორებას ცდილობს 5-ლარიანი სატრანსპორტო შეღავათებით, ხანდაზმულ მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობითა და მათი დამსაქმებლების სამი თვით საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლების როყიო შეპირებებით და სხვა* ***„ფოჩიანი კამფეტებით“***, *რწმუნდები, რომ სააკაშვილი უკვე შეეგუა, რომ მომავალ არჩევნებში მისი წარმატება ნულის ტოლი იქნება, და ამიტომაც ცდილობს, რაც შეიძლება* ***„ხელდამშვენებულმა“*** *დასტოვოს პრეზიდენტობაცა და საქართველოც, რადგან კარგად იცის, რომ მაღალი სავარძლიდან მისი დაცურების შემდეგ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, საქმე ცუდად წაუვა, და ამიტომაც მოცოცხავს საქართველოდან სწორედ ამ ავკაცობის წყალობით* ***„მოვერაგებული“*** *ფულით.*

*ამიტომ უკიჟინებს თანამზრახველებს – აიღეთ ვალები საქართველოს ხარჯზე და მზად იყავით ყველაფრისთვისო!*

*მათ რომ საკუთარი ხალხის ეშინიათ, ეს 2008 წლის აგვისტოშიც გამოჩნდა, როცა ნაცვლად ხალხის გვერდზე დგომისა და მათთან ერთად სამშობლოს დაცვისა, არა იმდენად რუსების, არამედ სწორედ ქართველების წინაშე დაუძლეველი ძრწოლვის გამო, წამოუსვეს ხელი ნაქურდალ-ნაოხრალს და* ***„წითელი ხიდის“*** *გავლით აზერბაიჯანში დურთეს თავი.*

*გზაც იქით ჰქონია!*

## ევროკავშირმა საქართველოს ულტიმატუმი წაუყენა

**„The Wall Street Journal“**-ის ინფორმაციით, **„ევროკავშირმა საქართველოს რუსეთის მსო-ში გაწევრებასთან დაკავშირებით ულტიმატუმი წაუყენა“**. მისივე ინფორმაციით, **„ევროკავშირი რუსეთის მსო-ში გაწევრებასთან დაკავშირებით საქართველოზე ზეწოლას აძლიერებს“**. გამოცემის წყაროს ცნობით, **„აღნიშნული პროცესის დაჩქარებისკენ სწრაფვით ბრიუსელი მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობს“**. თბილისში ვიზიტად მყოფი აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ევროკომისიის სამმართველოს დირექტორი გუნარ ვიგანდი მაღალჩინოსან ქართველ ჩინოვნიკებს შეხვდა და პირდაპირ განუმარტა, რომ საქართველომ რუსეთის **მსო**-ში გაწევრებაზე თანხმობა მალე უნდა განაცხადოს. ვიგანდი საქართველოს დაემუქრა, რომ უარის შემთხვევაში ევროკავშირი მზად იქნება, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 15 დეკემბერს მინისტრების კონფერენციაზე ხმათა უმრავლესობით მიიღოს. **„ასეთ ვითარებაში რუსეთი მსო-ში საქართველოს თანხმობის გარეშე შევა, რაც თბილისისთვის სახის დაკარგვად იქცევა“**, – წერს გამოცემა ორ წყაროზე დაყრდნობით, რომლებიც მოლაპარაკებების მიმდინარეობის საქმის კურსში არიან.

**საქინფორმი**



## გამწარებული სააკაშვილი ონიშჩენკოს „მანიაკად“ მოიხსენიებს



როგორც ბათუმში გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ის ძალიან უკმაყოფილოა სამტრესტის მუშაობით, რის გამოც სამტრესტის ხელმძღვანელი ვასილ მანაგაძე თანამდებობიდან დაითხოვა.

**„როგორც ჩვენ გავდივართ ბაზრებზე, ეს არის ჭიანჭველას და კუს ნაბიჯები. საერთოდ აღარ უნდა ისმებოდეს კითხვა, გავალთ თუ არა თუნდაც რუსეთის ბაზარზე. მე მოლდოველებს ველაპარაკე. ისინი ვითომ შეუშვეს რუსეთის ბაზარზე, სინამდვილეში არაფერიც არ შეუშვეს და სიცოცხლე აქვთ გამწარებული. ვიღაც მანიაკ ონიშჩენკოზე არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული, წავა თუ არა ჩვენი ღვინო სადმე, რადგან ჩვენი ღვინო არის ცოტა, მაგრამ ხარისხიანი და წარმოუდგენლად დიდი ბაზარია გასაღების, კარგად რომ ემუშავა სამტრესტს“**, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, მან სოფლის მეურნეობის ახალ მინისტრ ზაზა გოროზიას სამტრესტის ხელმძღვანელის პოსტზე საერთაშორისო კონკურსის გამოცხადების მოთხოვნით მიმართა.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის სიტყვებსა და მის მიერ მანაგაძის გათავისუფლების გადაწყვეტილებაში აშკარად იგრძნობოდა პრეზიდენტის გაღიზიანება იმ გარემოებით, რომ ბაზარზე **„ჭიანჭველას და კუს ნაბიჯებით“** გადის ქართული ღვინო, რომელიც ასე ძვირფასია. იგივე პრეზიდენტი ცოტა ხნის წინათ ამაყობდა კიდეც იმით, რომ ბაზარი დიდია და ღვინოც კარგად გადის ქვეყნიდან, რის გამოც რუსული **„ფალსიფიცირებული“** და **„ყაჩაღური“** ბაზარი საჭირო არ არის. თუმცა ხელისუფლებამ საკუთარი თავი თვითონვე გაყიდა და აღიარა, რომ ღვინის ექსპორტში საქმე არცთუ ისე კარგად გვაქვს. მაგრამ სააკაშვილმა ეს სამტრესტის აწ უკვე ყოფილ ხელმძღვანელობას გადააბრალა, რომლის დათხოვნა საქმის გაფუჭებამდე შეეძლო, თუმცა ეს მაშინ გააკეთა, როცა დასჭირდა. ყველაზე სასაცილო კი, ალბათ, ისაა, რომ ამ ყველაფრით აღშფოთებულმა პრეზიდენტმა გენადი ონიშჩენკოს **„მანიაკი“** უწოდა, თუმცა რატომ, გაუგებარია.

**საქინფორმი**

## ჯონ ბასი: „საქართველოსთვის „MAP“-ის 2012 წელს მინიჭებაზე საუბარი ნაადრევია“

საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ჯონ ბასს ნაადრევად მიაჩნია საუბარი იმაზე, დადგება თუ არა 2012 წლის ნატოს მინისტერიალზე საქართველოსთვის „**MAP**“-ის მინიჭების საკითხი.

**„ბატონი ჯეიმს აპატურაისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩიკაგოს მინისტერიალამდე 6 თვით ადრე არ განვსაზღვრავდი, რა საკითხები შეიძლება დადგეს მინისტერიალზე და რა საკითხები – არა. საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია, მას ავღანეთის ოპერაციაში, რომელიც საერთო უსაფრთხოებასა და გამოწვევების დაძლევას ემსახურება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს“**, – აცხადებს ბასი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ნატოს წაარმომადგენელ ჯეიმს აპატურაის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას, რომელშიც ალიანსის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ **„საქართველო, სავარაუდოდ, ჩართული არ იქნება ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაში (MAP), რომელიც 2012 წლისთვის ჩიკაგოში დაგეგმილ სამიტზე უნდა გამოცხადდეს“**.

## თურქეთიდან 150 ქართველი გამოაძევეს

თურქეთის ხელისუფლებამ ქვეყნის იძულებით დატოვების გადაწყვეტილება 200 უცხოელის მიმართ მიიღო, რომელთა შორის 150 საქართველოს მოქალაქეა, მათგან უმეტესობა – ქალი. ქართველებმა საქართველოს საზღვარი უკვე გადმოკვეთეს. დეპორტაცია შეეხო როგორც არალეგალურად, ისე ლეგალურად დასაქმებულ პირებს.

არალეგალ დამსაქმებელთა წინააღმდეგ სპეცოპერცია, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს მზადდებოდა, ანკარის პოლიციამ მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს დაასრულა. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, 40 მათგანი დაკავებულია. არ არის გამორიცხული, მათ შორის ქართველებიც იყვნენ.

როგორც საქართველოს კონსულმა ანკარაში პაატა სარიშვილმა განმარტა, **„ოპერაცია, რომელიც ანკარაში დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა, დასრულდა. წინასწარ პატიმრობაში 40 არალეგალურად დამსაქმებელია აყვანილი, რომლებიც ტრეფიკინგში არიან ბრალდებულნი. მათი დიდი ნაწილი თურქეთის მოქალაქეა, თუმცა არიან უცხოელებიც. თურქული მხარე მათი ვინაობის გამჟღავნებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. აყვანილ იქნა 200-მდე არალეგალურად დასაქმებულიც, რომლებიც დეპორტაციას დაექვემდებარნენ. სამწუხაროდ, მათ შორის 150 ქართველია“**.

## რუსეთი კადაფის მკვლელობის გამოძიებას ითხოვს

მსოფლიო შეძრა დემოკრატიის ლიბიურმა ვარიანტმა – კადაფის ცხედრის სუპერმარკეტში გამოფენამ.

ლიბიის ქალაქ მისურატის ერთ-ერთი მთავარი სუპერმარკეტის წინ ხალხის რიგს ბოლო არ უჩანდა. **„გვინდა, ძაღლი ვნახოთ“**, – ღრიალებდა ბრბო. ფოტოაპარატებით შეიარაღებულ ან იღლიაში ბავშვებამოჩრილ მსურველებს უპრობლემოდ უშვებდნენ კამერა-მაცივარში, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო, **„სიამოვნებით“** ეყარა ჯავრი მოკლული პოლკოვნიკი კადაფის, მისი შვილის მუატასიმისა და თავდაცვის მინისტრ ჯაბერის ცხედრებზე.

იმის თაობაზე, რომ ლიბიაში ამ დრომდეც აფასებენ შუასაუკუნოვან თემურ დამოკიდებულებებს, ყველა ექსპერტი ამბობდა, მაგრამ ზემოხსენებული მდგომარეობის ფონზე აბსოლუტურად სულელურად ჟღერს დასავლელი პოლიტიკოსების ნებისმიერი განცხადება იმის თაობაზე, თითქოს ნატოს ბომბდამშენების ფრთებიდან დემოკრატია ცვიოდა. ამას ამბობდა, მაგალითად, ქალბატონი კლინტონიც, რომელიც კადაფის მკვლელობამდე ერთი დღით ადრე, რატომღაც, ტრიპოლიში ჩავიდა და ღიმილით უქნევდა ხელს მათ, ვინც ორიოდე დღის შემდეგ გრძელ რიგში იდგა, რათა მთელი კაცობრიობისათვის ამაზრზენ რაკურსებში სამახსოვრო სურათები გადაეღო მკვდარი პოლკოვნიკის ცხედართან.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს სიმართლის არ შეეშინდა: **„ცხადია, კადაფიმ ლეგიტიმურობა დიდი ხნის წინათ დაკარგა, მაგრამ ის, თუ როგორ მოკვდა იგი, მთელ რიგ კითხვებს ბადებს. მოვისმინეთ ამ ფაქტით მრავალი ლიდერის კმაყოფილება. არ შევაფასებ, მაგრამ იძულებულნი ვართ, დავეყრდნოთ ფაქტებსა და საერთაშორისო სამართალს. ის კი ამბობს, რომ შეიარაღებული კონფლიქტების მსვლელობისას მოქმედებს საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმები, რომლებიც გამყარებულია ჟენევის კონვენციით. „მასში ნათქვამია, რომ როგორც კი სამხედრო კონფლიქტის მონაწილე ტყვედ ჩავარდება, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული პროცედურები. იმ შემთხვევაში, თუ ტყვე დაჭრილია, მას უნდა გაუწიონ სამედიცინო დახმარება და, ცხადია, კატეგორიულად არ შეიძლება მისი მოკვლა“**, – განაცხადა ლავროვმა. რუსეთმა სირტაში მომხდარის დეტალური გამოძიება მოითხოვა.

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# რომან რურუა

**(გთავაზობთ წერილს (ნაწყვეტებს) ბატონ არჩილ გოგელიას წიგნიდან "ასეთია სპორტული ცხოვრება")**

არიან გულშემატკივრები, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ სპორტის სახეობებს: ზოგი ფანატიურად უყვართ, ზოგიც – ნაკლებად...

...რომან რურუას ჭიდაობა პირველად თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის გუნდური თასის გათამაშებაში ვნახე. მანამდე არათუ არ ვიცნობდი, გვარიც არ გამეგონა მისი. სპორტის სასახლის ვეებერთელა დარბაზში სამი საჭიდაო ხალიჩა იყო გაშლილი. თითოეულ მათგანს თავისი მაყურებელი ჰყავდა. აღარ მახსოვს რატომ, მაგრამ ჭიდაობაზე გვიან მივედი. ერთბაშად ხალხმა იხუვლა – რურუა ჭიდაობსო და მაშინვე ერთი ხალიჩის გარშემო მოიყარა თავი (მაშინ რომან რურუამ მსოფლიო ჩემპიონი, ბელორუსი ოლეგ კარავაევი დაამარცხა საკმაოდ მოულოდნელად და დამაჯერებლად – **"ილორი"**). თურმე მანამდე უკვე ენახათ რომან რურუას გამოსვლა და მოუთმენლად ელოდნენ ხალიჩაზე მის ხელახლა გამოჩენას. ეს იყო მართლაც ენით აუწერელი სანახაობა, რომლის თითოეული ფრაგმენტი დღემდე მეხსიერებაში მაქვს აღბეჭდილი, თუმცა ეს მოხდა 1961 წელს. ცოტაა ითქვას, რურუამ მეტოქე დაჯაბნა და გაიმარჯვაო. ეს იყო რაღაც უფრო მეტი: უმაღლესი კლასის ჭიდაობის დემონსტრირება თავისი ყველა ატრიბუტით. ხალიჩაზე ციბრუტივით ტრიალებდა საკუთარ ძალებში მტკიცედ დაჯერებული, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ფალავანი, რომელიც მოჭადრაკის სიზუსტითა და თანმიმდევრობით ახორციელებდა წინასწარ გააზრებულ გეგმას. თუ როგორი ბრწყინვალებით აკეთებდა ამას, ეს ჩემთან ერთად იხილა იმ დღეს სპორტის სასახლეში თავმოყრილმა ათასობით მაყურებელმა. აღტაცებული შეძახილები, დაუსრულებელი ოვაცია... ეს ტაში, ეს მადლიერების გრძნობა მაყურებელთა მხრიდან თითქოს იმ დღეს დაებედა ჭაბუკ ფალავანს და მთელი სპორტული ბიოგრაფიის მანძილზე მიაცილებდა...

...საბჭოთა კავშირის გუნდური თასის გათამაშების შემდეგ რომან რურუას **"აქციებმა"** ძალზე აიწია საკავშირო ასპარეზზე. და აი, მაშინ, როცა იგი სავსებით მომზადებული იყო დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის, ბრმა შემთხვევამ, უფრო სწორად, ტრავმამ იგი საკმაო ხნით ჩამოაშორა საჭიდაო ხალიჩას...

...1965 წელს მაინც უბრუნდება სარბიელს. იმავე წელს მის თვალწინ იშლება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ხალიჩა, როგორც დიდი ამოცანა და გამოცდა. ამ გრანდიოზულ ფორუმზე რურუამ უნდა დაამტკიცოს, რომ არაფერი დაუკარგავს წინანდელთან შედარებით და კვლავ რჩება უნიკალურ ფალავნად. ეს არ არის ადვილი, მაგრამ რურუას მაინც თავისი გააქვს. მეორდება თბილისური ტურნირის ისტორია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად რურუა საკავშირო სპარტაკიადის კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე ადის. ამ სიმაღლიდან მას, უკვე საკავშირო ნაკრების წევრს, იოლად შეუძლია დაინახოს მსოფლიო საფალავნო სარბიელი.

ტოკიოს ოლიმპიადის წინ მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბადალი არა ჰყავს.... ტოკიოს ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა რურუასთვის ხსნილია. მერე ბევრჯერ გაიხსენებენ სინანულით უპრეცედენტო შეცდომას მსაჯებისას, რომელთაც ტოკიოს ოლიმპიადის ფინალში აშკარად წაართვეს გამარჯვება ქართველ ფალავანს (უფრო სწორად, ეს იყო ტურნირის ორგანიზატორთა და მსაჯთა ბინძური შეთქმულება, რადგან ფინალში რომანი შეხვდა სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, უნგრელ იმრე პოიაკს. იმიტომ, რომ პოიაკი მეოთხედაც გაეხადათ ოლიმპიური ჩემპიონი, მსაჯებმა ძალით გამოგლიჯეს რომანს ხელიდან ჩემპიონობა – **"ილორი"**). მერე ლოზანაში კვლავ შეიკრიბა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი და ვედეოჩანაწერით კვლავ აღადგინეს ეს დრამატული ფინალური ასპარეზობა. თითქოს შეცდომა გამოსწორდა, გამარჯვება ანგარიშით 3:0 მიენიჭა რურუას, მაგრამ ჭიდაობის მოღვაწეთა ეს აშკარად დაგვიანებული გადაწყვეტილებს მის ოლიმპიურ ვერცხლს ოქროდ ვეღარ აქცევდა. თურმე ზოგჯერ ვერცხლი სჯობია ოქროს.

ამიერიდან რომან რურუა მხოლოდ პატიოსან, რაინდულ ორთაბრძოლებში მეტოქეებს არავითარ იმედს აღარ უტოვებს, ხოლო მსაჯებს ხელახალი (ნებსითი თუ უნებლიე) შეცდომის შესაძლებლობას ყოველნაირად უსპობს. იგი თითქმის ყველა შეხვედრას ძალიან დიდი უპირატესობით იგებს. სამაგალითოდ გამოდგება ტოლიდოს 1966 წლის მსოფლიო ჩეპიონატი. ექვსი შეხვედრა – ექვსი გამარჯვება. მაგრამ მთავარი სხვაა. თუ რომან რურუას მიერ ჩატარებულ ორთაბრძოლათა ქულებს შევაჯამებთ, მივიღებთ განსაცვიფრებელ, მართლაც ფანტასტიკურ შედეგს – 82:0. ესე იგი, უნიჭიერეს ფალავანს მთელი შეჯიბრების მანძილზე არც ერთი ქულა არ დაუკარგავს!

მეხიკოს ოლიმპიადაზე მას ორჯერ უწყობენ სამედიცინო შემოწმებას. მარტო სპორტის სპეციალისტები კი არა, ექიმებიც საგონებელში არიან ჩავარდნილი. მათი აზრით, ის, რასაც რურუა სჩადის საჭიდაო ხალიჩაზე, ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება და მხოლოდ დოპინგით არის მისაღწევი. შემოწმებამ ცხადყო, რომ რურუასთანა ჯანმრთელი ადამიანი ბარე ორი არ არის ოლიმპიადაზე. სხვათა შორის, სხვა ღირსებებთან ერთად ჩვენი ჩემპიონი იუმორის გრძნობითაც უხვად იყო დაჯილდოებული და მეხიკოში ექიმებს შემდეგი განუცხადა: **"რა დოპინგი მინდა, თავად გახლავართ დოპინგიო".**

რაც შეეხება მისი გამარჯვებების ნუსხას, ნებისმიერი სპორტსმენი ინატრებდა ასეთ დიდებულ **"კოლექციას"**: საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ითხგზის ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი... არაფერს ვამბობთ ურიცხვ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებებზე...

ნამდვილად ასეთი უნდა იყოს ნამდვილი სპორტსმენი! ალბათ, რომან რურუა თავისი ადამიანური, მოქალაქეობრივი და სპორტული თვისებებით ძალიან ახლოს იდგა იდეალთან. ეს იყო სპორტსმენი, რომელმაც თავის დროსაც კი გაუსწრო.



## იუმორი

* * *

**მთავარი ექიმი ეკითხება პალატის ექთანს:**
**– ღამე რამდენი კაცი მოკვდა?**
**– სამი.**
**– უცნაურია, მე ხომ ოთხი რეცეპტი გამოვწერე...**

* * *

**– რატომ გაიქეცით ჯარიდან?**
**– ავადმყოფობის გამო.**
**– რა ავადმყოფობა გჭირთ?**
**– არ ვიცი, მაგრამ ჩემს დანახვაზე მთელ ნაწილს გული ერეოდა.**

* * *

**– გოგონა, თქვენ მართლა არ ეწევით, არ სვამთ და კაცებს არ ხვდებით?**
**– დიახ!**
**– რატომ?**
**– მომბეზრდა...**

* * *

**ქუთაისელი წიგნს კითხულობს. მიდის ამხანაგი:**
**– რას კითხულობ?**
**– "საქართველოს ეკონიკა"-ს!**
**– ვიცი, წაკითხული მაქვს, ბოლოს კვდება!**

* * *

**– რა გირჩევნია – ხუთი ათასი დოლარი თუ ხუთი ქალიშვილი?**
**– ხუთი ქალიშვილი.**
**– რატომ?**
**– იმიტომ, რომ რვა მყავს!**

* * *

**ექიმი ეუბნება პაციენტს:**
**– თქვენ გენიშნებათ მკაცრი დიეტა!**
**– ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?**

## 59 000 000 დოლარი სექტემბერში რუსეთიდან

2011 წლის სექტემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 101.4 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 168.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 16.6 მილიონი აშშ დოლარით (27.6 მილიონი ლარით), ანუ 19.5 პროცენტით მეტია 2010 წლის სექტემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკიდან იუწყებიან, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 91 პროცენტი იმ 10 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ სექტემბერში 100 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. გასული წლის სექტემბერშიც მთელი ფულადი გზავნილების 91 პროცენტი იმავე 10 ქვეყანაზე მოდიოდა.

სექტემბერში გზავნილების 58,2 პროცენტი – 59,036 მლნ დოლარი, საქართველოში რუსეთიდან განხორციელდა. ეს თითქმის 9,5 მლნ დოლარით მეტია გასული წლის სექტემბრის მაჩვენებელთან შედარებით.

2011 წლის სექტემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 7.4 მილიონი აშშ დოლარი (12.3 მილიონი ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 7.2 მილიონ აშშ დოლარისა (13.3 მილიონი ლარი) გასული წლის სექტემბერში.

**საქინფორმი**



## რწმუნებულის აპარატი იტყუება!

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საჯარო დისკუსიაში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სვირავამ დამსწრე საზოგადოება მოატყუა. შეხვედრაზე, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბარს ეხებოდა, გელა სვირავამ განაცხადა, რომ **„2010 წლის მაისში მესტიაში განვითარებული მოვლენების დროს ზაზა გოროზიას კანონი არ დაურღვევია – ეს არ იყო ადმინისტრაციული რესურსის ხარჯვა, რადგან ამ დროს გოროზია შვებულებაში იმყოფებოდა“.**

როგორც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, 2010 წლის 3 მაისს სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშინდელი გუბერნატორი ზაზა გოროზია, სამხარეო პოლიციის უფროსი თენგიზ გუნავა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ანზორ მარგიანი და სამხარეო ფინანსური პოლიციის უფროსი გიორგი შედანია, პოლიციის შეიარაღებულ თანამშრომლებთან ერთად, მესტიის ოპოზიციონერ კანდიდატებს მუქარისა და იარაღის გამოყენებით საარჩევნო კანდიდატურების მოხსნას აიძულებდნენ.

გელა სვირავამ დამსწრე საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა, რადგან რეალურად 2010 წლის 3 მაისს გუბერნატორი გოროზია შვებულებაში არ გახლდათ, ის შვებულებაში ოფიციალურად 5 მაისს გავიდა.

სვირავამ საზოგადოება კიდევ ერთ ფაქტთან დაკავშირებით მოატყუა – მესტიის მოვლენებზე საუბრისას ყურადღება ადმინისტრაციულ რესურსზე გაამახვილა, არადა, ეს არა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, არამედ კანონდარღვევა – კრიმინალური ქმედება.

**საქინფორმი**

## დიმიტრი მედვედევი: „რუსეთი „BTO“-ს უარს გადაიტანს“

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთი გადაიტანს, თუ მას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაზე უარს ეტყვიან. **„ყველამ უნდა გაიგოს, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების პროცესში ჩვენმა პარტნიორებმა, რომ ეს არა მხოლოდ რუსეთის ინტერესებშია; ეს სხვადასხვა უცხოური ბიზნესის ინტერესებშია და მთლიანობაში – საერთაშორისო სავაჭრო დინებების გონივრული დარეგულირების ინტერესებში. ეს ორმხრივი მოძრაობის გზაა“,– განაცხადა მედვედევმა თავისი მომხრეების საზოგადოებრივი კომიტეტის წევრებთან შეხვედრაზე და დასძინა: „ჩვენ ამისთვის მზად ვართ, მაგრამ თუ რაღაც მიზეზის გამო უარს გვეტყვიან, ამას გადავიტანთ. ეს – აბსოლუტურად ზუსტად და აბსოლუტურად გულწრფელად“.** ჩვენთვის ეს ფრაზა დაახლოებით ასე ჟღერს: **„ჩვენ კი გადავიტანთ, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ, თქვე უბედურებოო!“**



ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge